ლიტერატურული გაზეთი

№17(201) 15 - 28 სექტემბერი 2017 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი



ვაჟა გიგაშვილი

იანვარა და კარო

სერიიდან „ძველი ფოტოები“

გიამბობთ, რაც ამ ძველმა, 1959 წელს გადაღებულმა ფოტომ გამახსენა...

ჯერ წარმოგიდგენთ იმავე 59-ში დაწერილ ფრაგმენტს... დაბეჭდილი კია ჟურნალშიაც და მერე წიგნებშიაც, მაგრამ აქვე გადაკითხვა ჯობს გარემოებაში გასარკვევად...

„...სამჯერ შევკარით მოსარეკი დილიდან და სამჯერვე ჯოგი ჩვენგან ზემოთ გავიდა... მესამედ უკვე ქედზე გავედით და იქ შევკარით... აქ ტყე მეჩხერდებოდა და თავდებოდა, მხოლოდ დიდი გვიმრები იყო და ჩანდა დაღესტნის მთების მყინვარებიანი ჯაჭვი და აქაც ისე გავიდა ჯოგი, რომ არცერთი არ დაგვინახავს...

მეოთხედ, ისევ ტყიან ფერდობზე გავაკეთეთ მოსარეკი... ბექზე ადგილი მოვტკეპნე და ზურგით ხავსიან ლოდს მივეყუდე... ქვევით ღელე ჩადიოდა და კალაპოტი ღრმად ჰქონდა ჩახრამული... გაღმა ფერდა გაშლილი იყო, აქეთა კი — მთლად დაკიდებული... ზემოთ კალაპოტი სწორდებოდა და ყელი ჩანდა... ვფიქრობდი: გაღმა ფერდაზე თუ დათვი გამოვიდა, სანამ ამ ხრამს გადმოივლის, ორჯერ სროლას და გადატენასაც მოვასწრებ-მეთქი... ღორებზე რატომღაც აღარ მიფიქრია და როცა ჯოგი გამოვარდა, პირდაპირ ყელისაკენ გაქანდა... დავაგვიანე... მაგრამ ბოლო, ჩამორჩენილ ნეზვს მაინც სამიზნოთი გადავასწარი და ვესროლე... დავინახე, როგორ მოხვდა თავში, გაქანებული წაემხო ნეშოში და ყირაზე გადავიდა... მისვლა დავაპირე, მაგრამ ზემოდან ორჯერ გავარდა და შემოტრიალებული ჯოგი ისევ ყელში გამოჩნდა... ისევ მოვასწარი ერთის სამიზნოზე დასმა და გავარტყი... ამჯერად მსხვილი ტახი იყო... რომ მოხვდა, „უჰ!..“-ო დაიძახა და ცერად გაქანდა აღმართზე, თან ტანის ყოველ შეკუმშვაზე გვერდიდან სისხლი ასხამდა... მეც გავვარდი აღმართში გზის მოსაჭრელად, მაგრამ ამ დროს მოაწიეს ძაღლებმა და დაასხდნენ ღრიალით... შვიდივე დაასხდა და ტახი აღარცა ჩანდა... ერთი კი შემოიფერთხა აქეთ-იქით, მაგრამ სროლა ვერ მოვასწარი, ისე სწრაფად შეასხდნენ ისევ... ისევ დაიმალა ტახი შვიდი ძაღლის ქვეშ... გააჩერეს... ის იყო, ყელსაც მივატანე, რომ ტყიდან გამოვარდა იანვარა... დავინახე, რომ ნახტომშივე გააძრო თავისი მოკლე, ფართე, სამკუთხა ხანჯალი, ტახს ძაღლებიანად ზედ მოექცა, დინგზე ხელი უტაცა და ერთი დარტყმით გამოსჭრა ყელი და ტახი, ძაღლები და იანვარა ერთად გადაყირავდნენ და ისეთი ყეფა, ჯღავჯღავი, ჭყივილი, გინება და ორომტრიალი იდგა, კაცი ვერ გაიგებდა, რა ხდებოდა...“

II-III

ვასილ ბესელია

* * *

ვუსმენ ჩამქრალ
ოცნებების მიღმა
გაკვამლული
ვარსკვლავების შიშინს...
სიჩუმე და
უშენობა მიყვარს
სიჩუმის და
უშენობის შიშით...

ატრიალებს ღმერთი
საათს ქვიშის,
ცაში არჩევს
სადედოფლო ტახტებს...
...სიჩუმის და
უშენობის შიში,
ხვალ, ვინ იცის,
სანატრელი გახდეს!..

III-IV

ლია სტურუა

* * *

ჩემი დღე შავ-თეთრი გრაფიკა
შუადღის 12-დან ღამის ორ საათამდე.
იმან, რაც ვარდისფერი მქონდა,
ატმებზე ლოყამიდებული,
სამიზნის როლი შეასრულა და გათავდა,
ყველაფერი აშკარა გათავდა:
კარებში რომ თითი მოგყვება
და შესაბამისი ხმოვნები გტკივა,
ღამის 2 საათზე რომ შუქი გინთია
მარტო შენ და კიდევ ვიღაცას
მოპირდაპირე სახლში
და ის ორი ფანჯარა გიყვარს,
რომლებიც იქვე გღალატობენ:
სად შენი ჩამქრალი ვარდისფერი,
სად ყაყაჩოებიანი მინდვრების ეროტიკა!
როცა სამიზნე იყავი, ვიღაც
დანას გესროდა, ვიღაც ქვას,
ვიღაცას მოსწონდი ისე, თითქოს
თვალები ატმის ხეზე მიუჭედეს!
მარტოობა მხოლობითი რიცხვი იყო
და არა ცხოვრების წესი
შუადღის 12-დან ღამის 2 საათამდე
ვის ენატრები, ვის ახსოვხარ, ვის ჭირდები?
დგახარ და ანთებულ ფანჯრებს ითვლი,
შემორჩენილი მეგობრებივით
რომელიმე მათგანი, თუ კიდევ უყვარხარ,
იტყვის:
— ატმის ბუსუსებმა დაახრჩოო...
მერე იტყვის.

V

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა გიგაშვილი

იანვარა და კარო

სერიიდან „ძველი ფოტოები“

დასაწყისი პირველ გვერდზე

...ჰოდა, ეს არის ჩვენი იანვარა, გვარად ბაირამოვი, თავისი ძველი, გარეჩახმახებიანი, თექვსმეტყალიბიანი „ტულკითა“ და მოკლე, სამკუთხა ხანჯლით წელზე... გვერდით უზის მისი ზორბა ქოფაკი, სახელოვანი კარო, ღორების (გარეულებისა და შინაურებისაც) მძვინვარე მტერი...

...იმ შემოდგომაზედაც მე და შალვა ცაგარეიშვილი რიგით ნადირობაზე გავემგზავრეთ აზერბაიჯანში...

...გადავუხვევ და ერთ-ორ სიტყვას ვიტყვი შალვაზე... გურამ ასათიანმა გამაცნო ყარაიაზე ნადირობისას... მაშინ რეგულარულად დავდიოდით გურამთან ერთად და სწრაფად დავახლოვდით... ტოლები ვიყავით, ორივე სპი-ის სტუდენტი...ის გვირაბმშენებლობას, მე არქიტექტურას ვსწავლობდი... ძლიერი, სპორტული აღნაგობის ბიჭი იყო, ბავშვობიდან ნადირობდა მამამისთან ერთად და კარგი სკოლა ჰქონდა გავლილი... მაგარი მსროლელი იყო, უკვე მიღებული ჰქონდა სპორტის ოსტატის თანრიგი სტენდზე სროლაში... ერთი საერთო „ბზიკი“ აღმოგვაჩნდა: ხეტიალის სიყვარული... მუდამ დაუოკებელი ინტერესი გვექაჩებოდა ახალ-ახალი სანადირო ადგილების მოძიება-მოკვლევისაკენ... ასე მოვიარეთ წლების განმავლობაში ნახევარი აზერბაიჯანი... ფოილო, ყაზახი, ევლახიდან მოყოლებული, უჯარი, ზარდობი, აღჯიბედი, ქიურდამირი... ერთხელ ალი-ბაირამლიმდეც ჩავაღწიეთ... უნდა მოგახსენოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და დღევანდელობისათვის ძნელად წარმოსადგენი, პრინციპულად განსხვავებული რამ: მაშინ არ არსებობდა საკუთარი მანქანით სანადიროდ სიარულის ფუფუნება... ჩვენი ტრანსპორტი იყო მატარებელი („აღსტაფა — თბილისი“ ან „ბაქო — თბილისი“), მერე გზადგამყოლი, რომელიმე სატვირთოთი ჯანჯღალი და მერე — ფეხით... თანაც მუდმივად ზურგზე აკიდებული საკუთარი ბარგით, მორგებული ზურგჩანთით („მე ვარ და ჩემი ნაბადის“ პრინციპზე)... ზოგჯერ ათეულობით კილომეტრის გავლაც გვიწევდა სანადირო ადგილებში გასვლამდე... სროლაც ხომ ზურგჩანთიანად გვიწევდა... მიჩვეულები ვიყავით... დაბრუნებისას ბარგს ნანადირევიც ემატებოდა... ზურგით თრევა ერთია და ეხლა ასეთი სცენაც წარმოიდგინეთ: დღევანდელ მატარებელში ვინმემ რომ ამოათრიოს სისხლიანი ტომრები მოკლული ღორებით და ტამბურში დაალაგოს, რა მოხდება?.. მაგრამ მაშინ რა აღარ დაჰქონდა ხალხს ამ მატარებლით: კასრები, დიდი ფიცრის ყუთები ბოსტნეულითა და ხილით, ცოცხალი ქათმები, ინდაურები, ბატკნები, თხები და რა ვიცი...

...ამისთანა „საძიებო-კვლევით“ ექსპედიციებში ძირითადად ჩვენ ორნი დავდიოდით... ზოგჯერ ვინმე მესამე გვიერთდებოდა, მაგრამ მეორედ ის აღარ წამოგყვებოდა... არ აწყობდათ გრძელი და ზოგჯერ ფუჭად დამთავრებული, ქანცგამწყვეტი ხეტიალები... ღადაობდნენ — ჩვენ ნადირობა გვინდა, ლივინგსტონობა* არ გვინდაო!..

...თუ მართლაც „კაი ადგილს“ აღმოვაჩენდით, გურამ ასათიანის გარშემო შემოკრებილი მონადირეების სამეგობრო ჯგუფი ერთად ვსარგებლობდით, სანამ ისევ არ გაგვქაჩავდა ახალი ჟინი მე და შალვას...

მაშინ ლიაქის სადგურზე ჩამოვედით, გადავბარგდით აგდაშში და ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზატკეცილზე დაველოდეთ გამვლელ მანქანას...

...ამჯერად მესამეც გვახლდა, ჩემთვის უცნობი, შალვას წამოყვანილი გივი აზიზოვი, კინოსტუდიის ფოტოგრფი... სხვათა შორის, ეს ფოტოც მისი გადაღებულია... უამრავი ფოტო გადაიღო მაშინ და დასანანია, რომ ჩემს ქაღალდებში მხოლოდ ეს ერთი აღმოჩნდა... შემდეგში ეს ადამიანი აღარსად მინახავს და არც რაიმე მსმენია...

აგდაშიდან ორმოციოდე კილომეტრში ავტომანქანიდან უნდა ჩამოვსულიყავით და ფეხით გაგვეგრძელებინა გზა უდაბურ ველებზე... ეს ველები სოფელ ჰაჯალის დამუშავებული სავარგულების ზოლს იქით იწყებოდა (სოფლის სახელის ტრანსკრიპციაზე თავს ვერ დავდებ, რადგან დაწერილი არსად მინახავს, ხოლო ზეპირ გამოთქმაში ხან „ჰაჯილი“, ხან „ჰაჯულუ“, ხან „ჰაჯლ“ ისმოდა)... ამ ველებზე გნოლი იყო და უამრავი კურდღელი... გადაფრენისას ჩნდებოდნენ სარსარაკის გუნდებიც...

ერთხელ თბილისელ მონადირეებს გადავეყარეთ... შუახანს გადაცილებული ჭარმაგი ძიაკაცები იყვნენ, ორი ახალგაზრდაც ახლდათ... ყველანი ორ-ორი, სამ-სამი კურდღლით იყვნენ დახუნძლულნი... ერთ ჭარმაგს კი რვა კურდღლისაგან შემდგარი გროვა ეკიდა ზურგზე... გატანჯული სახე ჰქონდა, ძლივს მოდიოდა... ჩვენს მზერაზე გამოგველაპარაკა:

— შევცდი, ბიჭებო!.. ეს ბებერი კაცი ლაწირაკივით დავხარბდი!.. ეხლა რა ვქნა?.. მოკვლა და მერე ტყუილად გადაგდება მონადირისაგან დიდი ცოდვა და უსინდისობაა!.. უნდა როგორმე გზატკეცილამდე ვზიდო!..

...შალვამ უსიტყვოდ ჩაკაფა რამდენიმე ტოტი ბუჩქებში, კონად შეკრა, ბოლოები ფოცხივით გაუშალა, ზედ კურდღლების გროვა დააკრა და თოკის ბოლო მხარზე გადაუდო...

— ძირს თრევით ატარეთ, გზატკეცილამდე კიდევ შორია!.. – უთხრა...

— აგაშენოს ღმერთმა!.. აგაშენოს ღმერთმა!.. – ილოცებოდა ჭარმაგი...

ეხლანდელივით ჯიპი რომ ჰყოლოდათ, ალბათ გაავსებდნენ კურდღლებით და წაიღებდნენ არხეინად... მაგრამ მაშინ ჯიპები არ იყო და ეხლა კი ის ველები აღარ არსებობს...

...ჩვენ კურდღლებს მხოლოდ უკან გამობრუნებისას, გზატკეცილს მიახლოვებულნი ვესროდით... გვქონდა ეგ გამოცდილება...

ამჯერად საერთოდ არ ვაპირებდით ნადირობას, სანამ ჩვენს ამოცანას არ შევასრულებდით... ამოცანა კი შემდეგი იყო: აქაურების ნაამბობით, ამ ველების ბოლოებში იწყება ბამბის პლანტაციები, პლანტაციების გადავლისას წავაწყდებით ხშირი, მაღალი შამბითა და მაყვლიანებით დაფარულ ტერიტორიას... ესაა დურაჯის საბინადრო... ვარაუდით აქაა შემორჩენილი დურაჯის გარკვეული პოპულაცია... ჩვენ უნდა მიგვეგნო ამ ადგილებისათვის და გაგვერკვია, არსებობს თუ არა ეს პოპულაცია სინამდვილეში...

ავტომანქანის მოლოდინში ორი ჩვენხელა აქაური გაგვეცნო: იანვარა და ხანლარა ბაირამოვები... „ძმები ხართ?..“ — ვკითხეთ... „...არა!.. მხოლოდ მოგვარეები... მთელი ჩვენი სოფელი ბაირამოვები ვართ... ამბობენ, როდესღაც დაღესტნიდან გადმოვსულვართ ერთი ოჯახი... სოფელი ნოუშტაკ, კუტკაშენის რაიონი...“ — და მოულოდნელად ღორებზე სანადიროდ დაგვპატიჟეს... უყოყმანოდ დავთანხმდით... ოპერაცია „დურაჯი“ შემდეგისთვის გადაიდო... ჯიბე-ქესატობის მიუხედავად, ორი ლიტრიანი ბოთლი პორტვეინი ვიყიდეთ... სატვირთოს ძარაში გამოვწრუპეთ კუტკაშენის გზაზე გაცნობა-ლაპარაკში... ორივე ჯარში სამსახურმოხდილი იყო და კარგად ლაპარაკობდნენ რუსულს... კუტკაშენიდან ნოუშტაკში ფეხით ავედით... დავბინავდით იანვარას ფართე, ხალვათ ოთახებიან სახლში... ხელდახელ დაკლეს ინდაური და შეუდგნენ ფლავის მზადებას...

მერე, როცა უკვე ძირს, ხალიჩაზე გაშლილ სუფრასთან, ფეხსაცმელდახდილები, მოფრთხნით ვიჯექით ბალიშ-მუთაქებში ჩაფლულნი, ორმა გოგომ ტაშტები და თუნგები ჩამოატარა და ხელები დაგვაბანინა... იანვარამ რაღაც მოზრდილი ბოთლი მოიტანა, შეანჭყრია და ჯაჭვი გვაჩვენა... მერე მთელი ბოთლი დაგვანახა... ბოთლში, მოყვითალო არაყში პატარა, დაკლაკნილი გველი ტივტივებდა...

— იშვიათი რამეა!.. თანაც სამკურნალო... თუ გინდათ, გაგასინჯებთ... — თქვა იანვარამ...

შევცბით, კინაღამ დავიბენით... მე და შალვამ სწრაფადვე დავიბრუნეთ „ცივსისხლიანობა“ და წარბშეუხრელად, ვითომც გასაკვირიც არაფერი ყოფილიყოს, გავუშვირეთ ჩვენი სირჩები... იანვარამ და ხანლარამაც დაისხეს... ოჯახი დავლოცეთ. თავგანწირვით გადავცეცხლეთ და ერთმანეთს მივაჩერდით... ალბათ მოლოდინში, რა მოხდებოდა... არც არაფერი მომხდარა... არც გემო მიგრძვნია, არც სხვა რამ, გარდა ძლიერი გრადუსისა... იანვარამ „მასკოვსკაიათი“ შეავსო გველიანი ბოთლი, კარგად დაასაცობა და თახჩაში შეინახა... გავაგრძელეთ სმა „მასკოვსკაიას“ ბოთლიდან და გივი აზიზოვიც შემოგვიერთდა...

დილაუთენია მაღლა მთაზე, ტყეში ვიყავით... იმ ფრაგმენტშიაც ნათქვამია, რომ მოსარეკი არ გამოგვდიოდა... აბა, რა მოსარეკი უნდა შეგვეკრა ხუთ კაცს?.. მაგრამ საკითხს წყვეტდნენ ძაღლები... ბაირამოვებს ახლდათ სოფლის ქოფაკებისაგან შემდგარი შვიდძაღლიანი ხროვა... ხროვის ბელადი და მამა-მასწავლებელი იყო იანვარას დიდი, ზორბა, ძლიერი ნაგაზი, ექვსი წლის ასაკის კარო... კარო არ იყო უბრალო ვინმე... კარო არავის დაუგეშავს (ჩვეულებრივ, ნაგაზები არ იგეშებიან)... იანვარას მხოლოდ ლეკვობიდან თან დაჰყავდა სანადიროდ... კარომ თავად გამოიმუშავა, საქმეში დახვეწა და გაიძლიერა მისი ჯიშისათვის არათანდაყოლილი თვისებები და უნარები... კაროს შეეძლო ყნოსვით კვალზე სიარული და კოლტის მიგნება... შეეძლო დაუღალავი, მოუშორებელი, სასტიკი აზარტით დევნა... შეეძლო ტახის გაჩერება თოფიანი პატრონის მოსვლამდე... შეეძლო კოლტის გეზის შეცვლაზე იძულება ადგილის რელიეფის გამოყენებით... „თვითნასწავლი პროფესორი“ იყო ამ საქმეში...

...მამობაზე რომ ვთქვი: ამისი მიღება პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება... ახალგაზრდა ძაღლებში, ალბათ ერივნენ კაროს პირდაპირი ნაშიერებიც... აბა, ვინ რას გაიგებდა, რომელმა ძუკნამ ვისგან გააჩინა ლეკვები?.. ჰოდა, რომელიმე გამოჩნდებოდა კაროს გენის მატარებელი...

...რაც შეეხება „მასწავლებლობას“: ახალგაზრდა ძაღლებს სჩვევოდათ კაროზე აკიდება და ტყეში სასეირნოდ სირბილი... ვისაც მიდრეკილება, გამძლეობა და აზარტი აღმოაჩნდებოდა, კაროს „კუდები“ ხდებონენ, სულ უკან დასდევდნენ და აკეთებდნენ იმას, რასაც ხედავდნენ... ესე იგი, იმას, რასაც კარო აკეთებდა... ასეთები ერთ წელიწადში ჩამოყალიბებული მონადირეები ხდებოდნენ და „კაროს კამანდაში“ იწერებოდნენ... ეგეც შენი კაროს მიერ გაწვრთნილ-დაგეშილი თაობები და ეგეც შენი კაროს მასწავლებლობა!..

...კაროს ბელადობა შეუვალი იყო... ნადირობის დაწყებამდე იანვარას კარო საბელზე ჰყავდა ხოლმე... მუშაობდა ხროვის კანონი და დანარჩენი ძაღლებიც ისხდნენ და უყურებდნენ ბელადს, უმისოდ არავინ ცდილობდა აქეთ-იქით სირბილს... ელოდნენ, რას მოიქმედებს ბელადი... ნადირობის დაწყებისას იანვარა ახსნიდა საბელს და იწყებოდა საქმე...

...იმ დღეს შალვამ მოკლა კიდევ ერთი

ტახი და ნადირობაც დაიხურა... სამი გვქონდა და მეტს ვერ წამოვიღებდით...

...ერთხელ შეგვაგვიანდა და კუტკაშენში ლიაქში მიმავალი ვეღარაფერი ვნახეთ... დავბინავდით იქაურ „სასტუმროში“, ფანერკებით აჭედებულ აივნებიან, ფარღალალა შენობაში... შემოსასვლელთან, ეზოში ეწყო ჩვენი ნანადირევი ღორები... სასტუმროს ბინადართაგან რამდენიმე უქმად მყოფი შეიკრიბა, ლაპარაკობდნენ, მსჯელობდნენ, რაღაცებს გვეკითხებოდნენ... წინ გამოხტა ერთი წითური, გამხდარი კაცი და გვეკითხება:

— ა სკოლკო ზაპლატილ, აა?..

ჯერ ვერ მივხვდით, რას გვეკითხება... მერე აგვიხსნა, აინტერესებდა, რამდენად მოგვყიდა იანვარამ ეს ღორები?..

მაშინდელ აზერბაიჯანში ასეთი რამ ჯერაც გაუგონარი იყო... ეს იმას უდრიდა, კაცი სტუმრად დაგეპატიჟნა და მერე ფული გადაგეხდევინებინა... ამ წითურის აჩემება სამარცხვინო სიმდაბლის დაბრალება და შერაცხყოფა იყო... ბოლო-ბოლო გავერკვიეთ და გავბრაზდით... უცებ გამოიჭრა სასტუმროს „ადმინისტრატორი“, ცხრამეტი წლის ბიჭი ალადინა, წითური უკან გასწია და დაიყვირა:

— და ნე სლუშაი ეგო, ნე სლუშაი!.. ონ არმიანკა, და!..

„არმიანკა“ სადღაც წაიყვანეს, გაგვარიდეს... ოთახში ავედით და ფეხდაფეხ მოგვყვა ალადინა, შემოვარდა და — „ვოთ სმატრი!..“ — გაშლილი პასპორტი მოგვაჩეჩა... წავიკითხეთ: ბაღდასაროვ გრანტ ვართანოვიჩ... ფოტოდან წითური „არმიანკა“ გვიყურებდა...

...ალადინა დიდი მონდომებითა და აკურატულობით ეკიდებოდა საქმეს: კლიენტებისაგან იბარებდა პასპორტებს, ავსებინებდა გრძელ ანკეტებს, წერდა ქვითრებს, ცალკე, დიდ დავთარში მკაფიოდ, ლამაზად იწერდა პასპორტების მონაცემებს... (?). მხოლოდ შემდეგ გაირკვა, რომ ალადინა თითონ არ ყოფილა „ადმინისტრატორი“... „ადმინისტრატორი“ იყო ბიძამისი, რომელიც მეტწილად „ისვენებდა“ და ალადინა სიამოვნებითა და სიამაყით ენაცვლებოდა „თანამდებობაზე“...

— სმატრი, ვიდიშ?!. ია სკაზალ არმიანკა!.. — დაიყვირა ალადინამ და უცებ პასპორტი გადახია და ნაფლეთებად აქცია...

— ეეე!.. ჩტო დელაეშ!.. — ერთად ვიღრიალეთ მე და შალვამ...

— ააა!.. სკაჟუ პატერიალსა, და!.. — ხელის აქნევით გვიპასუხა ალადინამ...

...გავიდა წლები და აზერბაიჯანში ძველების გასაკვირად „ბაღდასაროვის კონცეფციამ“ გაიმარჯვა... თბილისელმა ჯიბესქელმა და ღიპიანმა ბიძიებმა ფულზე გარყვნეს აქაური მონადირეების მთელი ერთი ფენა და თავმომწონე, უანგარო მასპინძლები, ძმადნაფიცები და ნადირობის პარტნიორები (ნადირობაში პარტნიორობა ხომ ძმობის საუკეთესო ფორმაა) გამორჩენაზე გაწუწკებულ მსახურებად აქციეს... შეგვიძლია ვიღადაოთ, რომ „ფეოდალური ხანის“ რაინდული ურთიერთობები შეცვალა „კაპიტალიზმის“ ვაჭრუკანულმა ურთიერთობებმა... ძველი თაობა ამ მოვლენას ზიზღით უყურებდა და ახლოს არ იკარებდა, მაგრამ ნათქვამია, ძალა (ესე იგი, ფული) აღმართს ხნავსო და რას იზამ?..

ამით არ დამთავრებულა საინტერესო ამბები იმ საღამოს... მოწყენილები ვიჯექით, გასართობი არაფერი გვქონდა, დაძინება ადრე იყო...

— დალევის დროა, ფული რომ გვქონდეს... — თქვა შალვამ...

ამ დროს ისევ გამოჩნდა ალადინა, თან სამი კაცი მოჰყვა... ერთს სამვარსკვლავიანი კონიაკის ბოთლი ეკავა... ალადინამ გვითხრა: ესენი ჩემი მეზობლები არიან და გურჯებთან ძმობის სადღეგრძელოს დალევა უნდათო... კიდევ სამი კაცი მოვიდა და ორი ბოთლი არაყი მოიტანა... აზერბაჯანელები ძალიან აღელვებულები ლაპარაკობდნენ, გვაქებდნენ და გვაქებდნენ... ნახევარი არაფერი გვესმოდა, მაგრამ ტრიალებდა ერთი მორიგე ფრაზა: „კაგდა ვ ჩირავაბად ვაინა ბილ...“ (მაშინ განჯას კიროვაბადი ერქვა)... მაგრად დავიბენით... რის „ჩირავაბად“?.. რა „ვაინა“?.. კიროვაბადში ომს რა უნდა?.. შუა საუკუნეებზე ჰყვებიან?.. ჩვენ რა შუაში ვართ?.. საიდან სადაო?.. ალადინამ სასტუმროს ერთი კლიენტი მოიყვანა... კიროვაბადელი ბრძანებულა და, აი, რა გვიამბო:

...კიროვაბადში სომხების ერთი დიდი რაიონი ყოფილა, იქვეა სტადიონიც... სამი დღის წინ მატჩი გამართულა სომხებსა და აზერებს შორის... იგებდნენ სომხები, მსაჯობდა სომეხი... აზერები ჩაცვივდნენ მინდორზე და დაცხეს მსაჯსაც და ფეხბურთელებსაც... ჩამოცვივდნენ სომხებიც, ატყდა მასობრივი ცემა-ტყეპა, საქმეში გავიდა ქვები, კეტები, დანები... აზერბაიჯანელმა მილიციელებმა დააძრეს „ტაბელნი“ იარაღები და ესროდნენ სომხებს...

— ი ვ ეტო ვრემია, — ჰყვებოდა კიროვაბადელი, — პრიეხალ ადინნაცატ „ზიმ“** გიურჯი ნამ პამაგაც!.. ანი დრალის ვმესტე ს ნამი!..

...რუსების სამხედრო ნაწილმა სწრაფად აღკვეთა ინციდენტი, დარჩა რამდენიმე მკვდარი და უამრავი დაჭრილი... და დაიბადა და ქვეყანაში დატრიალდა ცხელ-ცხელი ლეგენდა!.. თერთმეტი, გურჯებით გატენილი, „ზიმ“-ი!.. კიროვობადელების დასახმარებლად!.. რავარია?!.

...ისევ ატყდა აღტაცებული შეძახილები, გვეხვეოდნენ და გვკოცნიდნენ... ჩამოყალიბდა ვერსია, რომ ისტორიის მანძილზე, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხები მუდამ ერთად, მხარდამხარ იბრძოდნენ ყველა ჯუ-

რის საზიზღარ მტრებთან... ვერსია ყველამ უყოყმანოდ მივიღეთ და დავამტკიცეთ...

...ღამის პირველ საათზე ზოგს აქვე ეძინა, ზოგი მიბანცალებდა და ერთიც ისევ იდგა და კიდევ რაღაც ტირადას კითხულობდა... შიგადაშიგ დაჟინებით მოითხოვდა ყურადღებას და ბრაზობდა...

ერთხელაც ასეთი ამბავი მოხდა: ნადირობიდან ვბრუნდებოდით საღამოსპირზე... თოკებჩაბმულ ორ ნეზვს მოვათრევდით რიგრიგობით... დაღლილი ძაღლები ჩვენს გარშემო გაფანტულად, უხალისოდ მოჩანჩალებდნენ... უცებ იანვარას თითქოს დენმა დაჰკრა, ისე შედგა და მიიხედ-მოიხედა... ძაღლები აღარა ჩანდნენ... მეც იმ წუთში გამახსენდა: ამ ადგილას იანვარას ყოველთვის საბელზე აჰყავდა კარო... საქმე ის იყო, რომ ქვეით ხევში, სოფლიდან გარიდებულზე შინაური ღორების ფერმა ჰქონდათ ნოუშტაკელებს... მოგეხსენებათ, რომ იქაურები ღორის ხორცს არა სჭამდნენ და საერთოდ სოფელშიაც არ აჭაჭანებდნენ ღორებს... კოლმეურნეობის წესით კი ვალდებულები იყვნენ, ღორის ხორცის წლიური ნორმაც ჩაებარებინათ სახელმწიფოსათვის... ამიტომ იყო, რომ კარო და ძაღლები ღორებს არა ცნობდნენ „შინაურისა“ და „მეზობლების“ კატეგორიაში და მათზე თავდასხმა ისეთივე აუცილებლობად მიაჩნდათ, როგორც გარეულებზე... იანვარამ თოკი დააგდო და ხევისაკენ ფერდაზე გადაეშვა... ამ დროს გაისმა ყურისწამღები ჭყივილ-ღრიალი და თოფიც გავარდა... განგაშმა დამკრა თავში და ფეხამდე გაიარა... გიჟივით გადავეშვი იანვარას კვალდაკვალ... ქვემოთ ვნახე: მუხლებზე მდგარ იანვარას ორივე ხელით ეკავა კაროს თავი და სახეში ჩასჩერებოდა... კაროს გვერდში ჰქონდა ნატყვიარი... ისე ახლოდან იყო ნასროლი, რომ პიჟი შიგ ჭრილობაში იყო გაჩრილი... კარო მკვდარი იყო... ახლო-მახლო ეყარა სამი დაგლეჯილი ბურვაკი, ერთი ჯერ კიდევ ფხარკალებდა... იქვე ეგდო ყელგამოღადრული და ქეჩოგადაგლეჯილი დედაღორი... მეორე ფეხზე იდგა, ჭრილობებიდან სისხლი სდიოდა და ყანყალებდა... ფერდაზე აქა-იქ მოჩანდნენ დაბნეულად ატუზული ძაღლები... იანვარა უცებ წამოდგა და შეშლილი მზერა მოატარა.. კიდევ კარგი, სულიერის ჭაჭანება არ იყო არსად... ყველას პირწმინდად მოესწრო დათესვა... იანვარამ დასტაცა ხელი, ნიჩაბი იყო თუ თოხი და ლეწვა-მტვრევით დაერია იქაურობას, მალევე მიაგდო და სათივეს ებდღვნა, გადმოშალა, მიაყარა და მიაყარა ფიცრის კედლებს და მისცა ცეცხლი... ამ დროს ჩამოცვივდნენ შალვა და ხანლარაც... ესენი შეძლებდნენ იანვარას შეკავებას, მაგრამ გვიანღა იყო — ფერმა უკვე კოცონივით ბრიალებდა... მე კი რისი შემკავებელი ვიყავი, გამხეცებული ვეხმარებოდი იანვარას...

ის ღამე იანვარასთან გავატარეთ... ნახევარი სოფელი იქ მოგროვდა... იყო ყაყანი და განსჯა-მსჯელობა... არაფერი გვესმოდა, მაგრამ შიგადაშიგ ხანლარა გვითარგმნიდა... იანვარას ცოლს ამშვიდებდნენ: ნუ ინერვიულებ, ხანძრის ამბავს მთელი სოფელი ჩავფარცხავთო... იყო თათბირი, როგორ გაერიდებინათ მეღორეები აქაურობიდან, სანამ იანვარას ცოფი არ გაუნელდებოდა... გათენებისას დავმარხეთ კარო... ყველანი მოწამლულები ვიყავით ცარელა არყისა და თაბაქოს გემოსაგან და ბოღმისაგან...

ძალიან დიდი დრო გავიდა... „ძაღლის საუკუნე“ (14 წელი) ოთხჯერ გასრულდა... ისე რომ, კარო თავისი სიკვდილითაც ოთხჯერ მოკვდებოდა ამ დროის მანძილზე... მაგრამ ისევ როგორღაც მტკივნეულია მისი უაზროდ, „ცუდად“ დაღუპვის გახსენება...

---

* დევიდ ლივინგსტონი — სახელოვანი ინგლისელი მოგზაური და მკვლევარი, აფრიკის ტერიტორიების პირველგამვლელი.

** ზიმი — იმდროინდელი საბჭოეთის ყველაზე დიდი და კომფორტული ლიმუზინი.

ვასილ ბესელია

* * *

წვიმს ახლაც...

წვიმდა და...
არ იყვნენ
კოჯორში ჩიტები,
წალეკა სიჩუმემ
ერთი დღე მკათათვის...
უკუთვლას ვიწყებ და
არ მყოფნის თითები,
იმ ზაფხულს ვეძებ და
იმ წლამდე რა დათვლის!

თითქოს მეც სიჩუმის
ღრუბლიდან დავეშვი,
სიჩუმე წვეთავდა
ფოთლების მოვიდან...
...და მერე შენს მწვანე,
წვიმიან თვალებში,
მთელი წლის ნალექი
ერთ დღეში მოვიდა.

ახლაც ის წვიმები
კოჯრიდან არ მიშვებს,
(სად ნაძვებს ლარივით
მოუჩანთ წვივები)
და ჩუმი დღეების
ჩავარდნილ კლავიშებს
ჯიუტად კენკავენ
გამშრალი წვიმები...

წვიმს ახლაც...
ამ წვიმამ
რა უნდა უშველოს
იმ მწვანე თვალების
ცრემლიან ქლოროფილს...
წვიმს ახლაც...
და შევრჩი ამ წკვარამს უშენოდ,
როგორც იმ ცრიატი
დღეების ბოლო ფირს...

წვიმს ახლაც...
ახლა ვართ
საყვარლად დიდები,
წვიმს...
და იმ წვიმების
ალმური გადამდის...
უკუთვლას ვიწყებ და
არ მყოფნის თითები,
იმ ზაფხულს ვეძებ და
იმ წლამდე რა დათვლის!..

წვიმს ახლაც...
ცის კარვებს
ღრუბლების ჟინი შლის,
და წვიმა მისველებს
წერილის კაბადონს...
...და მე ამ წვიმის ლექსს
ვატან შენს შვილიშვილს,
წარწერით:
„ჩემს ძვირფას,
ჭაღარა ქალბატონს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *
შედედებული
დღეების გუბე,
ტალახი,
ბზე და
ქოხი ალიზის...
უნთია ბინდის
გაგუდულ ღრუბელს
ჩამქრალი ცეცხლი
ჩამავალი მზის...

შავია ზეცის
ყველა ფანჯარა,
და კვამლი მიაქვს
ცისკენ ტარტაროზს...
სადაა ერთი
თეთრი ყვანჩალა,
რომ ეს შავი დრო
დააყრანტალოს!..

შენ კი ეჩვევი
დუმილის სივრცეს,
თუმცა დუმილის
გემო გემძაღა,
თუმცა პულსივით
გახსოვს და გიცემს,
რომ შავ-თეთრ კადრში
შავად შენცა ხარ...

და ერთხელ მაინც,
ის ხმა,
ზემოთა,
გამოგახედებს
ბოლო სიმწრიდან:
— რაც ღმერთს უდრიდა
და არსებობდა
ის —
არარსებულს
უდრის პირწმინდად...

ამოღამებულს
ისრისავ გუგებს
და ღრუბლის ხვრელში
ავი თვალი ზის...
...საღამო,
ბზე და,
დღეების გუბე,
ჩამქრალი ცეცხლი
ჩამავალი მზის!..

ჩიტი

სიყვარულის და
ლექსის დიდ ჭიქებს
ვცლიდი და...
დამრჩი იმ დიდ ჭიქებთან...
ღმერთო!..
ეს ჩიტი ისე ჭიკჭიკებს —
ერთდროს
კოჯორში რომ ჭიკჭიკებდა!..

ვარ უკვე ზამთრის
შავთეთრი ჩითით,
მარტო ვარ ჩემი
ბოღმის ას კუბთან!
...აფრინდა
აწმყოს
ტოტიდან ჩიტი
და ხსოვნის გამხმარ
ტოტზე დასკუპდა!

* * *
...შენ შემაგებებ,
ღიმილით ჯერაც,
ერთდროს საჩემოდ
ნასწავლ მიმიკას...
გიკვირს —
შენს მკერდზე
დახრილი მზერა
საწვიმარ ღრუბელს
რატომ მიმიგავს...

გიკვირს,
რომ ვარ და
უშენოდ ვცხოვრობ,
რომ ოცნების ხემ
ველარ იკვირტა...
...მე კი,
თუ მიკვირს,
ის მიკვირს მხოლოდ,
რომ რაც არ მიკვირს —
რატომ მიკვირდა!

* * *
არსად ვარ და...
დაკარგულიც შენს წინ ვარ,
თავს გაწონებ —
ისევ დიდის ამბით...
ველარ მოვრჩი
ოცნებების შეწირვას,
ველარ გავცდი ამ ცხოვრების გამბიტს...

ყველა გზა რომ ჩაკეტილი წრეა,
მერე მივხვდი —
ცდა რომ დაგვრჩა თითოღა...
ვერ წაუველ
ამ უაზრო წრიალს,
ვერც სიმართლეს —
„შენც მაგარი ხვითო ხარ!“

ზამთრის ქარი
თათებს ზურგზე მაბჯენს,
უნდა ამ ქარს
ზურგჩანთაში ჩატევა...
მივაბარე სული უკვე გამჩენს
და ცარიელ
ჭურჭელივით მჩატე ვარ...

შენ ხარ სადღაც,
შენი წლებით სავსე,
მე არსად ვარ,
აღარც ჩემი ხნისა ვარ...
და ლოდინით გახუნებულ ცაზე
ამ ლექსს გიწერ —
დავინყებულ
მისამართს...

ქარიანი კვირა

ცდება,
ვინც ამ ქარს სამართალს უქებს
(თუმც მაქებარნიც დავრჩით ცოტანი)...
რაც მოგვიტანა,
წაიღო უკვე,
და ახლა ჩემობს უფლის მოტანილს!..

* * *
შენს ცოდვილ გზაზე,
გზაზე მხევალის,
ყრია დამჭკნარი
ალეანდრები....
დარჩები მარტო...
(ხარ ნახევარი
და ვერასოდეს
გამთლიანდები)...

მე უგზო-უკვლო
მოგზაურს ვგავარ
ჩემი ცხოვრების
აბლაბუდებით...
მე შენგან, როგორც
სახლიდან,
გავალ
და მერე
სახლში...
არ დავბრუნდები...

* * *
იცოდე,
შენსკენ
ერთი გზა რომ მაქვს
(თუმც ლეთას მიაქვს
იმედის ნავი)...
რომ ჩემი თავის
ჩემგანვე პოვნას
შენგან
დაკარგვა სჭირდება თავის!..

ისიც იცოდე,
შემპარავ რჩევით,
შენ —
სიამაყის ვარდი რომ გთენთავს,
თუ არ დავკარგე
მე თავი ჩემი,
შენ ვერასოდეს იპოვი შენ თავს...

პანთეონი
ხუმრობა

წნევა დამდევს, კიდო მეტი —
ამ ბოლო დროს
გლახათ დამდევს...
სამასია კილომეტრი
სენაკიდან მახათამდე...

წავიდოდი...
(ჯვარი ქელეხს —
არ გეშლება შენ მაგიდა),
მარა,
რაფერ ივლის ცოლი
მახათამდე...
სენაკიდან!..

* * *
როცა ღვარცოფად
საზღვარს გადივლის
დღეები ფიქრის,
იჭვის და დავის,
შემრჩება ხელში
ფუჭი ქადილი,
ვერ გავიტანე ლექსებით თავი...

ძნელია ახლა რამის გარჩევა,
ადგილს კარგავენ სულში საგნები,
შენ ერთიც წახვალ...
და მე დავრჩები
ერთ მთელზე, უკვე, ერთით ნაკლები...

წყდება დღეები
თითზე დათვლილი,
და გზები წყდება აღმართის ძირას...
...ვლოკავ ამ ტკივილს
მურა დათვივით
და სინანულის
ბუნაგში მძინავს...

* * *
ბედს ისევ
უღმერთოდ ვერკინები
და ისევ ვმარცხდები ხალიჩამდის...
წვიმების მიმყვება რექვიემი
და სულის მღვიმეში წყალი ჩამდის.

აწი მე ამ წვიმებს სად წაუვალ
(როცა ამ ჟინით და ასაკით ხარ!),
როცა ვერც რაიმე სასწაული
დავწერე — ვარგოდეს წასაკითხად.

იქნება ბოლოჯერ დამესიზმრო,
და მკლავზე შემახო მკლავი შენი...
თორემ ამ წვიმიან კლავესინზე
ჩამოწყდნენ მტრედების კლავიშები...

წვიმს...
და ეს წვიმები არ მჭირდება,
არც ის გზა — გულში რომ გეფერები...
აღარც ეს ფიტული ნარჩიტების,
აღარც ეს ქაღალდის გერბერები...

ჩემს დღეებს
როგორმე დავიღამებ,
სიკვდილთან
ამაო ჩალიჩამდის....
...წვიმს...
წვიმს და
წვიმებით დავიღალე...
და
სულის ნაპრალში...
წყალი ჩამდის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია სტურუა

Memento Mori

* * *

ადამიანის გაშლილი ხელები
ჯვარს რომ მიაჭედო, ქარი მოკვდება.
მოსახვევებში მდინარე ჩაწვება გრძლად,
მის მუხლებს მზე მოარბილებს
და მოამრგვალებს, ცხელ გუნდებს ჩაუწყობს
მკერდსა და თეძოებში,
კუთხეების უმადურობას აარიდებს...
მაგრამ ის კოცნა!
პირში ჩადგმული საშაქრე!
ტკბილი დამსმენები! თუ არა ტკბილი,
ისე ვერ გაყიდიან პოეტს,
რომელიც რას აკეთებს?
სიტყვას იმდენჯერ იმეორებს,
რომ ბოლოს ალისფერი ზარი დარეკავს!
ეს როგორღა უნდა გამოხატო?
იმან იცის,
ხელები რომ ჯვარივით გაშალა
და ქარი მოკვდა...

ლექსი, ციტატით ადრინდელი ლექსიდან

ნახატი რაა?
„არ იცი, სად წაიღო ხელებით“ ფრენა?
კედელი, რომელზეც კიდია,
შუბლით მოდის ჩემკენ, მზისკენ,
მარტო ტიხარი კი არ არის,
დამოუკიდებლობა ჩემზე ადრე მიიღო,
რისი შანსიც მქონდა, როცა
სიმაღლეში ვიზრდებოდი მწვანიდან ლურჯისკენ,
ზოგჯერ შავიდანაც, მაგრამ მთავარია, სიმაღლეში!
ხელებსაც ვახმარდი, მაგრამ მარტო ლურჯისკენ!
ის მხატვარიც მიყვარდა, ამიტომ ფრენა!
რომ წავიდა, სიცხე ჩამისახლდა
(აბა, ამხელა ფართობზე მარტო?)
სისქე ხომ აქვს, სიგანეშიც იზრდება,
ჩემზე უფრო ნამდვილია, თარაზულად აზროვნებს
ასეთი ნიადაგი ვერტიკალებს ვერ ამოიყრის,
ვერ იკითხავს: — რა არის ლურჯი?
რომ შოპენში ჩააყოფინონ ხელები
მერე ამ „არ იცის სად წაიღოს ხელებით“
იფრინოს ჩემთან ერთად უკვე პირიქით:
ლურჯიდან შავისკენ. როცა შიგადაშიგ ამწვანებულისკენ,
ეს, მაინც, უხარია?

SOS!

პიეტეტი მაქვს ამ მთების მიმართ!
ზურგით რომ დავუდგე, ასე მგონია,
თვალებს უკუღმა ამომიყვანენ,
თუ ამოვიღე მხედველობიდან, მესიზმრებიან,
ეს უკვე ქალაქში, როცა ბოლო ჩაი,
კიდევ ერთი გადაგორებული დღის
შარავანდედი, ძნელად ჩაქრება,
რომ მეორე დღე, მაინც, ამომიხტეს
მკვეთრი და უასაკო, ახალგაზრდობის ზღარბივით,
რაც იმას ეკლები უვარცხნეს
და რძე ასვეს, ხასიათის კუთხეები
ვერ მოურბილეს,
ვერც პიეტეტი მთების მიმართ!
გუშინ ტელევიზორში ნაძვი კიოდა!
საინფორმაციო გამოშვებაში იდგა
და კიოდა!
ხერხემალი სწორი ჰქონდა, ქვეყნის ღერძივით,
ჩვენი სქოლიოზიანი და ოსტეოპოროზიანებისგან
განსხვავებით და ცეცხლი ეკიდა
რა ვუშველო?
ანგელოზებს რომ აკრომეგალია დაემართოთ,
ვერტმფრენებად ივარგებდნენ, მაგრამ ამ ხეობას,
ეტყობა, ცოტა ანგელოზი ყავს,
ხანძარს ვერ აქრობენ
უმწეო მთები! ერთმანეთის გადარჩენა
რომ შეგვეძლოს, თურმე
როგორ უნდა მიყვარდნენ!

თამასა

ადრე ყური მუსიკაზე მქონდა მიდებული,
ახლა — საკუთარ ორგანიზმზე.
როდის დაკარგა აბსოლუტური სმენა?
მუცელს, საიდანაც იწყება შიში,
ჟრუანტელი, მერე ცეცხლი,
დეტონაციებს ვამჩნევ,
აღარ მკარნახობს ადამიანს,
ასეთივე ჟრუანტელიანს,
ბრონქებში ხრინწიანი მამლებით —
რაც წითელი გამოდნა მათი ყვირილიდან,
გლანდების ბორცვები ამიშენა,
ინტონაცია დამივიწროვა, ზედსართავები შეანელა,
და ყოჩაღი ზმნების ენერგეტიკა
ინფორმაციის სიზუსტემდე მიიყვანა,
იქაც, ტანის ანარქია: ფილტვები ყელში,
მუცელში ჩავარდნილი გული, ცოფიანი ღვიძლი...
რამდენი ბოსხი უნდა გავაჩინო,
რომ კომპოზიცია მომიწესრიგონ?
ცხოვრების ბოლო წრეზე მაინც, აქაც მეცხრეზე,
როცა თმის ღერები და თითების ანაბეჭდები მტკივა,
და კიდევ, ისეთი აბსტრაქცია, როგორიც თამასაა!
არც დედა ვარ მისი, არც შვილი, არც ცოლი,
უფრო ვასალი, მთელი სიცოცხლე
სიმაღლეში მახტუნავებს.
როცა მიწის საბოლოოდ შემეშინდება,
ჩამოვეკიდები, ხაზი არ უჩანს და ტოტი,
მაინც ჩამოვეკიდები
და ერთმანეთი გვეტკინება.
ტკივილსაც აბსოლუტური სმენა აქვს...

სიცხე

ამ მუსიკაში იმდენი ტანი დევს,
შესვლა რომ მოგინდეს, ვერ ჩაეტევი
და, მაინც, სიცხე მეტია...
დამტვრეული შუშა ბოთლების, ნათურების
ტკივილს სხვა რიტმი აქვს! სიცხეს?
თვალების შუშა უფრო მყიფეა
შეგიძლია, თვალს წყალი დაალევინო?
წინაპარი მიწის მუშა
საიდან აიღო ეს მეტაფორა?
შენ ჩაგიფიქრა, ვისაც არც მზის, არც მთვარის,
საკუთარი თმის შუქზე შეგიძლია წერო,
მუსიკა მოიგონო, სადაც იმდენი ტანია,
ერთმანეთზე რომ გაამრავლო,
სახელმწიფოს მიიღებ, რომლის მონარქი
ჯერ მოგკლავს, მერე მონანიებას დაგიწერს
ლექსად, თავს შეგაყვარებს
აგერ, 21-ე საუკუნემდე,
ბოლო წერტილი სულ გიჭირს,
გზა გირჩევნია, თვითონ გზას
ფიქრი მასზე, მერე? მუსიკა,
მაინც მუსიკა, ტანების რიტმი,
მზის ყურადღება, მამაკაცური, გეხვევა, გადნობს,
რელსივით სწორი და ცივი რომ არ დაგინახოს,
ამიტომ ამხელა ზაფხული?
ეს სიცხე 2017?

ჩემი კანონი

ორთოგრაფიას, ერთადერთ კანონს,
ვემორჩილები საკუთარ სივრცეში,
სადაც ვერბალური გაფრენები მაქვს,
ლურჯი სოლო, ნარინჯისფერი გუნდები —
ერთი ბგერით ნათესავები და იმდენი სისხლით,
რომ ჯვარსაც ეყოს, ჯოჯოხეთის ქვაბებსაც,
შუაში კონტრასტი მწიფდება,
ყვავილობის გამოტოვებით,
კლიშეების გვერდის ავლით
მოხარშე დრო! იქირავე არენა, ყლაპე ცეცხლი!
სანახაობა ისეთივე ტყუილია, როგორც შემოქმედება,
მაგრამ იმას ესწრებიან და რას იზამ?
ამხელა ნარინჯისფერში, თითქმის ქვეყანაში,
ლურჯს შეიტან — წვეტიანი ნემსების ჯარს,
გაყინულ სოლოს?
ლოგიკა რომ მოეკითხება, მერე მართლწერაც,
როცა გუნდი რეფრენებში ჩაავიწროებს,
ოღონდ, ყოყმანი არ შეგამჩნიონ,
კითხვის ნიშნების სიმრავლე!
შენი კანონი — ორთოგრაფია ცის სიმაღლეა,
მიწას თავისი კანონები აქვს,
შედარებით კნინი, რადგან ხელმოსაჭიდი,
გვერდის ასავლელიც, როცა ქუჩაში
ჭადრები დგანან, მშვიდი ყვითელი,
მიუხედავად იმისა, რომ მოჭრეს
და სამხატვრო სალონთან კაცი გელოდება
ისევ მიდიხართ, არ იცი სად:
უფრო აშკარა შემოდგომისკენ?
(ნარინჯისფერი ფორტე!)
თუ იქ, საიდანაც არ ბრუნდებიან?

მარტოობასაც გააჩნია

სანამ ცხოვრება თავგადასავალია
და არა ავტობიოგრაფია,
ქაღალდის გემოთი პირში,
სანამ გყავს კაცი, რომლის
მხრებიდან გეზრდება ხელები
(იხ. ტექსტი ჩემი მცენარეული
წარმოშობის შესახებ),
თუ არ მიჯერებენ, ვაყვირებ ამ ტექსტს,
არის ასეთი მომენტებიც,
თორემ, აბა, საიდან ლექსი?
აქეთ-იქით ეპითეტები,
შუაში, კუზივით, მეტაფორა
რა თავგადასავლებს ინახავს:
პადაგრით დათრგუნულს, თუ ჰეგზამეტრით
წაქეზებულს?
მოქსოვილი სამშობლო მოსალოდნელზე ვიწროა,
ჩემი ხე მოჭრეს, საიდანაც
აყვავებული ხელები ამომდიოდა,
ესენი დიაგნოზით გამიპარსეს,
ზღვიდან ვბრუნდები, სადაც
ადამიანები — სიყვარულის ინსტრუმენტები,
გონიერი კონსტრუქციები, მაგრამ არავინ ისეთი,
ქონგურებიან გვერდებში რომ ჩავეზარდო
და არ იყოს ზღვარი, არც წერტილი...
ასეთი პორტრეტები აღარ იხატება!
უფრო ჯგუფური ფოტოები ინტერიერში,
აქაც, რკინიგზის ბაქანზე —
ნორმალური, კოლექტიური მარტოობა,
ამ სქემაში ვერ ეწერები?
წადი, გზის პირას აყვავდი!
რომელიმე ხე დაგამტვერიანებს
ყოველგვარი ემოციის გარეშე
ესეც ქორო!
ტაქსის მძღოლს ვეუბნები:
— ჩემი ქმარი უნდა დამხვედროდა,
მაგრამ მოკვდა და ვერ მოვიდა...

* * *

ცხელა. თავზე მოხარშული ცა მადევს,
გარშემო გაუმჯობესებული ადამიანები დადიან,
შუბლის ჩარჩოში ან რუტინა აქვთ ჩასმული,
ან ფრაგმენტი ფიროსმანიდან,
აღარ გეშლება ვის როგორ მიმართო...
დასიებულ ემოციებს სიტყვებში ვტენი,
ორი ზომით დიდი ჭირდებათ...
საზომებში და ოქროს კვეთებში ვიხლართები,
ინტელექტი მაცივარში დევს
ან რად მინდა?
წასვლის სურათი მკაფიო უნდა იყოს
და მარტივი, სიხარულივით:
მაგ. ასეთი: მინდორში ვარ
და ფეხის თითებიდან გვირილები ამომდის!
იქნებ ამის გამო ვერ დავდივარ
და არა იმიტომ, რომ მოვკვდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუანშერი და კახაბერი

ანუ პარალელური წრფეებიც იკვეთებიან

ლევან ლორია

როგორც კი კახაბერი დაიბადა, ჯუანშერის ფიქრი ის იყო, სკოლის შემდეგ ისტორიულზე უნდა ჩავაბარებინო, რაც შეიძლება მალე მივაღებინო კომპარტიაში, მერე მინიმუმ რაიკომის მდივანი გახდება დაწინაურების პერსპექტივით და რაღა აკლია, იქნება ცეკას მდივანიც გახდესო. ამას ყველაფერს მეუღლესთან, მშვენიერ და თვინიერ მაგდანასთან ათანხმებდა და ისიც კვერს უკრავდა, რადგან იცოდა, მზე და მთვარე ამოსდიოდა ჯუანშერს თავის ერთადერთ შვილზე და დედის ნუგეშზე. თვითონ ჯუანშერს აგრონომიული ჰქონდა დამთავრებული. სოფლის ხილის მიმღები პუნქტის გამგე იყო და გულდედავა ტყემლით თუ გულაბა მსხლით დატვირთული მანქანებით მდიდრდებოდა და ავსებდა ახალ-ახალ მუთაქებსა და ბალიშებს ბელადისთავიანი კუპიურებით, შემნახველ სალაროს წიგნაკში კი ხუთნიშნა რიცხვზეც იყო ასული. ის დრო იყო, როცა კომუნისტური პარტია თითქოსდა მგზნებარე, მუხლჩაუხრელი შრომით რომ ცდილობდა კომუნიზმის აშენებას, თან კი ერიდებოდა უკან გამოხეული შარვლის, მაგრამ ძალისხმევას არ იშურებდა, როგორმე დაწეოდა და გადაესწრო ამერიკისთვის. ისიც უნდა ვთქვათ, კომუნიზმი რომ უსაქმური ხალხის მოგონილი ზღაპარი იყო, მაშინაც ჰქონდა ეჭვი ჯუანშერს, იმდენს კი ვერ მიხვდა, ეს დაგროვილი ფული დროზე გამოეყენებინა. ჰოდა, შეიცვალა ფული და დარჩა ისევ იმ ფუნქციაარდგენილ ბალიშების და უფუნქციოდ დარჩენილი სალარო წიგნაკის, ხილის მიმღები პუნქტის და მცირეოდენი, შავი დღისთვის შემონახული დოლარების ამარა, ხოლო კომუნიზმის აჩრდილი მხოლოდ ჩინეთშიღა თუ დაძრწოდა და მისგან შეშინებული ჩინელები დამშეული კალიებივით იყვნენ შესეული მსოფლიოს და საქართველოს ტყეებს, მინდვრებს, სოფლებსა თუ ქალაქებს.

კომუნისტობა უკვე სირცხვილადაც კი ითვლებოდა, ზოგი ჩუმად, ჩამქრალ სანთლებთან ხევდა პარტიულ მანდატებს, ზოგიც საჯაროდ, პარტიულ კრებებსა თუ მიტინგებზე, ზოგჯერ თავისას და ზოგჯერ სხვისას. ჯუანშერი შვილის მომავალს უკვე ბუნდოვნად ხედავდა.

ეს ის პერიოდია, როცა კიდევ ერთი იმპერია ღაფავს სულს და თავზე ტყლაპიანმა საბჭოთა ლიდერმა ვითომდა მეტისმეტი დემოკრატობანობით „პერესტროიკა“, ჯუანშერის თარგმნით გადაშენება, დაიწყო. ქვეყანაში გაშლილ ეროვნულ მოძრაობას კახაბერმაც აუბა მხარი. მეცხრე კლასში იყო, თითქოსდა საყვარელი მამიდის სანახავად ვანში რამდენიმე დღით დასავანებლად წასულმა, დიდ ქალაქს რომ მიაშურა და აპრილის აქციებს შეუერთდა. მაშინ მობილური არ იყო, მისი ადგილმდებარეობა რომ გადაემოწმებინა და სახლში მშვიდად მყოფ ჯუანშერს ამბავი მოუტანეს, შენი კახაბერი მთავრობის სახლის წინ წამოწოლილა და შიმშილობსო. ჯუანშერმა ამბის მომტანი გააფრთხილა, მაგდანას არაფერი უთხრაო, თვითონ კი დიდ ქალაქს გადაწყვიტა წასვლა. საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი საბჭოთა სისტემის სისასტიკე, სტუდენტობისას ცხრა მარტის ღამეს მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, ვიღაც თეთრით მოსილმა ქალმა უთხრა, წამომყევიო და ტყვიების ზუზუნს ისე გამოატარა, ნაკაწრიც არ მიუღია, იღლიასთან გახვრეტილ ნათხოვარ პალტოს თუ არ ჩავთვლით. ის ქალი ისე გაქრა, მადლობაც ვერ უთხრა. გადარჩენილ ჯგუფელებს ეკითხებოდა, ქალი ხომ არ დაგინახავთ თეთრებში ჩაცმულიო. ყველა უარობდა. ერთიორჯერ კიდევ დააპირა თეთრით შემოსილი ქალის ამბის მოყოლა, მაგრამ უკბილო ხუმრობად რომ ჩაუთვალეს, მერე მიივიწყა კიდეც.

რვა აპრილის ღამეს ის თეთრით მოსილი ქალი ესიზმრა, შვილს ჩააკითხეო, ეუბნებოდა. მერე როგორ მოქცეულიყო, ის არ უთქვამს. სიზმარი არავისთვის მოუყოლია, სოფლის წყაროს წყლისთვისაც კი, მაგდანას დაუბარა, ვანში წავედიო, დასაც ვნახავო და ბაღანასაც ამოვიყვანო. მაგდანამ, ხო იცი, შენს დას ჩვენი სოფლის წყალი რომ მთელ ქვეყანას ურჩევნია და ნახევარი ლიტრი მაინც წაუღეო. იმ დღესვე ჩააკითხა შვილს დიდ ქალაქში. მალევე მიაგნო მთავრობის სახლის წინ, მწვანე ადეალაში გამოხვეულს. შიმშილობისგან დასუსტებულ კახაბერს სოფლიდან წამოღებული წყალი დაალევინა და თვალზე მომდგარი ცრემლებით სთხოვა, დედაშენს დამბლა დაეცა, უკანასკნელ დღეშია და შენს ნახვას ითხოვსო. კახაბერს, ჯერ კიდევ ბავშვს, მიუხედავად მრავალმხრივი კლასიკური თუ ჩვეულებრივი წარმოდგენებისა, რომლებიც არც თუ იშვიათად უტრიალებდა თავში, მატყუარა მამა ვერ წარმოედგინა და უსიტყვოდ გაყვა, ნენას დავხედავ და ერთ დღეში დავბრუნდებიო, გაიფიქრა. შვილს რომ გვერდით ხედავდა ჯუანშერი, სულ გადაავიწყდა, მეუღლე გაეფრთხილებინა, ყასიდად მაინც წოლილიყო ლოგინში, ან როგორ გააგებინებდა, მაშინ მობილური ტელეფონი ჯერ კიდევ არ იყო, თუმცა სისხლიანი დარბევისა და მსხვერპლის ამბავი გზაშივე გაიგეს მამა-შვილმა — ყოველგვარი მობილურის გარეშე. კახაბერს, გარდაცვლილების ამბავი რომ შეიტყო, უხერხულობის გრძნობამ დარია ხელი, პირველად შერცხვა, ცოცხალი რომ იყო, მამას გულმოსულმა შეხედა და დედაზე გაბრაზდა, რაღა ახლა გახდა ავადო.

ცისმარი კახაბერის პარალელურ კლასელი იყო; ჰოდა, ზუსტად პარალელურ წრფეებით მოდიოდნენ მთელი ეს წლები და სადღაც უსასრულობაში თუ შეძლებდნენ გადაკვეთას და როდის, ალბათ არც თავად უწყოდნენ. ყველაფერი კი მესამე კლასში დაიწყო, გაერთიანებულ ფიზკულტურის გაკვეთილზე, როცა „ჩემი ოქრო ჩემთან“ თამაშის დროს ცისმარმა რატომღაც კახაბერი აირჩია და ხელი ჩაჰკიდა. მაშინ იგრძნო კახაბერმა გულის აფრთხიალება და მტრედივით საამო ღუღუნი. იმავე საღამოს ჯერ პასტა და ფურცელი მოითხოვა, მერე დაჯდა, წერილი მისწერა სატრფოს და წერილში სამასსამოცდახუთჯერ დაწერა, მიყვარხარ. სხვა არც არაფერი. არ გეგონოთ, თვითონ დათვალა, უბრალოდ ორი გვერდი შეივსო. საპასუხო წერილში ცისმარმა (მანამდე ყველა მიყვარხარ სათითაოდ დათვალა და მერე გადათვალაო, როგორც ამბობენ) საქციელი დაუწუნა, ამ წერილის წერას სჯობდა, საგმირო საქმე გენახებინა და რადგან ნაკიან წელიწადში არ გეყვარები, ჩემი საფოსტო ყუთი დაივიწყეო. დავიწყების ვერაფერს იტყვი, რადგან ორივე ინახავდა ამ წერილებს, თუმცა გადაუკვეთ პარალელურ წრფეებად კი რჩებოდნენ ისევ და რაღაცნაირად ერიდებოდნენ კიდეც ერთმანეთს.

ლოყებშეღაჟღაჟებულმა კახაბერმა ვერაფერი თქვა, სამაგიეროდ, მეთაურს შვებულებაზე უარი არ უთქვამს, ის კი არა, კახაბერს მადლობაც გამოუცხადა კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და სამდღიანი შვებულება გამოუწერა. ისევ სამწყერე გილზებით სავსე ფალასკით და იგივე ოც კალიბრიანი თოფით ბრუნდებოდა კახაბერი სახლში. წამოსვლამდე ჯუანშერმა ცალკე გაიყვანა მეთაური და სთხოვა, კახაბერის ადგილზე სანგარში არავინ დადგეს, იქ ყუმბარა ჩამოვარდება და სჯობს გვერდით ახალი სანგარი გათხრიახლო ნათესავები, დრო და დრო ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მებრძოლი ერთი ოჯახის წევრებიც კი.

თვითონ კახაბერი ამ დროს დამამთავრებელ კლასში იყო, მაგრამ სკოლა მიატოვა, მოხალისეთა რაზმში ჩაეწერა, მამის ოც კალიბრიანი თოფი აიღო, სამწყერე საფანტით დატენილი გილზებით სავსე ფალასკა ზურგზე გადაიკიდა და სხვა მოხალისეებთან ერთად რაიონის შემოსასვლელთან ტრანშეების გათხრას მიჰყო ხელი, თუმცა ზუსტად არ იცოდა, ვისგან უნდა დაეცვა თავი, ან ვისთვის უნდა შეეტია. ტყუილში შემჩნეულმა ჯუანშერმა ახლა ვეღარ გააჩერა შვილი. მაგდანას ყოველ ნახევარ საათში ასულიერებდა, წყლით ნახევრად სავსე საღვინე ჭიქაში ვალოკარდინის და კატაბალახას ნაყენს ოც-ოცდახუთ წვეთს ურევდა და ასმევდა. ვერ გადაეწყვიტა, თვითონაც ფრონტზე წასულიყო, როგორც ჯარისკაცის მამა თუ ცოლისთვის მიეხედა, როგორც მოსიყვარულე ქმარს. ამ ფიქრებში სამი თვე გავიდა და ისევ შეახსენა თავი თეთრით შემოსილმა ქალბატონმა — ისევ სიზმარში: სადაც ახლა სანგარში კახაბერია, მისი დაბადების წინა დღეს ყუმბარა ჩავარდება და ხვალ შუადღემდე თუ არ ჩააკითხავ, მერე გვიანი იქნებაო. ჯუანშერი დილითვე მოხალისეების პოზიციაზე იყო. პარკში ჩადებული მოხარშული მსუქანი დედლით და ხაჭაპურებით შევიდა სამეთაუროში, ჩემს ბიჭს ხვალ დაბადების დღე აქვსო და ერთი დღით სთხოვა რაზმის დიდ ულვაშა მეთაურს შვილის სახლში გაშვება. თვითონ კახაბერს დედამისის კაპლებზე ვერაფერი უთხრა, ან კი რას ეტყოდა, გინდაც მართლა დამბლა დასცემოდა მაგდანას, ერთხელ სახელგატეხილს ვინ დაუჯერებდა. ისე კი ლაპარაკში ახსენა, ცისმარი დავინახე ვიღაც ბიჭთან ერთად მიდიოდა გზაზე და მოგიკითხაო. მამის გულის ამბავი, თორემ ისე არც ცისმარი დაუნახავს, მითუმეტეს, ცისმარს არც მოკითხვა დაუბარებია და ის ვიღაც ბიჭიც ჯუანშერის ფანტაზიის ნაყოფი იყო. ცისმარი კი, ყველამ იცოდა სოფელში, თვითონ ცისმარის და მისი მშობლების ჩთვლით, რომ კახაბერის უსიტყვო ტრფობის საგანი იყო, დიდი ხნის წინ გამხელილი და ტკბილი სევდა.

ცისმარი კახაბერის პარალელურ კლასელი იყო; ჰოდა, ზუსტად პარალელურ წრფეებით მოდიოდნენ მთელი ეს წლები და სადღაც უსასრულობაში თუ შეძლებდნენ გადაკვეთას და როდის, ალბათ არც თავად უწყოდნენ. ყველაფერი კი მესამე კლასში დაიწყო, გაერთიანებულ ფიზკულტურის გაკვეთილზე, როცა „ჩემი ოქრო ჩემთან“ თამაშის დროს ცისმარმა რატომღაც კახაბერი აირჩია და ხელი ჩაჰკიდა. მაშინ იგრძნო კახაბერმა გულის აფრთხიალება და მტრედივით საამო ღუღუნი. იმავე საღამოს ჯერ პასტა და ფურცელი მოითხოვა, მერე დაჯდა, წერილი მისწერა სატრფოს და წერილში სამასსამოცდახუთჯერ დაწერა, მიყვარხარ. სხვა არც არაფერი. არ გეგონოთ, თვითონ დათვალა, უბრალოდ ორი გვერდი შეივსო. საპასუხო წერილში ცისმარმა (მანამდე ყველა მიყვარხარ სათითაოდ დათვალა და მერე გადათვალაო, როგორც ამბობენ) საქციელი დაუწუნა, ამ წერილის წერას სჯობდა, საგმირო საქმე გენახებინა და რადგან ნაკიან წელიწადში არ გეყვარები, ჩემი საფოსტო ყუთი დაივიწყეო. დავიწყების ვერაფერს იტყვი, რადგან ორივე ინახავდა ამ წერილებს, თუმცა გადაუკვეთ პარალელურ წრფეებად კი რჩებოდნენ ისევ და რაღაცნაირად ერიდებოდნენ კიდეც ერთმანეთს.

ლოყებშეღაჟღაჟებულმა კახაბერმა ვერაფერი თქვა, სამაგიეროდ, მეთაურს შვებულებაზე უარი არ უთქვამს, ის კი არა, კახაბერს მადლობაც გამოუცხადა კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და სამდღიანი შვებულება გამოუწერა. ისევ სამწყერე გილზებით სავსე ფალასკით და იგივე ოც კალიბრიანი თოფით ბრუნდებოდა კახაბერი სახლში. წამოსვლამდე ჯუანშერმა ცალკე გაიყვანა მეთაური და სთხოვა, კახაბერის ადგილზე სანგარში არავინ დადგეს, იქ ყუმბარა ჩამოვარდება და სჯობს გვერდით ახალი სანგარი გათხაროთო. მეთაურმა ჯერ გუნებაში გაიფიქრა, ეს, მგონი, ალაოდ არისო, მერე ქათმის ცხიმითა და ხაჭაპურით ოდნავ დასვრილი ულვაშები შეისწორა და კიო, დაპირდა. თუმცა წესად ჰქონდა, ულვაშზე ხელს რომ ისვამდა, მაშინ ცრუობდა სწორედ. ორასი მეტრი არ ექნებოდათ გამოვლილი, ყუმბარის აფეთქების ხმა გაისმა, მაგრამ ამ ხმას ისე იყო ქვეყანა შეჩვეული, არც მამას გაკვირვებია და არც შვილს. ის კი გაუკვირდათ, ცოტა ხანში გზაში მწვანე ვილისი რომ დაეწიათ და მძღოლის გვერდით მჯდომმა მეთაურმა ჯუანშერს უთხრა, საქმე მაქვსო, ოღონდ ამჯერად ულვაშებზე ხელგადაუსმელად. მანქანში ორნი რომ დარჩნენ, მაშინღა გაარკვია ჯუანშერმა, რომ ნახევარ საათში ზუსტად იმ ადგილზე, სადაც კახაბერი უნდა მდგარიყო, მართლა ყუმბარა ჩამოვარდა. კიდევ კარგი, კახაბერის შემცვლელი ბუჩქებში იყო გადასული ფრიად საჭირო საქმისთვის და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. „სიდან გქონდა ინფორმაცია“, — მეთაური გაფართოებული თვალებით ეკითხებოდა ჯუანშერს. ჯუანშერმა, მაინც არ დამიჯერებსო და თეთრით მოსილ ქალბატონზე არაფერი უთქვამს. ის კი თქვა, ეს ამბავი წუხელ სიზმარში მესიზმრა, დრო და დრო სიზმრები მიხდებაო. მეთაურმა ერთი პირობა იფიქრა, ხო არ დავაპატიმროო, მაგრამ ჯუანშერის საქციელს მისთვის ნაცნობი ვერც სამხედრო და ვერც სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის მუხლი მიუყენა და ისღა სთხოვა, თუ რაიმეს კიდევ ნახავ სიზმარში, აუცილებლად შემატყობინეო და რადგანაც სროლების ხმა ძლიერდებოდა, სასწრაფოდ დაუბრუნდა დისლოკაციის ადგილს.

კახაბერს დიდად არც ანაღვლებდა მამამისის საუბარი მეთაურთან, ცისმარიზე ფიქრი მოეძალა და იმ ბიჭზე ფიქრობდა, ჯუანშერის ფანტაზიის ნაყოფზე. ისე, საკვირველი არც არაფერი იყო, ცისმარი საპირისპირო სქესის სიყვარულისთვის მოჩიტულ, ლამის მთელ სოფელს და ზაფხულობით დიდი ქალაქიდან ნათესავებთან დასასვენებლად ჩამოსულ ნახევარ ქალაქს უყვარდა. ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე ნახევარი ჩამოსვლას ან ვერ ახერხებდა, ან ახერხებდა, მაგრამ მძაფრ კონკურენციაში ჩაბმისაგან თავს იკავებდა. ეს ამბავი შურით ავსებდა ცისმარის მეგობარ თუ კლასელ გოგონებს. თვითონ ცისმარს, სიმართლე რომ ვთქვათ, სულაც არ ანაღვლებდა ადამიანების შური იმიტომ, რომ გარდა სილამაზისა და ალუჩისფერი თვალებისა, უფალს ჭკუაც საკმაოდ ებოძებინა მისთვის, მაგრამ იმას კი დარდობდა, რომ ცივი იყო ვითარცა ყინული. ყოველ ცისმარე დღეს, გათენდებოდა თუ არა, ლოცულობდა და უფალს ევედრებოდა, უსიყვარულოდ ნუ მატარებ, მეც განმაცდევინე ამ გრძნობის სიდიადე, იმას არ ვნაღვლობ, ორი-სამი სანტიმეტრით ავმაღლდები თუ არა, უბრალოდ შემაყვარე ვინმეო. გასაგებია, როგორ სიყვარულსაც სთხოვდა უფალს, თორემ ისე მშობლებიც ძალიან უყვარდა, მეგობრებიც და ცხოველები კიდევ თავის თავს ერჩია. კახაბერის სამასსამოცდახუთმიყვარხარიან წერილსაც გადახედავდა ღიმილით და ამ ყველაფერზე უფრო კი გამოცანებით უყვარდა საუბარი, დაახლოებით ასეთის: „გაზაფხულს დამატებული სამი ნიანგი რას უდრის?“ გამარჯობას თუ ეტყოდი და ხასიათზე არ იყო, ზედაც არ შემოგხედავდა (თავის ტოლებზე ვამბობ, თორემ უფროსი და მხცოვანი გამარჯობას და მოკითხვას რას დაასწრებდა). ხასიათზე მყოფი თავისთვის იტყოდა: ნიორი სანაყში მოძებნის სხვა ნიორს და სახამებლის ფერი დროშა ქარს ამოავარდებსო. თუ მოისაზრებდი და ეტყოდი, კარტოფილი ძალიან გამამაცდა და რა გიკვირსო, უკვე შემოგხედავდა, ანუ ყურადღების ღირსად გაგხდიდა. მეტიც, გაგიღიმებდა და გკითხავდა: იქნებიცი, ან გაიგე ზღვის გოჭის თაყვანისმცემელმა მთვარემ ამ დილით ჰოპ თუ თქვაო? ვთქვათდა ეტყოდი კიო, ამ დროს ახალი კითხვა გელოდა წინ, თან მხოლოდ უფალმა უწყის, რა. ერთხელ დიდი ქალაქიდან ჩამოსულმა ბიჭმა, ცისმარის ალუჩისფერი თვალების მხილველმა და მათზე პირველივე ნახვით უგონოდ შეყვარებულმა, მიყვარხარო, რომ უთხრა, ცისმარმა ასე უპასუხა: ძალიანაც კარგი, მეც არ მიკვირდა, იასამანი ამ დილით აგრერიგად გახარებული რად იყო და თვალს რად მიკრავდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭმა ეს პასუხი თანხმობად მიიღო და არც აცია და არც აცხელა, ცოლად გამომყევიო, შესთავაზა. ცისმარმა, კიო, გამოგყვები, ოღონდ ჯერ გველეშაპი მოკალი, მერე მისი კბილები დათესე, მოსავალი ცეცხლის მფრქვეველი რაშებით მომკე, მერე დევების წისქვილში დაფქვი, მოზილე, შიგ შენი სურვილი აურიე, ცხრა პიწკვი მარილი და ცხრა პიწკვი შაქარი დაამატე, ცხრა ნაპობი შეშით თონე გაახურე, კვერი გამოაცხვე, შეჭამე, სიზმარში საბანი არ გადაიძრო, ჩემს წერილს მიიღებ, იქ ეწერება, სად ვარ და გათენებისას მოდიო... ამ სურვილებს ისე შეუშინებია ის ბიჭი, იმ დღესვე გასცლია არა მარტო სოფელს და დიდ ქალაქს, ქვეყანასაც კი და ზოგი იმასაც ამბობდა, ამერიკაში გადაიკარგაო.

მერე ერთი ამბავი მოედო სოფელს: გოგოები ერთმანეთში ჭორაობდნენ. ძირითადი მასალა, რა თქმა უნდა, ბიჭები იყო და გათხოვება. ერთმა რომ თქვა, პრინცს ველოდები თეთრი რაშითო, მეორემ, მე თეთრ რაშს შავი მერსედესი მირჩევნია ცე კლასისო. ცისმარმა ამაზე ბევრი იცინა, კლასს კიდევ ვერ გაცდიო. იმანაც გაწიწმატებულმა, აბა, შენ ვის ელიო და, მეც პრინცს ველი, ოღონდ ტანკითო, ნარნარი ხმით დააბრეხვა უცებ.

ეს ნათქვამი, ისე როგორც სხვა, რასაც ცისმარი ამბობდა, მეორე დღეს იცოდა მთელმა სოფელმა, მათ შორის კახაბერმაც. ამიტომ სოფლისკენ მიმავალ გზაზე მამამ რომ ჰკითხა, დაბადების დღეზე რა გიყიდოო, ტანკი „ტე 72“ მინდაო. სხვა ჯუანშერის ადგილზე ხუმრობად ჩათვლიდა შვილის ნათქვამ სიტყვებს, მაგრამ ეს მხოლოდ სხვა, თვითონ ჯუანშერი კი ასე ნამდვილად არ ფიქრობდა და კარგიო, დაპირდა. მაგდანა ეფერებოდა საღსამალათ შვილს და ქვეყნად ყველანაირი ომის მომგონებელს წყევლიდა და მარხავდა, შავს ვერ იმეტებდა და, წითელ, აყალო მიწაში. თითქოს ომის ღმერთს მაგდანას წყევლის შეეშინდაო, გათენდა მეორე დღე და რადიომ გამოაცხადა, სამოქალაქო ომი დამთავრდა, სამთავრობო ჯარებმა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაამყარეს კონტროლი და აწი მშვიდობის გეშინოდეთო. მოხალისეები საკუთარ სახლებს და ჯარისკაცები ყაზარმებს უბრუნდებოდნენ, გათხრილ სანგრებთან კი ექსკურსიებზე დაყავდათ უცხოელი ტურისტები, თითქოს სხვა რამ უკეთესი სანახი ამ ქვეყანაში არ მოინახებოდა. ამასობაში ჯუანშერი, საქმე მაქვს ვანში სიძესთანო, და პატარა ჩანთით, რომელშიც შავი დღისათვის შენახული დოლარები ეწყო, ისე წავიდა, ზუსტად არც უთქვამს, როდის დაბრუნდებოდა. ერთი კვირის თავზე სოფელი გააყრუა ტანკის მუხლუხების ღრჭიალმა და ჭიშკრის ერთი ბოძის ამოთხრაც კი დაჭირდათ ხმაურზე შეყრილ მეზობლებს, რუს ტანკისტს ეზოში რომ შეერახრახებინა უზარმაზარი მახინა მთელი შეიარაღებით, დამატებით კი კოშკურაზე სასაჩუქრე წითელი ბანტით. სიმართლეს თუ ვიტყვით, ეს დიდად არც არვის გაკვირვებია, როგორც უკვე ვთქვი, სულ ცოტა ხნის წინ ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ხალხი ძირითადად ბეტეერებით დადიოდა ბაზარში თუ ყანაში და არც ტანკი იყო უცხო ხილი. კახაბერს სხვა რა გზა ჰქონდა, ეზოში ტანკი ედგა, მკერდში კი სიყვარულით აძგერებული გული. ისღა დარჩენოდა, ტანკზე ამხედრებულს ცისმარის ხელი ეთხოვა. ეზოში რაც საუკეთესო ვარდები იყო, ყველა დაჭრა და ოთხმოცდაცხრამეტ ვარდიანი თაიგული შეკრა. თუმცა სიმართლე რომ ვთქვათ, ძალიანაც დაკაწრეს ვარდებმა და უსისხლოდ ომგამოვლილი ახლა ვარდებთან ომში ღვრიდა სისხლს. მერე რუს ტანკისტს უთხრა, „პაეხალი“ და გარეთ გამოფენილი მთელი სოფელი უყურებდა, ტანკით როგორ მიდიოდა კახაბერი ახალ ომში, ამჯერად სატრფოს გულის დასაპყრობად.

ცისმარის სახლამდე ერთი კილომეტრიც არ იქნებოდა, ოღონდ ჯერ სოფლის ცენტრიც უნდა გაევლოთ, სადაც სკოლა, გამგეობა და კირით შეღებილი სხვადასხვა ადმინისტრაციული შენობები იდგა. აქვე სოფლის წყაროსთან იყო ბირჟა, სადაც თავს იყრიდა ლამის მთელი სოფელი, უსაქმურებიც და საქმოსნებიც. ახლა კი არავინ ჩანდა, მთელი სოფელი კახაბერის ტანკს ამოსდგომოდა უკან. ცისმარის ჭიშკარს რომ მიუახლოვდნენ, „სიგნალ დავაი“, რუსს უთხრა. იმან, „ნეტ სიგნალა ეტა ჟე ნე მერსედეს“. სხვა რა გზა ჰქონდა კახაბერს, თვითონ უნდა მიეცა სიგნალი და „ცისმარი“ — დაიძახა, თან გული ისეთი აჩქარებით აუთრთოლდა მკერდში, იმას ნატრობდა, ნეტავ არ გაფრინდებოდესო და ჰაერის ნაკლებობას გრძნობდა, ისე, როგორც ცხოვრების მდინარის მიერ ნაპირზე ამოგდებული ღლავი. ცისმარის ორსართულიანი სახლის ყველა კარი და ფანჯარა ღია იყო, თითქოს რაღაცას ელისო. ეზოში მწვანე ბალახზე ინდაურები დადიოდნენ და კახაბერის ძახილზე ფრთები გაშალეს, თითქოს „ბოლეროს“ ცეკვავენო და „ყურუმ, ყურუმ, ყურუმ“, ჟრიამული მორთეს, რამაც ღიმილი მოჰგვარა ყველას გარდა კახაბერისა და ჯუანშერისა, რომელიც შვილის ტანკის შორიახლოს მიმოდიოდა.

პირველმა ძახილმა რომ შედეგი ვერ გამოიღო, ის იყო, კიდევ აპირებდა დაძახებას, უცებ სახლის უკანა მხრიდან ცისმარის საყვარელი არიადნა ბებია გამოვიდა, ხელს მზეს უჩრდილებდა და „რომელი ხარ, მობრძანდი“ — დაიძახა. სანამ ვინმე რამეს ეტყოდა, ტანკი და ამდენი ხალხი რომ დაინახა ჭიშკართან, ეტყობა, კარგად ვერაა ჩემი საქმეო და გული წაუვიდა.

როცა ადამიანი გიყვარს, გინდაც ცისმარი იყოს და გინდაც სხვა, ბუნებრივია, მისი ბებიაც გიყვარს. შეშინებულმა კახაბერმა ვარდებიც მიატოვა და ტანკიც. კოშკურიდან გადმოხტა და არიადნა ბებიას მივარდა, ნუ გეშინია, კახაბერი ვარო და იქვე პატარა მაგიდაზე მდგომი წყლით სავსე გრაფინი სულ დააცალა თავზე. არავინ იცის სოფლის წყალმა უშველა თუ კახაბერის ხმამ, არიადნა ბებიამ ნელ-ნელა გააახილა თვალი, ჯერ ერთი, მერე მეორე და რა მჭირსო, იკითხა. თუმცა უკვე შეგუებული იყო აზრს, რომ კაი არაფერი სჭირდა.

როცა ასე თუ ისე უკეთ იგრძნო თავი, კახაბერმა, ცისმარი სად არისო, ჰკითხა. გაირკვა, რომ ცისმარი მშობლებთან ერთად მეზობელ სოფელში წასულიყო სტუმრად დეიდის (დედის სუნი რომ აქვს) დაბადების დღეზე. კახაბერმა და თანასოფლელებმა ერთდროულად ამოიხვნეშეს. კახაბერს, ცხადია სატრფოს ნახვა ეწადა, თუმცა ლეტალური შედეგი რომ არ დადგა და არიადნა ბებია გადარჩა, ახლა ამითაც კმაყოფილი იყო. კახაბერმა იფიქრა, ტანკი ცისმარის ეზოში რომ ჩავიყვანო, ეს ქალი ხელში არ ჩამაკვდესო, ამჯერად მხოლოდ ვარდებს დავტოვებო და ის თავის სისხლნაპკურები ოთხმოცდაცხრამეტი ვარდი არიადნა ბებიას დაუტოვა. რუსმა ტანკისტმა ვიწრო შარაზე მობრუნებისას ერთ ადგილას ცისმარის ღობე შეანგრია, მეორე მხარეს კი ცისმარის მეზობლის და ისევ რახრახით დაბრუნდა უკან. ამ ამბავს რამდენიმე ინდაური და ქათამი შეეწირა მხოლოდ, ეს უკვე მაგდანასი, სამაგიეროდ, მეზობლებმა იხეირეს ფრიად, ჯუანშერის დაყენებული ცოლიკაური დააგემოვნეს და დიდხანს ლოცავდნენ კახაბერს და ბედნიერებას უსურვებდნენ. რუსმა ტანკისტმაც სიყვარულში გამართლება უსურვა კახაბერს და კაი ნასვამ-ნაყლაპი დაადგა უცხო ქვეყნის ნაწილისკენ მიმავალ გზას, რომელიც ქვეყანაში ყოფნის ბოლო დღეებს ითვლიდა.

მეორე დღეს კახაბერმა, დილიდანვე, ტანკის მართვის სწავლა დაიწყო, რაშიც ნაბახუსევი სოფლის ტრაქტორისტი იამბული ეხმარებოდა. შუადღით კი მთავრობის ხალხი ამოვიდა, თან ქვეყნის მთავარი ტელევიზია ახლდა. ჯუანშერს უთხრეს, თუ ოჯახში პრობლემები არ გინდა, ტანკი სახელმწიფოს უნდა გადასცეო. ჯუანშერმა, ყველა საბუთი წესრიგში მაქვსო, გადმოალაგა ქაღალდები და ისიც აჩვენა, რა ცეცხლის ფასადაც ჰქონდა ნაყიდი ეს ტანკი. არა, ისე კი არ მიგვყავს, ჩვენც ვიყიდითო და ტელეკამერების ფონზე გააფორმეს ტანკის ერთ დოლარად ყიდვის ფაქტი. არიხრიხებული ტანკი გადავიდა ეზოდან და თან წაიღო კოშკურას ქვეშ ვიღაცის მიერ თეთრად მიწერილი: ც+კ=ს.

ამ ამბის შემდეგ კიდევ სამი დღე გავიდა და კვირაც დადგა, ცისმარის დაბადების დღე. კახაბერს ორი კლასელი გოგო ესტუმრა და აუწყა, იუბილარს შენი ნახვა უნდა და დაგიბარა, ორ საათზე სკოლის ეზოში მოვიდესო, ოღონდ უიარაღოდ, ტანკების და ზარბაზნების გარეშეო. კარგიო, უთხრა კახაბერმა. პირველი ხდებოდა უკვე, ვარდები ხო არ დამეკრიფაო, იფიქრა, მაგრამ ტანკით რომ არ მიდიოდა, რაღაც ვარდებით მისვლა კარგავდა აზრს, მითუმეტეს, ის ოთხმოცდაცხრამეტი ვარდი ალბათ ჯერაც არ იქნებოდა დამჭკნარი.



ყველა ღმერთს სთხოვა, მომეცი ძალა ამაყად დავდგეო და ალბათ ცხოვრებაში ყველაზე ძნელ გზას გაუყვა სკოლისკენ, ყველაზე რთული გამოცდის ჩასაბარებლად. ორს თხუთმეტი წუთი აკლდა სკოლის ეზოში რომ ჩააბიჯა — მხოლოდ ნახევარი საათი მომიწევს ალბათ ცდაო, იმედოვნებდა. რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, ეზოში მომლოდინე ცისმარს რომ მოჰკრა თვალი. ოღონდ ახლა გული არ წამივიდოდეს და ადგილზე დარჩებოდესო, ამასღა ნატრობდა. ცისმარს ერთი თვისება ჰქონდა კიდევ, ყველას ხო გამარჯობას ეუბნებოდა, ან გამოცანას, მესამე კლასის და იმ წერილის შემდეგ კახაბერისთვის გამარჯობა არ უთქვამს. ეს არ ნიშნავს, რომ ემდუროდნენ ერთმანეთს, თუ რამე სათქმელი ჰქონდა, ეუბნებოდა, ოღონდ გამარჯობის და გამოცანების გარეშე. ახლაც ასე დაიწყო საუბარი:

— არიადნა ბებიამ, ვარდებისთვის მადლობაო!

— შენ მოგიტანე!

— რას შემოშინე ის ქალი!

— არ ვიცოდი, თუ სახლში არ იყავი!

— ის ტანკი რაღა იყო!

— აბა, რა ვიცი, პრინცს ველი ტანკითო!

— შენ პრინცი ხარ? — გაიღიმა ცისმარმა. კახაბერს კი ეგონა, ცის ყველა კარი ერთად გაიღო მისთვის, ჰაერი სხვანაირად მსუბუქი გახდა. ხო მიწაზე ვარ, ასე მგონია მეცხრე ცაზე ვარ, ახლა რომ მოვინდომო, ვიფრენ კიდეცო, გაიფიქრა და ძალაც მოეცა.

— მე კახაბერი ვარ!

— სხვას არაფერს არ იტყვი?

— რა ვთქვა?

მაინც გამოცანა მოეძალა ცისმარს.

— პარალელური წრფეები იკვეთება? — კითხა უცებ.

— რა ვიცი!

— ანუ ტანკით რომ ხარ, მაშინ ხარ დიდ გულზე, ხო! — თქვა ცისმარმა და აღარ იღიმოდა უკვე, სკოლის ჭიშკრისკენ იყურებოდა, კახაბერსაც იქეთ გაექცა მზერა და უნდა ვთქვათ, ოდნავადაც არ გახარებია მომავალი სასიდედრო რომ დაინახა, აჩქარებული ნაბიჯებით და სუნთქვით.

პირველად მაშინ მიხვდა კახაბერი, ჯოჯოხეთი რა იყო. იმასაც მიხვდა, რომ სულ ერთი ნაბიჯია სამოთხიდან ჯოჯოხეთამდე. ესმოდა, როგორ აყრიდა ეს ქალი მის სატრფოს ქოქოლას, რას დამჯდარხარ ამ არანორმალურთან, სახლში სტუმრები გელოდება, დეიდაშენიც მოვიდა უკვეო და ვერ გაეგო, რა ექნა. ცისმარის ალუჩისფერი თვალები ცრემლმა მწიფე ალუჩისფრად შეაფერადა. კახაბერს მზერას არიდებდა და დედამისმა ხელი რომ მოკიდა, არ გაუძალიანდა, მასთან ერთად გადავიდა სკოლის ეზოდან, სადაც კვირა დღის მიუხედავად, უამრავ ხალხს მოეყარა თავი. კახაბერი გაქვავდა თითქოს, მიხვდა, რომ მომენტი დაკარგა. ის მომენტი, როცა ცისმარმა უთხრა, სხვას არაფერს არ იტყვიო, არასდროს განმეორდებოდა აწი და მიხვდა, რომ ერთი მიყვარხარ უნდა ეთქვა სწორედ. ის მიყვარხარ — სამასსამოცდამეექვსე. ისე გადავიდა სკოლის ჭიშკრიდან, ისეთი სახით აუარა ხალხს გვერდი, ვერავინ ვერაფერი უთხრა. იმ მომენტში ალბათ ვინმეს რამე რომ ეთქვა, ან შეაკვდებოდა ან შემოაკვდებოდა.

სახლისკენ მიმავალ გზაზე გადაწყვიტა, ამ ქვეყანაზე მე არაფერი მესაქმებაო. შინ არავინ დახვდა — ჯუანშერი ტყეში ეძებდა წაბლსა და ნიგოზზე გასაზრდელად გაშვებულ საკალანდო ბურვაკებს, მაგდანაც თან ახლდა, ეკალას საკრეფად. კახაბერმა აივანზე გაჭიმული სარეცხის თოკი დაუნანებლად მოჭრა და სახლის უკან აპრილის ბლის ხეზე ჩამოკიდა. ის, რომ ფიზიკას ცუდად სწავლობდა, ახლა „დაეხმარა“ და ვერ განსაზღვრა, „ყველაფერი ერთ ლარად“ მაღაზიაში ერთ ლარად ნაყიდი მზით დამწვარ-გამომშრალი თოკი მის სიმძიმეს ვერ გაუძლებდა. ფრიად უმტკივნეულოდ მოადინა ზღართანი გაკვირვებული ბლის ხის ძირში წაქცეულ ჯორკოსთან, რომელსაც ისე დაეწია ტოტი, თოკი რომც არ გამწყდარიყო, მიწამდე მაინც ჩამოაწვდენდა კახაბერს, რომელსაც სულ რამდენიმე წუთის წინ ცაში აფრენა ეწადა. ზემოდან დაყურებდა ხე კახაბერს და ფიქრობდა, არამი იყოს შენთვის რაც ბალი მიჭმევია, ღირსი არა ხარ, ყველა იმ ბლის კურკა ცხვირზე დაგახალოო?!

უცებ ჭიშკრის ხმაც გაისმა. მოუსვენრობაშეპყრობილ ჯუანშერს რაღაც ძალა ეწეოდა სახლისკენ. მეზობლებმა გზაშივე ამცნეს სკოლის ეზოში მომხდარი ამბავი. „კახაბერ“ — ჯუანშერი იძახდა და შვილს ეძებდა, ჯერ ეზოში, მერე ოთახებში. მან კი სასწრაფოდ ჩამოხსნა ბლის ხიდან თოკის ნაგლეჯი, ნაჩქარევად შეჩურთა საზამთროდ დამზადებულ შეშებს შორის, ჯორკოც თავის ადგილს დაუბრუნა. ამ ყველაფერს რომ მორჩა, მხოლოდ მაშინ გამოეხმაურა მამას. ჯუანშერმა, შვილი რომ დაინახა, შვებით ამოისუნთქა, ოღონდ ვერაფრით მიხვდა, რა აწუხებდა ასე. მაგდანამ სარეცხი თოკი მოისაკლისა, ნეტავ სად გაქრაო და დანანებით გაიფიქრა, ტანკი რომ ეზოში გვყოლოდა, ხომ არ მოიპარავდნენო. კახაბერმა დედ-მამას გამოუცხადა, დიდ ქალაქს მივდივარ, ბიძაჩემთან ვიცხოვრებ და იქ ვისწავლიო. ალბათ ეს იყო მოუსვენრობის მიზეზიო, თავი დაიწყნარა ჯუანშერმა. რაზე ისწავლიო, რომ კითხეს, სამხატვროზე მინდა ჩაბარებაო. კახაბერს გარკვეული ნიჭი მხატვრობის მართლაც ჰქონდა, განსაკუთრებით კი ნაწვიმარ, მზით გამშრალ სილაზე უყვარდა ფიგურების გამოყვანა. ეს ყველაფერი ვანელმა ხელოსანმა ბიძამ (მამიდის ქმარმა) ასწავლა. ის ეუბნებოდა ჯუანშერს და მაგდანას, კახაბერს მხატვრობის ნიჭი აქვსო. სახლში რომ რემონტი ჰქონდათ, მაშინ ისწავლა მისგან კახაბერმა, მშრალი და სველი სილა რა საოცარ შეხამებას ქმნის. ასევე ისწავლა ფერებისა და ჩრდილების თამაში და სხვადასხვა ფიგურების გამოყვანა. ახალ სურვილზე მშობლებს უარი არ უთქვამთ, ჯუანშერმა მე გამოგყვებიო. კახაბერი, ოღონდ სოფელს გასცლოდა და ყველაფერზე იყო თანახმა.

დასასრული მე-11 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინი ელიაშვილი

* * *
*
ერთი პატარა ბზარი ყოფნის კედლის დანგრევას.
ბზარი, რომელიც გაღრმავდება უცებ ეჭვივით.
რაც გინდა მოხდეს, ამ სიშორეს ვერ მივეჩვევი.
ქუჩის გადაღმა თვალს ვაყოლებ ფერად შადრევანს
და მერე მზერა უზარმაზარ ქვისკენ გამირბის.
ვგრძნობ, რომ სხვაგან ვარ, რომ საშინლად გამაღარიბეს.
ვგრძნობ, რომ რაღაცა ცუდში უნდათ ჩემი ჩათრევა.

*
თუმცა მე მყოფნის ყველაფერი, რაც ჯერ არა მაქვს
და არც მექნება და რაც მხოლოდ ფიქრში დარჩება,
რადგან ჩვენ ვიცით დავიწყება, რადგან ლაჩრებმა
ვიცით თუ როგორ დავინგრევით — დაუფარავად
ვივიწყებთ, რასაც შეუძლია გული გვატკინოს.
ხანდახან ისე ზედმეტია და უადგილო
ჩვენი სიფრთხილე —
თვითონ ვუწყებთ ნგრევას გალავანს.

*
მაგებებ ღიმილს. მწამს, ღიმილი რომ პირველადი
დახმარებაა, თუნდაც ყალბი, თუნდაც საშიში.
მხოლოდ ღიმილით თუ შეძლებ და თუ გამაშიშვლებ,
მიხვდები, ჯავშნის ქვეშ მთლიანად როგორ ვღელავდი.
არ მიყვარს. მძულს და არც ვაპირებ სიტყვის გაჟღენთას.
ის, რაც დაინგრა, მის ადგილზე ნგრევა აშენდა.
მერე უნიჭოდ შეკაზმეს და გააფერადეს.

* * *
ვინც აღარ არის. ვინც გულს ასცდა. ვინც გზა იპოვა.
ვინც აღარ არის. ვინც გულს გასცდა და შორი-ახლოს
ახსოვს, რომ იყო, ახსოვს სადღაც მისი სიბრმავე
წვრილ და ვარდისფერ ნამსხვრევებად. ბავშვობა ახსოვს.
ვინც აღარ არის. ყველაფერი იცის ყოფნაზე,
ვინაც და მაინც აღარ არის და არც აპირებს
იყოს. ვინც უხვად, უხვად იყო, ვინც ბავშვობაში.
ვინც ტივის ბოლო ნატეხებით ცივ, ბნელ ნაპირებს
მიადგა. აღარ ვარაუდობს. მხოლოდ პირდაპირ.
მხოლოდ სწორ ხაზზე. მხოლოდ ღმერთებს.
მხოლოდ უკვდავებს
ეპირება და რა თქმა უნდა კიდეც პირდება.
ვინც აღარ არის და ცდილობს, რომ გამოსუფთავდეს
ყოფნის სულ წვრილი ჭუჭყისგანაც. ბოლო სუნთქვამდე
ვინც მხოლოდ ქვრება მაშინაც კი, როცა ინთება.

* * *
ღამე, როდესაც მოაჯირებს გაუქრობს ხიდებს
სიბნელე, როცა მიწყნარდება ქუჩის ორკესტრი,
გავდივარ გარეთ. საკუთარ თავს, მკვლელივით, მივდევ
იქ, სადაც ჯერაც შეიძლება სიცოცხლე ღირდეს.
რომ დავდგე მშვიდად და სიკვდილი გავაპროტესტო.
ღამე, როდესაც არ მგონია ჩემზე მართალი
არავინ. როცა ვაბათილებ ყველა საწადელს,
გავდივარ გარეთ. რომ დავიწყო და დავამთავრო
სიკვდილი, ყელში ამოსული, როგორც ზამთარი.
არ შეიძლება, გიყვარდეს და ღმერთი არ გწამდეს,
თან ღამით, როცა ყველაფერი არის გვიანი
და მხოლოდ ისღა დაგრჩენია, რომ მის იმედად
იყო და რადგან მან სხეული ვერ გაიმეტა,
შეიძლება, რომ გააღმერთო ადამიანი,
ისე მოგინდეს, გზააბნეულს, მისი შეხება.
ღამე, როდესაც სიხარული არ მეხერხება,
გავდივარ გარეთ. ხომ მიყვარდა სახლიც ოდესღაც.
ახლა ხიფათი სახლში უფრო გადამეყრება.
სახლში წვიმს. სახლში, შიგადაშიგ, ქარიც გოდებს და
გავრბივარ გარეთ. რომ შემძულდეს, რასაც ვეხები.
რაც გამაჩნია, ყველაფერი გავაპროტესტო...

* * *
შენ უკან მთელი სამყაროა. და მთელი რიგი
შეცდომებისა. ეს კოშმარი რომ არ გენახა...
რას არ მივცემდი. სიცოცხლეა. სიცოცხლის შიგნით
ერთი უბრალო, უსიცოცხლო გადარჩენაღა...

რა საშენოა ან ეს თემა. ახლა ხომ ის ჯობს
ჯარისკაცებით გეთამაშო. ჯერაც ბავშვები
ომში აღმოვჩნდით. სხივებს გჩუქნი, მზეების ბიჭო,
ანუ ამ ომში გადარჩენას გეთამაშები.

შენ პურის გული — უნამცეცე სარკმლიდან მტრედებს.
მეც ჩემს გულს ასე ნამცეც-ნამცეც გამოგიზოგავ.
გიყურებ. ანუ ყველაფერი მტკივა. მე ბედი
არასდროს მქონდა სიხარულში, ურომლისოდაც

ვერ ვცხოვრობ. ხელებს არ გამოსდით სიცრუე. ხელებს
ზურგს უკან ვმალავ (ორმო ვარ და ქვებით მავსებენ).
გიწვდი. შენ ირჩევ. მეღიმება — ვკვდები და მერე
ძალიან მშვიდად გადარჩენას გეთამაშები.

* * *
მე ვიწყებ თამაშს.
ვინც ამყვება წრეში ჩადექით!
მეგობრებმა თეთრები ჩაიცვით. მტრებმა — შავები.
ვინ იქნება ჩემი მეგობარი?
ვისი მტერი იქნება ჩემი მტერი?
ვისი მეგობარი იქნება ჩემი მეგობარი?
ვისი სიხარული იქნება ჩემი სიხარული?
ვისი შიში იქნება ჩემი შიში?
.....
რა უბრალოდ შეიძლება გაიყიდოს შენი შიში.
ხელიდან ხელში გადავიდეს.
გულიდან გულში კი — არასოდეს.
მაშ ვინ იქნება ჩემი მეგობარი?!
ვინ მოუვლის ჩემს შიშს,
რომელიც მთელი ცხოვრებაა, ძაღლივით დამდევს.
ხელებს მილოკავს. კუდს მიქიცინებს.
დამტოვებელი არავინ მყავს
და ყველგან მიწევს მისი ტარება.
და როცა თითქოს ყველაზე კარგად უნდა ვიყო,
სწორედ მაშინ წამკბენს ხოლმე, რომ გავიხსენო.
დაუსრულებლად მეშინოდეს.
მას კი ისეთი ნაღვლიანი თვალები აქვს,
ვერც კი ვუწყრები.
დავმორჩილდები.
ჯაჭვს მოვიმარჯვებ და ყველას ვეცლებით.
ჯაჭვს მოიმარჯვებს და ყველას ვეცლებით.
ჯაჭვს სახელურის ნაცვლად მეორე საყელო აქვს.
და ხან ის მქაჩავს მის ნებაზე, ხან — მე ჩემსაზე.

ალბათ, ეს არის, რომ მის გარდა არვის ვენდობი.
და ყველაფერს მისით ვამთავრებ.
თორემ დაწყებით ყოველთვის სიყვარულით ვიწყებ.

* * *
ელენეს

მზესავით უწევსო, თქვი, ფეხის ათრევა
ზამთრისას. თქვი როგორ დაღალეს ზამთრებმა.
თქვი როგორ უყვარდა, თქვი როგორ ძალიან,
წარსულში, ამის თქმა, ძნელი და მწარეა.
თქვი თოვლის სითეთრეს როგორ უზავდება.

თუ როგორ იმეტებს თოვლისთვის სიფითრეს.
პირდაპირ ნუ იტყვი, რამე მოიფიქრე.
უთხარი მტრებსა და უთხარი მეგობრებს.
თუ გინდა იფრთხილე, თუ გინდა შეტოპე.
თქვი როგორ ნელდება, იცვლება დღითიდღე.

თორემ მე რა ვიცი. განა მე რამდენი
დღე მერგო. ფანჯრიდან მშრალ თვალებს ვადევნებ
გზადაგზა შემოყრილ ხეობებს. ვადარებ
ჩემსა და მათ სევდას. მერე ქვის საყდარი...
და ვნანობ და ვნანობ ცოდვას ვერჩადენილს!

თქვი! ყველას უთხარი რამდენი მტკაველი
მხრები აქვს. მიწა აქვს. თოვლი აქვს მამაშენს!
და მერე მივიდეთ ფერმკრთალი ყვავილით.
მივიდეთ და დიდობანა ვეთამაშოთ...

* * *
სუყველაფერი მეპატიოს. ყველა მარცვლიდან
გამოჟონილი შიში ვინმეს უცბად დაკარგვის.

სუყველაფერი მეპატიოს, ქვეყნად რაც მღლიდა,
ეს იყო მხოლოდ სიხარულის მძიმე ხაფანგი.
რთულ მომენტებში, სიტყვებივით, როგორ გეძებდით.
როგორ გტოვებდით და უთქვენოდ როგორ ვერ ვძლებდი.

სუყველაფერი მეპატიოს, როცა დავბრუნდე,
რომ თავი ისე შეგაფაროთ, ვით ნავსაყუდელს.

და არ გავწბილდე, ყველაფერი უმალ მომეცეს.
სუყველაფერი მეპატიოს, შვებად რომ მექცეს

ის ახდენილი ღიმილები, ის ახდენილი
ცრემლები, ჩემი სიყვარული და რამდენიმე

სიტყვა, რომელიც ტყვიასავით კანქვეშ მიგრძვნია.
სუყველაფერი მეპატიოს, რაც შემიძლია.

დავბრუნდე სახლში და სუყველა წევრმა მიმიღოს.
მოვკვდე და მაინც ყველაფერი ჯერაც წინ იყოს.

სუყველაფერი მეპატიოს, როცა ეჭვივით,
დამჭირდეს ლოცვა და მორწმუნის როლში შეჭრილი

მოვკვდე მტრისათვის, მოყვასისთვის,
მოვკვდე, ჩემ გარდა,
ყველასთვის, ვინც კი ცდილობდა და მაინც ვერ რგავდა

ჩემში სიყვარულს. მეპატიოს თუნდაც მანამდე,
სანამ ჩავიდენ. თუ ვმალავდე, ტკივილს ვმალავდე.

და მაინც რამეს თუ ვამხელდე, ტკივილს ვამხელდე.
მთელი ცხოვრება უნაყოფო ხის ტოტს ვარხევდე.

ვარხევდე. მწამდეს. და ეს რწმენა არ მეპატიოს.

მზე თოვლში

ახლა როცა გიმზერ და შენ მუჭისხელა ხარ,
მთელი სიყვარული ამტკივდება ხელახლა,
მზეო.
ლილეო.

დღეს თბილისში პირველ აღელვებით მოთოვა.
გიყურებ და ვტირი. მეც, შენსავით, თოთო ვარ.
მზეო.
ლილეო.

ახლა შენი დიდი სიყვარული მემართოს.
მთელ ქალაქში თოვს და ჩემს გულს მაინც ვერ ათოვს.
მზეო.
ლილეო.

იქნებ, თოვლი დღემდე ცაში ხელით გეკავა.
ამ სიყვარულიდან ვერასოდეს ვერ გავალ.
მზეო.
ლილეო.

მზად ვარ მოლოდინი, ცრემლებივით, დავმალო.
ჩემი ბნელი გულის სინათლევ და წამალო.
მზეო.
ლილეო.

ახლა როცა გიმზერ და შენ მუჭისხელა ხარ,
მთელი სიყვარული ამტკივდება ხელახლა,
მზეო.
ლილეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

„რა მსუბუქი ხარ — რა გიშველო —
და რა დღემოკლე, პეპელასავით,
რაც მსუბუქია, ყველაფერი არის დღემოკლე
და სხვის ჭკუაზეც ადვილად დადის“.
ბექა ახალაია

ვერ დაეტევი ჩემს ზამთარში. ვცდილობ, გიშველო.
მუჭებს თუ გავშლი, პეპლებიც ხომ გაფრინდებიან
შიშებთან ერთად. მიპასუხე. რომ უმნიშვნელო
არა ვარ, ვიგრძნო. მოსაწყენი ამინდებია.
როგორ არ მიყვარს, რომ იწყება ლღვობა. აზრად არ
მომსვლია ამ დროს სხვებთან ვიყო. მათთან პეპლებით
სავსე მუჭების გაშლა მიწევს, რომ არ უარმყონ.
როგორ არ მიყვარს, როცა ამდენ ნატანჯ, ნაზამთრალ
დღეებს ცალსახა სიმშრალისკენ მივერეკები.
როგორ არ მიყვარს გზის თავი და ბოლო. შუა ხომ
არც კი მინახავს. არ ვყოლილვარ დღემდე იქ არცერთ
თანამგზავრს. მხოლოდ ცრუ ჭიდილით გადავიქანცეთ.
იხსნება მიწა. ცა იხსნება და ყველაფერი.
როგორ არ მიყვარს, როცა რამე ეჭვებს მიქარწყლებს.
ჩემივე შექმნილს. ასე მოვლილს. ასე ნაფერებს.
როგორ არ მიყვარს, რომ იწყებენ ჭიკჭიკს ჩიტები.
როგორ გიშველი, თუ მჭირდები ან გეჭიდები.
რა იქნებოდა ერთხელ მაინც არ შევმცდარიყავ,
არ მყვარებოდა.
გეკითხები:
როგორ არ მიყვარს?!

* * *

ვერც ფიქრით შეცვლი. ვერც ლაპარაკით.
ვერ აუხდები ღრუბლებს. მიწის ხარ.
შენია. შენ ხარ მთელი ქალაქი.
ქალაქი შენით გადაიტიხრა.

ორთქლდები. ქრები. ქრები. ორთქლდები.
ქვებზე შემშრალი მუქი ქაფივით.

თუ სანაპიროს ქვისფერ ხელებთან
უშედეგოა ტალღის კავშირი.
სხვა ხომ ვერასდროს აგამღერებდა
წლებგადახოტრილ მკვდარი ბავშვივით.

სანამ მიწაა. სანამ ცას თვალი
ვერ იტევს. სანამ გუბე ფეხს გისვრის.
სისულელეა მანამ ჩათვალე
ფრთებს ამზადებდე გადაფრენისთვის.

ორთქლდები. ქრები. ქრები. ორთქლდები.
ქვებზე შემშრალი მუქი ქაფივით.

ცხოვრობ. თამაშობ. მთელი არსებით
მთელი ცხოვრება სიკვდილს ივიწყებ.
ნელ-ნელა ხვდები როგორ გავსებენ
სიკვდილით. თითქოს ფეხი სიკვდილზე

გიდგას და რჩება ერთი ნაბიჯი.
ერთი ნაბიჯი გადარჩენამდე.
სანამ პასუხი კითხვას გაგიჩენს
ცდილობ ღელავდე.

არ ხარ. ხარ. არ ხარ. ზოგჯერ თითქმის ხარ.
თითქმის ხარ. ხარ და ირგვლივ ქვიშაა.
ვინც გაგასხვისა. ვინც მიგითვისა.
ვერ გაარკვიე ვინ დაგიშავა.

ორთქლდები. ქრები. ქრები. ორთქლდები.
ქვებზე შემშრალი მუქი ქაფივით.
და უწერილო ღვინის ბოთლებით
ივსება შენი ლურჯი ნაპირი.



ეკა კვიციანი

*

მოდის, თავხედობს, ურცხვობს,
სახლდება სიზმრებს შორის,
წარმოუდგენლად უცხო,
უკიდურესად შორი,
ადამიანის ჩრდილი,
ადამიანის ხმა...
სისხლში დაცოცავს ჩრჩილი,
შეუბრალებლად მხრავს...

*

დილის სისხამზე
ხმაურისგან დამფრთხალი ძილივით
შევიბრუნე მარტოობა.
ახლა დრო და დრო
ნესტიანი სიზმრები გამომაქვს გარეთ
და თეთრ ფურცლებზე გასაშრობად ვფენ.
ამ ძილ-ღვიძილში
მათი ადგილიც კი აღარ არის...

*

გაუშვი! — მიბრძანეს.
თითქოს მე არ ვუშვებდი.
თითქოს ჯაჭვით მყავდა დაბმული
და უნდა გაეთავისუფლებინათ.
წადი... ვჩურჩულებდი და თვალებს ვხუჭავდი.
წადი! — ვყვიროდი და მკერდში იმ ჯაჭვს ვეძებდი.
რომ მომეგლიჯა.
წადი! — ვკიოდი
და ცრემლს გოგირდივით ვუხრჩოლებდი.
არსად მიდიოდა.
ბევრდებოდა და არსად მიდიოდა.
დიდდებოდა და არსად მიდიოდა.
იტოტვებოდა და ფესვებს მარწუხებივით მიჭერდა.
რატომ არ უშვებ?! — თვალებს მიბრიალებდნენ.
რატომ არ უშვებ?! — ფეხებს აბაკუნებდნენ.
რატომ არ უშვებ? — პასუხს მთხოვდნენ.
გავუშვებ, — ვპირდებოდი.
გავუშვებ, — ვფითრდებოდი.
გავუშვებ, — გული მიმდიოდა.
ერთხელაც, ცა ადგა და იისფრად შეიღება.
ერთხელაც, წყალი ადიდდა და აიმღვრა.
ერთხელაც, სიზმრის მოგროვება შევძელი.
სიზმარი მუჭში მეჭირა
და მღვრიე წყლებისკენ გავრბოდი.
მღვრიე წყლებისკენ გავრბოდი
და სიზმარი ხელისგულს მიწვავდა.
სიზმარმა ხელისგული ამომიწვა და სხეულზე წამეკიდა.
სიზმარი სხეულზე წამეკიდა და მღვრიე წყალში ჩავდექი.
მღვრიე წყალში ჩავდექი და წყალს ვუბრძანე:
ჩამომრეცხე და წაიყოლე!
წყალს მიჰქონდა და ხელებს მიწვდიდა.
ხელებს მიწვდიდა და შველას მთხოვდა.
წყალმა წაიღო. ჩამომრეცხა წყალმა სიმძიმე.
მე არ ვუშველე, როგორც იყო დანაპირები.
ის სხვა გზით მოვა. დაბრუნდება და შურს იძიებს,
ეს ვიცი ახლა,
დანამდვილებით...

*

ჩვენ რომ გვცოდნოდა ამ შეხვედრის შესახებ რამე,
წინასწარ, ალბათ, წვრილმანებზეც შევთანხმდებოდით.
მე კი შემთხვევით გამოვცურე დღეს უცხო მხარეს,
რას ვიფიქრებდი, რომ ნაპირზე შენ დამხვდებოდი.

რას ვიფიქრებდი, გამოწვდილი ხელების ჩრდილის
შევესწრებოდი მოლოდინს და ნერვიულ ბარბაცს,
რა შემიძლია, — სუსხით ანდა იმ შენი წილი
გულგრილობით თუ ამოგივსებ ოცნების დარბაზს.

სხვა არაფერი, ცარიელი მუჭებით შეგხვდი,
რა მარგალიტი, კენჭიც კი არ მომყვა შენამდე.
რაღას დაგპირდე? მოურჩენელ რა სახადს შეგყრი,
თუ სიმშვიდისთვის განწირული არის ყველა დღე..

დიდი ხანია, გადაფარეს მწვანე ხავსებმა
მოულოდნელი შეხვედრების სუყველა ელდა,
და თუ დაძებნი ჩვენ ორს შორის რამე მსგავსებას,
გამოედები უცხოობის საცეცებს ყველგან...

დიდი ხანია, ვერიდები და არ ვცნობ არცერთ
შემხვედრს და ვეძებ საკუთარ თავს იობის გზნებით.
ის დროა ახლა, უხმაუროდ ერთმანეთს გავცდეთ
და ხეტიალი გავაგრძელოთ სხვადასხვა გზებით...

*

სადღაც, მეხსიერების რომელიღაც შორეულ უჯრედს
ბუნდოვნად შემორჩა ის გოგო,
შენ რომ უყვარდი.
მგავდა და არც მგავდა.
მახსოვს და არც მახსოვს,
ძველი ნაცნობივით,
ოდესღაც რომ კარგად იცნობდი და ვეღარ იხსენებ.
მაწვალებს ხოლმე მისი პოვნის სურვილი.

გამალებული დავეძებ
სარკეში, გულში,
აბლაბუდებს ვხსნი და
ხელისცეცებით მივუყვები
მეხსიერების მტვრიან დერეფნებს —
იქნებ, ერთხელ კიდევ შევხვდე და ვიცნო.
ამაოდ ვწვალობ,
ვერაფრით მივწვდი,
ვერ მოვიხელთე.
დამცინის და ხელს მიქნევს მიღმიერიდან...
თავს არ ვუტყდები,რომ იქ ოდესღაც თავად დავტოვე.
რაღაცით არ მგავდა ის გოგო მაშინ,
რაღაცით მაჯობა და
არ ვაპატიე —
შენი სიყვარული...

*

რაღას ბზუიან კრაზანები ფიქრის მინდორზე?
ნექტარი უკვე ჩაიწურა
დუმილის ჭაში.
ნამცეცსაც ველარ წაიღებენ ახლა
ამ ჭიდან.
აქ კი იმისთვის ვგროვდებოდი,
რომ ერთ წვეთ სითბოდ
შენ შეგეშველო,
სასიცოცხლოდ
თუკი დაგჭირდა...

*

დღეს ისე შეგხვდი,
ისე გამოგცდი,
როგორც უცხოს და
შემთხვევით გამვლელს
ამ უცხოობით არც კი გავოცდი,
არც ელდის მსგავსი
მიგრძვნია რამე...
და მაინც,
ნეტავ, როდის მივედი
გაუგონარი სიცივის ზღვართან?
არ მაგონდება
ცოდვა მცირედიც,
გაურკვევლობის
არნდომის გარდა.
სიზმრების ფსკერი, ცრემლში დამბალი,
და ღამეები მყვანან თავდებად...
სევდიანია მაინც, ამბავი,
ამ გულგრილობით როცა მთავრდება...

*

თითქოს პირველად მოხდა —
ამ დილით
კარი პირველმა შენ გაიხურე...
დგას უშენობა
როგორც ნამდვილი,
ხორცშესხმული და
მწყრალად მიყურებს...

სიმშვიდეს ვისხამ მხრებზე, მოგონილს,
სულის ფორიაქს ეგებ, ვუშველო....
რას ვიფიქრებდი — თურმე, როგორი
შემზარავია სახლი
უშენოდ...

*

თენდება. ნისლი. ჩრდილები მრუდე.
ფითრდება. ცვდება. ილევა ღამე.
სიჩუმე. სივრცე. დუმილის გუბე.
თვალებს მომსკდარი ლოცვების ღვარი.
კედელი. ბზარი. ახდილი ჭერი.
ქარი თესავდეს და ქარი მკიდეს.
ბოლოჯერ კიდევ: — სავსე ვარ შენით —
თავხედი ფიქრი და ხრამის კიდე.
ხელები ჩემი — ცივი და სველი.
მუჭები ჩემი — ყინულით სავსე.
და უხმოდ ვტირი. ვქვითინებ. ვმღერი —
მშვიდობით.
დაგთმე.
— წერტილი დავსვი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკურ გაბუნია

VITA BREVIS!

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

დებიუტი

ტავერნაში თავიდანვე შეამჩნიეს, რომ აარონ ბოლსკი ლაპარაკის დიდი სიყვარულით არ გამოირჩეოდა. მისალმებაზეც თავის დაკვრით სცემდა პასუხს. სხვები კი, როგორც საკუთარი ყოვლისმცოდნეობით თავმომწონე ადამიანები, ბოლსკის შესახებ ათას რამეს ყვებოდნენ. ერთნი ამბობდნენ, მოლაპარაკების დიდოსტატია, მხოლოდ მაშინ საუბრობს, როცა საჭიროა საქმისთვისო. რეგულარებში (ადამიანები, რომლებიც მართავენ მსოფლიოს) დიდი პატივით სარგებლობს, ხალხი უამრავი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების სისწორეში დაურწმუნებია — ირიბად, სხვადასხვა მექანიზმისა თუ ხერხის გამოყენებით, რა თქმა უნდა, დიდი ჰონორარის სანაცვლოდო. ზოგი გეტყოდათ, მრავალი პროფესია გამოუცვლია, ნაადვოკატარია და წარსულში რომელიღაც ქვეყნის ნაპრემიერმინისტრალიცო. თურმე გენერლის მუნდირიანს მონაწილეობაც მიუღია აკეს და აჩინეს ბრძოლებში და თვით რეგულარებთან ერთად თამაშობდა ბანქოს, როდესაც გადაწყვიტეს, რომ საზღვრები მხოლოდ უსარგებლო ხაზებს წარმოადგენდა დედამიწაზე. იმ სწავლულთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ, რომლებმაც შეიმუშავეს გლობალური ეკონომიკის პროგრამა, საზღვრებგარეშე მცხოვრები ადამიანების გამოკვებისა და ბაზრის მუშაობის პრინციპები. სხვა ამტკიცებდა, რომ მოთამაშე ბოლსკის, შეუდარებელი დაკვირვების უნარის ხარჯზე, ყველა მოსალოდნელი შედეგის გამოცნობა შეეძლო, ამიტომაც აქციების ყიდვა-გაყიდვით არის დაკავებულიო.

ვარაუდებში გაბნეულებმა არ იცოდნენ, რომელი მათგანი იყო მართალი. ერთხელ ვიღაცამ გამოაცხადა, ოფიციანტისთვის უთქვამს, ექიმი ვარო. ესეც ოფიციანტის ფანტაზიის ნაყოფს თუ საკუთარი თავის მნიშვნელოვან ადამიანად წარმოჩენის სურვილს მიაწერეს — მათგან ხომ საავადმყოფოებში არავის შეხვედრია. დაინტერესებულებს ახლომახლო ყველა ექიმის სახელი მოუძებნიათ, მაგრამ მათ შორის აარონ ბოლსკი არ იყო. „არდო ვერსი“ და სუდოკუ კი ვერ იძლეოდა საკმარის ინფორმაციას, რომელიმე შეხედულებისთვის ფართომასშტაბიანი თვისების მისანიჭებლად.

ბოლსკის მიმართ უამრავი განსხვავებული დამოკიდებულება მჟღავნდებოდა. ერთმანეთს საოცარი სისწრაფით ენაცვლებოდა აღფრთოვანება, მოკრძალება, შიში, არასერიოზულობა, სიძულვილი თუ უნდობლობა. მისგან დამოუკიდებელი ცვალებადი სახე, გარშემომყოფები შესაშური მრავალფეროვნებით რომ ქმნიდნენ, ცენტრალურ სასაუბრო თემად ქცევასთან ერთად, ბოლსკის პიროვნების გაქრობას უზრუნველყოფდა. ამ ხალხისთვის საკუთარი თავის გაცნობით არ შეწუხებულა და ისეთ შთაბეჭდილებასაც ტოვებდა, რომ არ ანაღვლებდა სხვები რას მიედ-მოედებოდნენ. არ გაუღიმია მათთვის, ვინც აქებდა და მოძულეთა მიმართაც არ გამოუხატავს წყენა. აარონის არჩეული პოზა აცხადებდა, რომ არავის მიიჩნევდა ყურადღების ღირსად და რომელიმე ბახუსმისალმებული მასში ინტერესის გაღვივებას თუ შეეცდებოდა, ნაირნაირი ხერხის მიუხედავად, კუდამოძუებული მიუბრუნდებოდა იმედგაცრუებულთა სამყოფელში.

როგორც მწერლები ამბობენ, შეხედვისთანავე (იმ ამოუხსნელობის სურნელთან ერთად) დაგაინტერესებდათ მისი გარეგნობა: ატარებდა შესამჩნევად კეხიან ცხვირს, რომელზეც დაკვირვებული თვალი წყვილ ჩალურჯებას გამოააშკარავებდა, თუმცა ტავერნაში სათვალით არავის უნახავს. ტანად მაღალი ეთქმოდა და განიერ მხრებსაც იმშვენებდა. ყოველი გამოჩენისას მოლურჯო, წელში იდეალურად გამოყვანილი პიჯაკი ეცვა. ამ ორი წლის განმავლობაში ვარცხნილობაც არ შეუცვლია და ერთი და იმავე რუტინული გასართობით შეიქცევდა თავს. გეგონებოდათ, რეაქციის უნარი არ გააჩნიაო, რადგან დიდი აყალმაყალის დროს, რასაც იშვიათობას ვერ დავარქმევთ, არა თუ ფეხებს მოსაცვლელად მოიყვანდა მწყობრში, არამედ ოდნავადაც არ შეიშმუშნებოდა. მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი ან სასმელს უყურებდა, ან სუდოკუს. იშვიათად თუ აიხედავდა ფანჯრისკენ. არ ატარებდა მაჯის საათს, თუმცა არც ერთი წუთით დაუგვიანია. „არდო ვერსიც“ ქვიშის საათივით წასვლის დროის მოახლოებისას იცლებოდა. მუდამ თან ჰქონდა მუქი ლურჯი წიგნაკი, რომელშიც დროდადრო რაღაცას ინიშნავდა. აი, ამ დროს კი ახლომახლო მსხდომ ცნობისმოყვარეებს ინტერესი კისრებს ატკიებდათ — იქნებ თვალი რამე საინტერესოს მოვკრათო. ამავე წიგნაკში ათავსებდა სუდოკუს ქაღალდს და ორივეს ერთად — პიჯაკის გულისჯიბეში.

ბოლსკის ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯები ხასიათის შტრიხების გამოსაცნობად იმ მწირ საშუალებას წარმოადგენდა, რომელიც სიჩუმესთან, სიმშვიდესთან თუ მარტოობასთან ერთად იშვიათ დაკვირვების საგნად მიეცათ ტავერნელებს. მისი სიარული მოგაგონებდათ მოჭადრაკის მიერ განხორციელებული სვლებივით დიდი ხნით ადრე დაგეგმილ მოქმედებათა ნაკრებს. ყოველ მიხვრა-მოხვრას გრაციოზულობის ელფერი დაჰკრავდა. თითქოს სხვა სამყაროდან შემთხვევით ჩამოეშვათ დედამიწაზე. იმ სამყაროში თეატრის მსახიობები თავად დადიოდნენ ადამიანთა ყოველდღიური ყოფის სანახავად. ამის შემხედვარეს, კითხვა, თუ რატომ სტუმრობდა ბოლსკი ტავერნას, მოსვენებას უკარგავდა. „არდო ვერსი“ — ყველასთვის ხელმისაწვდომი სასმელი — არა მხოლოდ აქ მოიპოვებოდა და სუდოკუს შევსება სხვაგანაც არ იყო აკრძალული.

ჰქონდათ შეკითხვა და პასუხის გაცემისას ზოგიერთი თავს ბოლსკის დაკვირვების ობიექტად წარმოიდგენდა. საკუთარი მნიშვნელობის ზღაპრული ჰიპერბოლიზებით თავბრუ ეხვეოდა. ამტკიცებდა, აქ იმიტომ დადის, რომ რეგულარებს ჩემზე ინფორმაცია მიაწოდოს, როგორც საშიშ თუ საჭირო პიროვნებაზეო. სხვა უფრო თავმდაბალი აღმოჩნდებოდა და არა რომელიმე ერთს, არამედ ტავერნაში შეკრებილ საზოგადოებას მიანდობდა საკვლევ მასალად. ამ უკანასკნელი იდეით შეპყრობილნი ცდილობდნენ, ბოლსკისთვის გამოზომილი, მათ სასიკეთოდ შერჩეული აზრები ჩაეწვეთებინათ; ისე მოქცეულიყვნენ, რომ მასში უსაფუძვლო ეჭვი არ აღეძრათ. ზოგიერთი ავანტიურისტი, პირიქით, ზედმეტ ყურადღებას იქცევდა, როგორც უშიშარი და მეამბოხე. ბოლსკის წასვლის შემდეგ კი საჯაროდ განიხილავდნენ, თუ რა დიდებულად შეასრულეს დღის გეგმა და რა შესანიშნავი შთაბეჭდილებით გაუშვეს ტავერნიდან. თავს გამარჯვებულად აღიქვამდნენ და სიხარულით იგონებდნენ იმ ბედნიერ შემთხვევას, როცა პირველად შეიტყეს ბოლსკის განზრახვა.

ტავერნაში რამდენიმე ჯგუფი ჩამოყალიბდა: ისტორიების მთხრობელები, ბოლსკის დაკვირვების ობიექტები, ნამდვილი ვინაობის მაძებრები, წიგნაკის ჩანაწერების მომპოვებლები და ბოლსკის ყურადღების მიქცევაზე მომუშავენი. ბოლოს ნახსენები ჯგუფის წევრები, იქნება და ჩაერთოს საუბარშიო, გვერდით მაგიდასთან ალიაქოთს ატეხდნენ. თითქოს ამაზე თვალებს ნამდვილად ვერ დახუჭავდა. გაგეცინებოდათ, რა ვეღარ ისწავლესო ჭკუა. მათკენ არც მაშინ გამოუხედავს, როდესაც ვინმე საშუალო სიმაღლის წითური დიდის მონდომებით შეუდგა მოყოლას.

ხოლო წითური ამბობდა, რომ რეგულარები საჭირო დროს უცდიდნენ. უფრო სწორად, დრო ისედაც მათ ხელში იყო. ისინი ქმნიდნენ ეპოქებს და შესამზადებლად გარდამავალ პერიოდებსაც. საზღვრებგარეშე ცხოვრების სურვილი მხოლოდ თხუთმეტი წლის წინ არ გასჩენიათ. თურმე დიდი ხანია, მუშავდებოდა გეგმა. მისი თქმით, რეგულარები იგივე ხალხი ყოფილა, ვინც საზღვრების დროსაც მართავდნენ ქვეყნებს. ანუ, არც რევოლუცია მომხდარა, როგორც ჩვენ გვეუბნებიანო. რევოლუცია, სინამდვილეში, თურმე ტირანიის ერთი ხელიდან მეორეში გადასვლას ნიშნავდა, ახლა კი უბრალო სტრუქტურულ ცვლილებასთან ჰქონდათ საქმე. ამბობენ, სხვადასხვა ეთნოსი მაინც არ შეერევა ერთმანეთს, რასები — მით უმეტეს და არავინ დაკარგავს თვითმყოფად კულტურასო. მაგრამ წითურს სჯეროდა, რომ რეგულარებს კულტურული იდენტიფიკაცია ისე აინტერესებდათ, როგორც, რას მიირთმევდა იგი დესერტად. საჩუქრად გამოცხადებულ საზღვრებგარეშე ეპოქას ბინძურ ფანდად რაცხავდა. აცხადებდა, რომ ეს იყო ომი, კაცობრიობის წინააღმდეგ, სისხლისღვრის გარეშე. მისი აზრით, სულ ცოტა ხანში ძალაუფლების ახალი კერები გაჩნდებოდა. ყოველი მათგანი ადრე თუ გვიან მომძლავრდებოდა და საზღვრებს ხელახლა გაავლებდა. ამ საზღვრებში კი ვინ იცის, რამდენი რჯულის ხალხი მოიყრიდა თავს ახალი უკანონო ქვეყნების, არასწორად სელექცირებული მოსახლეობისა და ფუყე საზოგადოების შესაქმნელად. ამ კუსტარულად აწყობილ გაერთიანებებში აუცილებლად დაჩაგრავდა ერთი კულტურა მეორეს და ახალ, ნაკლებად მრავალფეროვან მსოფლიო რუკას მიიღებდნენ. სხვებს ეკითხებოდა, როგორ იარსებებს ეკონომიკა ქვეყნებს შორის ვაჭრობის, საბაჟოს გარეშეო. ნურავის ეგონებოდა, დიდხანს გასტანდა საზღვრებგარეშე ეპოქა. ნურც იმას იფიქრებდნენ, რომ ამ ექსპერიმენტის შეწყვეტა და საწყის წერტილზე დაბრუნება შეიძლებოდა. თვით დიადი რეგულარებიც ჩაფლავდებოდნენ ამ საქმეში.

ხანდახან საუბრის ექსტაზში შესულებს აარონ ბოლსკი ავიწყდებოდათ კიდეც. საზღვრების გაუქმების მიზნის დადგენასა და რეგულარების მოქმედებათა შესახებ კამათს, რომელსაც საკუთარი ერუდიციისა თუ კაცობრიობის ბედით შეწუხების ხაზგასასმელად მიმართავდნენ, ბოლსკიც ვერ აღუდგებოდა წინ. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთ მშვენიერ დილას აცნობეს (და საღამოს გააცნობიერეს), არა რომელიმე ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, არამედ უბრალო ეთნიკური ნიშნით გამორჩეული პიროვნებები, რომელთათვისაც გზა უშორეს ჰორიზონტებს თავისუფლად მიუყვებოდა. ცხოვრების მანამდე არსებულმა უამრავმა წესმა ცვლილებები მაშინვე დაიწყო. ზოგიერთი მათგანი საზღვრების გაუქმებასთან ერთად მოგონებას მიეცა. მაგრამ დედამიწიდან ვერავინ გააქრობდა მათემატიკას, მარადიულ ქალაქსა და, რაც მთავარია, რადიოს, რომელსაც უსმენენ სახლში, გზაზე, დასვენებისა თუ მუშაობისას. ყურსასმენებით, ხეების ჩრდილქვეშ სეირნობისას. საწოლში. აივანზე სარწეველა სავარძელში ჩამსხდარნი, ხელში ჭიქა „არდო ვერსით“ და ქალაქის ღამპიონების მკრთალი შუქით განათებული ხელოვნური პეიზაჟით. საზღვრებგარეშე ეპოქის დადგომამდე, ადამიანთა ჩვეულებრივი საცხოვრებელი და სამოქმედო არეალი ამა ქვეყნის დიდებულთაგან წითელი ხაზით მონიშნული სივრცით შემოიფარგლებოდა. წითელ ხაზს მიღმა მხოლოდ ფანტაზია აღწევდა ლეგალურად. ადამიანის წარმოსახვის სრულად გამაკონტროლებელი მანქანა ვერ შექმნეს, მაგრამ სჯიდნენ გამოთქმული წარმოსახვის პატრონებს. უმეტესობას ფანტაზიაც შინაპატიმრობაში ჰყავდა — უშობელნი თუ აბორტისთვის განწირულნი. თუმცა იყვნენ ისეთებიც, „საშიში“ ხმების მოსასმენად ჩახშობას გადარჩენილ რადიოტალღებს რომ იჭერდნენ. მათთვის რადიო იყო ფანჯარა, რომლის მიღმაც სხვები ჩანდნენ. სხვები კი იყვნენ აკრძალული პიროვნებები, რომელთა ნათქვამსა და შექმნილს ტაბუ ედო. ამ ხმების მოსმენისას თავისუფლებას გრძნობდნენ. თავისუფლების დროს კი, აბა, რა გააჩერებდა რადიო-მოყვარულებს? მითუმეტეს, კაცობრიობის ცხოვრების ყველა ასპექტი გამარტივების გზას ადგა. ინფორმაციის მისაღებ ყველაზე მარტივ საშუალებად რადიო ჩამოყალიბდა. ის განსხვავდება ტელევიზიისგან, რომელსაც უნდა უსმინო და თან თვალი ადევნო გამოსახულებას. ამ დროს კი შეიძლება ბევრი რამე გამოგეპაროს, რადგან მხედველობა სმენას მეორე პლანზე სწევს. ყველაფერთან ერთად კი წარმოსახვას აქვეითებს. აი, რადიო კი სხვა საქმეა: გესმის ხმები, რომელთა მიღმაც, არ იცი, ვინ იმალება — შესანიშნავი საშუალებაა ფანტაზიისთვის ფრთების შესასხმელად. შექმენი შენი ადამიანი ხმისგან. გინდა ლამაზი იყოს, ჰქონდეს მაღალი ყელი, ოდნავ ჭორფლები ცხვრის ფერდებზე და ტანი ისეთი, აი, როგორც იმ გოგოს ქუჩაში რომ შეგხვდა. მსმენელთა მზერისგან მიმალულებს სადად, მოსახერხებლად აცვიათ. ან რა აზრი აქვს, როგორ იმოსება რადიოწამყვანი ქალი. განა არ შეიძლება გრძელი, შავი კაბა ეცვას, ან მსუბუქი, თხელი მოსასხამი? შესაძლოა ლამაზიც არაა, მაგრამ საყვარელი მისტიური ხმა ასეთ აზრებს გამორიცხავს. ზოგი გაღიზიანებს. აშკარად არ იმეგობრებდი. ზოგჯერ შეხედულებები არ მოგწონს და სმენას გიკაწრავს. მაგრამ, რაც მთავარია, არსებობს ხმა, რომლისთვისაც რთავენ რადიოს სახლში, გზაზე, დასვენებისა თუ მუშაობისას.

ვინ იცის, ანესაც რამდენნაირი გარეგნობა გამოუგონეს. წარმოსახვიდან წარმოსახვამდე იცვლიდა თვალების ფერთა პალიტრას, ყელის მოხაზულობას, მკერდის სილუეტს, წელის მოქნილობას. ერთდროულად ლამაზიც იყო და გულკეთილიც. ადამიანს სჩვევია, თუ ვინმე ლამაზია, ვერც წარმოიდგენს, რომ შეიძლება ცუდი რამ ჩაიდინოს. ანეს უსმენდნენ და წარმოიდგენდნენ, როგორ სვამდა „არდო ვერსის“, როგორ წერდა, როგორი იყო საწოლში, მოწყენილი თუ მხიარული, გაბრაზებული თუ სიამოვნებამოგვრილი. ძნელია, დათანხმდე შენ მიერ შექმნილ სხეულთან შეხვედრას, რადგან არ გინდა, ის წაგართვან. მით უმეტეს იმავე ხმამ, რომელმაც მხოლოდ შენეული გარეგნობის შემოქმედად გაქცია. ამიტომ ანეს არავინ ეძებდა ქუჩაში, არც წვეულებებზე, არსად, სადაც უნდა ყოფილიყო. მუდამ სასურველ ადგილას აღმოჩნდებოდა: ვინმეს სამზარეულოში, მოგზაურის გემზე, ოცი წლის ბიჭთან ერთად თავგადასავლებს რომ ეძებს, ან პიანისტს უსმენდა ან ვინმეს ეთამაშებოდა ბანქოს. ყოველთვის სხვადასხვა იყო, ყოველთვის წარმოდგენის მიხედვით.

კვირის მესამე დღე იდგა, ანე მსმენელს მიესალმა და რადიოგადაცემაც დაიწყო. იმ წიგნზე უნდა ესაუბრა, ჯერჯერობით ბოლომდე წაკითხვაც რომ ვერ მოესწრო. აფორიაქებული ჩანდა. თითქოს ნაწარმოებში ისეთი რამე აღმოაჩინა, მხოლოდ მას რომ ეკუთვნოდა. ეს უცხო არ არის მკითხველებისთვის. ალბათ, დედამიწაზე პირველი წიგნის ავტორმა დაანათლათ —

ეძიეთ და წარმოიდგინეთ, რომელიმე პერსონაჟი თავად ხართო. და ასეა, ისინიც პოულობენ. მერე საკუთარი თავი უფრო მეტად უყვარდებათ. ხანდახან, გმირებთან კავშირით გამოწვეულ სიამაყესთან ერთად მათი სხვა თავისებურებების, შეხედულებების, ჩვევების ათვისებასაც ცდილობენ. როგორც წესი, ამგვარი საქციელი კრახით მთავრდება, რადგან ხელოვნურად მიწებებული ნებისმიერი თვისება ვერასდროს იძენს ორგანულ ფუნქციას. თუმცა ანეს აფორიაქებას სულ სხვა საიდუმლო განაპირობებდა და მიხვდა, რომ არ შეეძლო სიმშვიდის შენარჩუნება გადაცემის მსვლელობისას. ექსტრემალურ სიტუაციაში ბევრჯერ აღმოჩენილა. სრულად დამუშავებულ თემაზე თითქმის არასდროს უწევდა საეთერო დროის დათმობა. გადაცემის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე უკითხავად უცვლიდნენ გეგმებს. თავადაც ერთგვარი შემართებით ეკიდებოდა უფროსი ლის გადაწყვეტილებებს. საკუთარი თავის გამოცდა იზიდავდა და სრული მოუმზადებლობის პირობებშიც რადიომიმღებთან მსმენელის მიჯაჭვას მშვენივრად ახერხებდა. ინტერპრეტაციის ბრწყინვალე უნარით გამორჩეულს, სათანადოდ იყენებდნენ ხელმძღვანელებიც. მაგრამ ამ შემთხვევეში, ანე კატაკლიზმას უფრო უშიშრად დაუდგებოდა, ვიდრე ხელთარსებულ საშიშროებას. ხმას ვერ იმორჩილებდა. რომელიმე მსმენელი აუცილებლად ცუდ მაკიაჟს მოარგებდა, ან მოუხერხებელ კაბას შეურჩევდა. გაციებული თუა, იფიქრებდნენ სხვები — ფანტაზიის უნარმოკლებულები.

შესვენება მალევე მოითხოვა. ოთახში შემოსულ დამხმარე გოგონას, რომელმაც აცნობა, სტუმრის შემოყვანას გთხოვენო, არც კი მიაქცია ყურადღება და როდესაც ცხვირწინ ჯორჯ ბრეივსონიც აესვეტა, შეცბა, წიგნი დაკეცა და ყალბი თავაზიანობით მიესალმა. მიხვდა, რომ ასეთ მდგომარეობაში ბრეივსონის წინაშე მისი უბადლო ნიჭი შეშაგამოლეული კოცონივით მინავლდებოდა. ერთადერთი გამოსავალი დარჩა — თავად სტუმრისთვის უნდა მიენდო გადაცემის ბედი და თვითონ კი შეერთებოდა მსმენელთა მრავალრიცხოვან კასტას. რას არ მისცემდა, რომ ამ ოთახიდან ახლავე შეძლებოდა გაქცევა და იმ ანესთვის მშვიდად დაკვირვება, წიგნში რომ იყო აღწერილი.

ჯორჯ ბრეივსონმა ოთახში შემოსვლისთანავე ფინანსურ მხარეზე დაიწყო საუბარი. სიამოვნების შეუკავებელი ღიმილი აღბეჭდოდა სახეზე და მიღებულ სარგებელს ითვლიდა. მისი თქმით, ანეს გადაცემის პოპულარობა მაღაზიათა დახლებიდან რამდენიმე საათში სრულად გააქრობდა ყველა ეგზემპლარს. თუმცა წინდახედულმა გამომცემელმა უკვე იზრუნა და VITA BREVIS სწორედ ამ წუთებში უფრო დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა. ჯორჯ ბრეივსონი არ შემცდარა. ის საზღვრებგარეშე ეპოქის დადგომამდეც საგამომცემლო საქმიანობით იყო დაკავებული და რეგულარების მიერ საზღვრების გაუქმებამ ჯერ არ გაგონილი საბაზრო არეალი შეუქმნა. VITA BREVIS გახდა წიგნი, რომელსაც ყოველი კატეგორიის მკითხველი ერთნაირი ინტერესით უდგებოდა. უფრო მეტიც, მას კითხულობდნენ ისეთებიც, რომ ვერ დაიკვეხნიდნენ, არიქა იმდენი გვაქვს წაკითხული, სირცხვილია, VITA BREVIS არ მივაყოლოთო. წიგნის გასაყიდად ანეს გადაცემის როლის შეფასებაშიც მართალი იყო. სწორედ ამ ეთერის შემდეგ, კვირის მეოთხე დღეს, საღამოს შვიდ საათზე, როდესაც აარონ ბოლსკიმ ტავერნის კარი შეაღო, ცვლილებათა მთელი წყება შეამჩნია. ერთი ხელის მოსმით ვიღაცას მათი საზრუნავი გადაეკეთებინა. ძველებური სახით მხოლოდ წითური კაცი დაუხვდა, ამჯერად უჩვეულოდ ადრე რომ დაეწყო რეგულარების საქმიანობის საკუთარი ინტერპრეტაციის სისწორის დამტკიცება. წითური ლაპარაკისას უცნაურ წინააღმდეგობას წააწყდა — მსმენელები და მოკამათეები გამოეცალა ხელიდან. ზურგი აქცია იმ ხალხმა, რომლებიც ამტკიცებდნენ, ცოტა ხანში დიფერენციაცია არ იქნება და ყოფილი მესამე სამყაროს ქვეყნების მოსახლეობას დაავიწყდება შიმშილიო. მათ ნომერ პირველი სახელმწიფოების გაქრობა კაცობრიობის გამარჯვებად მიაჩნდათ, რადგან არავის შეეძლო ჰეგემონია და საკუთარი ძალაუფლებით დანარჩენი მსოფლიოს მართვა. საზღვრები გააუქმეს, რათა კაცობრიობა ერთ მთლიან ორგანიზმად იქცესო. ამბობდნენ, რომ საბოლოო ჯამში სწორედ ასეთი მოვლენების წინასწარეტყველება შეიძლებოდა და არ ადარდებდათ, არც ერთი წინასწარმეტყველის ჩანაწერებში რომ არ გახლდათ ნახსენები: „დიდი ამბავი! მთავარია, საზღვრებგარეშე ეპოქას მშვენივრად ვეგუებით. ნუ გეშინიათ, ბატონებო, სიახლეების.“ ეს ხალხი წითურს სიტყვის მიწვდენის მანძილიდან გაეცალა.

წარმოუდგენელია, როგორ უნდა მაჯობოს ამ სულელურმა თამაშმაო, ჩაილაპარაკა. პერანგი ქედმაღლურად შეისწორა და თავადაც მეთოთხმეტე მაგიდისკენ გაემართა, რომლის გარშემო ჩამომსხდარი ტავერნელები გამალებით თამაშობდნენ ბანქოს ქაღალდით, კამათლითა და პაიკებით. ფიგურების მოძრაობაზე იმდენ ტავერნელს დაელაგებინა მზერა, რომ სიმჭიდროვისგან თვალები ასტკივდა. აქ იყვნენ ყოფილი ბუღალტერები, კინორეჟისორები, მწერლები, ფიზიკოსები, მფრინავები, ინჟინრები — ერთი სიტყვით, ათასი მრწამსისა და წარსულის ადამიანები, რომლებიც ასე სასწრაფოდ ქცეულიყვნენ მოთამაშეებად. თავიანთ პროფესიებს რამდენიმე წლის წინ დაემშვიდობნენ და ახლა მოწყენილობის დამთქნარება შეაწყვეტინათ თამაშმა, რომლის სტრატეგიული სვლებისა თუ დადგენილი წესების ძირფესვიანი გარკვევით იყვნენ დაკავებულნი. უმიზნოდ დარჩენილებს ბევრად საინტერესო თავშესაქცევი გამოუჩნდათ, ვიდრე დაუსრულებელი, ერთფეროვანი კამათი თანამედროვე წყობაზე, რომლისაც სინამდვილეში არაფერი გაეგებოდათ. ძალისხმევის მიუხედავად, ვერაფერს ჭვრეტდნენ (მითუმეტეს, განკარგავდნენ), მაგრამ დიდი ხნის წინ შეეგუვნენ ყოველდღიურ რუტინას, რომელშიც აითქვიფნენ მოულოდნელად და შეუმჩნევლად.

უგულებელყოფით შეურაცხყოფილმა წითურმა მოსვენება დაკარგა. ყველა ტავერნელის გასაგონად ხელახლა წამოიყვირა ათასჯერ გაცხადებული სიტყვები, ადამიანი სამართავად ყველაზე კარგი გამოგონებაა. დილანდელი პრესის ფურცლებზე მიუთითებდა, საიდანაც სიმართლეს იუწყებოდნენ. აშკარად VITA BREVIS-ზე საუბრობდა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რა წარმოადგენდა სიმართლეს — ჯერაც უცნობი ავტორის ვინაობას ამხელდნენ თუ წიგნის გამოჩენის მიზანს. გრძელთმიანმა ახალგაზრდამ, აქამდე რომ არც შეუნიშნავს, მკვახედ მოუწოდა გაჩუმებისკენ, რადგან აინტერესებდა, ვის მიუვიდა ბანქოს მეხუთე კატეგორიის ქაღალდი. „ვერაფერს იტყვი თუ მეხუთე კატეგორია გაინტერესებს“, ჩაილაპარაკა წითურმა და ხუთკუთხა მაგიდის (რომელიც საგანგებოდ თამაშისთვის გამოუჭედავთ) საპირისპირო მხარეს გადაინაცვლა.

აარონ ბოლსკი, ვითომ აქ არაფერი, ისევ ჩვეულებრივი რიგითი დღეაო, ავსებდა სუდოკუს და „არდო ვერსის“ სვამდა, როგორც იცოდა, აუჩქარებლად. წითურმა კიდევ ერთხელ წამოიწყო: „ახალი გასართობი გვაქვს. რეგულარებს ყოველთვის შეუძლიათ მარიონეტებივით გვმართონ და თქვენ ამას ვერ ამჩნევთ. ერთხელაც იქნება, მეტყველების უნარსაც დაკარგავთ. თუმცა რაღაში გჭირდებათ, რა უნდა წამოროშოთ სხვების ყურადღების ღირსი? ადამიანს ლაპარაკი სადილის შესაკვეთად არ დაუწყია, თქვენ კი მხოლოდ საყოფაცხოვრებო სურვილების დასაკმაყოფილებლად იყენებთ“.

ამ მაგიდასთან რეგულარები ვერაფერს მიშველიან და თუ არ გაჩუმდები, ვფიცავ, ძალით მოგაკეტინებო, ჩაესმა წითურს და ერთ-ერთი მოთამაშის იარაღივით მიბჯენილმა მზერამ შუბლი აუწვა. ამ შავგრემან ბიჭს მეხუთე კატეგორია მიეღო და სხვებს უცდიდა, როდის მოათავებდნენ დარიგებას. წითურიც მიხვდა, რომ აქ მისი ადგილის მოძებნა შეუძლებელი იყო, ხმისამოუღებლად გაიძურწა მაგიდა თოთხმეტის სიახლოვიდან და ოცდამესამე ნომრისკენ გაემართა. იქ ეგულებოდა არა თუ დღევანდელი დღის, არამედ ბოლო ორი წლის თავსატეხი — აარონ ბოლსკი. ოფიციანტს „არდო ვერსი“ შეუკვეთა და გეგმის შემუშავებას შეუდგა. ამჯერად დალაპარაკება დაისახა მისიად. ერთხელაც ხომ უნდა ესაუბრა აარონთან. ამით, დარწმუნებული იყო, სხვების ყურადღებასაც მიიპყრობდა და ნომერ ოცდასამს კუთვნილ დიდებას დაუბრუნებდა. მოთამაშეთა ხმების ქარიშხალში — „მეხუთე კატეგორიას რა ენაღვლება, მაგრამ მოვა მისი დროც“, „ჩემი პაიკი წინაა, მთავარია, კამათელმა არ მიმტყუნოს“, „მომდევნო დარიგებაზე ეისი თუ მომივა, განახებთ, როგორ უნდა პაიკების განლაგება“ და ათასი მისთანანი.



ვერ შეარჩია, რაზე წამოეწყო საუბარი. უბრალოდ მისალმებოდა და თავი გაეცნო თუ სხვათა შორის ეკითხა თუნდაც ჯანმრთელობის შესახებ. ამ დრომდე ოსტატობა არ ყოფნიდა ბოლსკის დასაინტერესებლად. მითუმეტეს, დღეს, რომელიც თამამად შეეძლო უიღბლოთა სიაში ჩაენიშნა, წესით არ უნდა ჰქონოდა განსაკუთრებული იმედი. უამრავი უარყოფილი ვარიანტის შემდეგ — რომლებიც მოიცავდა, პირველ რიგში, რეგულებს და შემდეგ კი ამინდს, ტავერნას, თავად ბოლსკის, რადიოს, რადიოწამყვან ანეს, საზღვრებგარეშე ეპოქას, ხელოვნებას, სუდოკუსა და მწერლობასაც კი — წითურმა თავი გაიმხნევა, როდესაც ადამიანი გეგმავს, წინასწარ უნდა იცოდეს, რომ გეგმა განხორციელებისას აუცილებლად შეიცვლებაო. ამიტომაც განსაკუთრებულ სიფრთხილეს თავი აარიდა, ისედაც იმპულსური მოქმედებები გახლდათ მისი დამახასიათებელი ნიშანი. ბედს მინდობილმა მშვიდად გადადგა ნაბიჯი ბოლსკისკენ. სანამ მიუახლოვდებოდა, მეთოთხმეტე მაგიდიდან ბოხი ხმა გაისმა, რომელიც იუწყებოდა ერთით ნაკლები მოთამაშით დარჩენას და წესების თანახმად ბანქოს მეხუთე კატეგორიის გაუქმების აუცილებლობას. ხოლო მანამდე ამ ხელში დამარცხებულს გადარჩენა უსურვა და შეახსენა, რას იზამ, შენი სიცოცხლე ახლა ჩვენს ხელთ არისო. და ამ ბოხხმიანთან ერთად დანარჩენმა სამმა ერთმანეთის მიყოლებით წამოიძახა: VITA BREVIS!

პროექტული ბიბლიოთეკა

ლევან ლორია

ჯუანშერი და კახაბერი

დასასრული

მართლაც, მეორე დღესვე დაადგნენ დიდი ქალაქის გზას მამა და შვილი. ჯუანშერმა მეორე ბიძასთან, მაგდანას ძმასთან დააბინავა კახაბერი, რეპეტიტორიც უშოვნა — ახლობელი მხატვარი და სოფელს დაუბრუნდა.

ერთი კვირის შემდეგ დიდ ქალაქში მთავარ პროსპექტზე სხვა რამდენიმე მხატვართან ერთად ნახატების ბაზრობასთან იყო კახაბერი, დასაკეც სკამზე იჯდა, მოლბერტი გაეშალა და ბლის ხეს ხატავდა, რომლის ტოტზე ერთლარიანი თოკის ნაგლეჯი იყო ჩამოკიდებული, დაბლა წაქცეული ჯორკო და მიწაზე კი ჩამჯდარი, ხელებში თავჩარგული ბიჭი ჩანდა, ყელზე თოკის ნაგლეჯით და ფეხზე „დვამიაჩა“ კეტებით. გამვლელ-გამომვლელი ნახატთან ჩერდებოდა. ცოტა ხანში იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, მიტინგი გეგონებოდათ და პოლიციელებმა ხალხს დაშლისკენ მოუწოდეს. თვითონ კახაბერი ვერაფერს გრძნობდა, სხვა განზომილებაში იყო თითქოს. რომ მოსაღამოვდა, მაშინ დაამთავრა ხატვა და ერთმა უცხოელმა ტურისტმა, ეს ნახატი რა ღირსო, იკითხა. კახაბერს რომ ჰკითხეს, მილიონიო. მილიონს ვერა და ათას დოლარს ვიხდიო, უცხოელმა. მაშინ კახაბერის ერთადერთი სურვილი იყო, თავზე გადაეფხრიწა ეს ნახატი იმ უცხოელისთვის, მაგრამ უცებ ჯუანშერი გაახსენდა, მისი გულისთვის მთელი ნაგროვები თანხა რომ გაიმეტა და ტანკში გადაყარა. თვითონ ეს ნახატი ყველაზე საშინელ დღეს აგონებდა მის ცხოვრებაში, რატომ დახატა, ამასაც ვერ ხვდებოდა. ალბათ, თუ დავხატავ, მაშინ იმ დღეს გონებიდან ამოვშლიო, ფიქრობდა.

ასი დოლარით ახლად გაცნობილი მხატვრები იქვე ახლოს მდებარე სახინკლეში დაპატიჟა, დანარჩენი კი ბიძას დაუტოვა, ჩემებს გადაუგზავნეო და ახალ გამოცხადებულ ომში წავიდა, უკვე არასამოქალაქო, სამამულო, იმ კუთხის დასაცავად, რომელზეც „უცხოს თვალი ეჭირა“.

კახაბერის ნაწილი გაგრას იცავდა. ხიდთან იყვენ ჩასაფრებულები. ახლა ავტომატიც ჰქონდა და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნიც. სატანკო შეტევას ელოდნენ. ხიდი დანაღმული იყო. ბევრნი იყვნენ გადამთიელები. ტანკიც გამოჩნდა, უკან ქვეითები მოჰყვებოდნენ. ხიდს რომ მიუახლოვდა, შედგა ტანკი, თითქოს შეშინდაო, მერე ერთი ისროლა ქვემეხით და ხიდზე გააგრძელა გზა. ამაოდ ატრიალებდნენ ასაფეთქებელ მოწყობილობის სახელურს. მოღალატეებს სადენები გადაეჭრათ და ტანკი ხიდის აქეთა მხარეს იყო უკვე. კახაბერმა, არ ავაცილოო, სანგრიდან წამოიმართა და ტანკს დაუმიზნა. უცებ თვალში მოხვდა წარწერა, ც+კ=ს და ისროლა კიდეც. ტანკს ცეცხლი მოედო, კოშკურა მოძვრა, ერთი ადგილზე დატრიალდა და დადუმდა. კახაბერმა სანგარში დაბრუნება ვერ მოასწრო, ავტომატის ჯერმა მოცელა და საიდანღაც გაჩენილ ჯუანშერს ჩაუვარდა ხელში...თვალი რომ გაახილა, თეთრმა კაშკაშა შუქმა თვალები მოჭრა, მაგრამ ამ შუქშიც გაარჩია ცისმარის სახე. ალბათ სამოთხეში ვარო, გაიფიქრა. ცისმარს ალუჩისფერი თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, ცრემლები ლოყაზეც ჩამოსდიოდა. სამოთხეში არ შეიძლება რომ ტიროდნენ, გამოდის, მიწაზე ვარ ისევო — ფიქრი გააგრძელა კახაბერმა. ცოტათი წამოიწია და ცისმარის უკან მაგდანას, თეთრხალათიან ექიმს და ჯუანშერს, ხელში სოფლის წყაროს წყლით სავსე ნახევარლიტრიანით რომ მოჰკრა თვალი, მაშინ მიხვდა, მართლა მიწაზე იყო, თან ცოცხალი. აცრემლებულ ცისმარს უყურებდა და ალბათ პარალელური წრფეებიც იკვეთებაო, გაიფიქრა. მერე, რადგან სასუნთქ აპარატზე იყო მიერთებული და საუბარი არ შეეძლო, კალამი მოითხოვა. ჯერ რიცხვი დაწერა, სამასსამოცდაექვსი, მერე წერტილი დასვა და გვერდით მიუწერა — მიყვარხარ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი

გაგა ნახუცრიშვილი

ცხოვრობ, დადიხარ, აკეთებ საზოგადო თუ სახალხო რაღაცებს, დროგამოშვებით სასიამოვნოს; მუშაობ, არ გყოფნის; იღებ ვალებს, მერე კიდევ მეტს მუშაობ; ისტუმრებ, ისევ იღებ, ისევ მუშაობ — ახლა უფრო მეტს, და ისევ, და ასე წრეზე და: პასუხისმგებლობები, მოვალეობები, ინერციით წასული გზები და იხრჩობი, მაგრამ ჯიუტად მუშაობ და ისევ და ჯიუტად გჯერა, რომ სადმე დაეწევი საკუთარ თავს და ერთად გაიქცევით ამ ყველაფრისგან და სულ მუშაობ და სულ უფრო ნელა გადაადგილდები გაქცევისკენ და ეს ხარ შენ, რომელიც მთელი ცხოვრება კედლებს ანგრევდი. და შენს მეგობარს, ქალაქის ცენტრში, აქვს სახლი ევრორემონტის გარეშე; სახლი ბევრი წიგნით, ბევრი ამბით და ისტორიით; და შენსავით მასაც სჯერა, რომ ერთხელაც გაიქცევა და შეხვდება მას, საკუთარ თავს, სადმე, სადაც ადამიანები საკუთარი თავის გადარჩენას ისწავლიან.

— სანამ ინტერვიუ დაგვიწყია, დაგასწრებ და გეტყვი, რომ ვარ — ანუ ძველებურად, მაშასადამე, არც კარგად, არც ცუდად, მაგრამ ჩვენს დროში, მგონი, ცუდად რომ არ ხარ, ეს უკვე კარგია, და ხანდახან მიხარია კიდეც.

— და რადგან ასე ყოფნაც კარგია, შეგვიძლია ვიყოთ არც ცუდად, არც კარგად; მაშასადამე, სადღაც შუაში? ისე, საშინელება არაა სულ ძველებურად ყოფნა?

— სულ ძველებურად არა, ხანდახან. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბოლო წლებში ისე ხდება, რომ სიახლე ჩვენთან სიამოვნებასთან ასოცირდება. სიამოვნება ძალიან შეცოტავდა სამყაროში. ამიტომაც ვიხუმრე, თორემ სულ ძველებურად ჩვენი მტერი იყოს.

— სხვათა შორის, აღმოვაჩინე, რომ გარკვეულწილად ადამიანების იმ კატეგორიას მივეკუთვნები, ცვლილებების რომ ეშინიათ, ამას ისევ „ძველებურად“ ყოფნა სჯობს.

— როგორი ცვლილებების?

— რადიკალური. ისეთების, როგორიცაა: ბინის გაყიდვა, საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადასვლა, სამსახურიდან წამოსვლა და ასეთები...

— ბინის გაყიდვა ჩემთვის არ იქნება კარგი ცვლილება. რაც თავი მახსოვს, ეს ბინაც მახსოვს და იმ ადამიანებთან ასოცირდება, რომლებიც დღეს უკვე აღარ არიან. მაგრამ, რაც შეეხება სხვა ცვლილებს, ახალ ნაცნობებს, ახალ საქმეებს, ეგ პირიქით, ძალიანაც მომწონს. მოგზაურობაც ხომ ცვლილებაა გარკვეულწილად და წინ ხომ მოგზაურობა გველოდება, თან სათავგადასავლო, თან პოეტური და თანაც ცოტა უცნაური.

(ინტერვიუ ჩაწერილია 2017 წლის ივნისში).

— ჰო, უცნაური, კი. გეტყვი: ცოტა მეშინია კიდეც უცხო ქალაქები, უცხო ადამიანი, რომელთან ერთადაც ხუთი დღე უნდა იბოდიალო ამ ქალაქებში და აუდიტორია, რომელსაც არ იცნობ, არ იცი, გელოდებიან თუ არა. ლვოვში ხომ ვხვდებით?

— აბა, რა. კარგია, ლვოვში რომ ერთ პერიოდში გვიწევს ყოფნა. იქ იმდენი მეგობარი მყავს, არ მოგაწყენ. მიყვარს მგზავრობა. ტერორიზმთან დაკავშირებთ ცოტა სტრესული გახდა ეს ყველაფერი, მაგრამ, მგონი, არ გვემუქრება. თანაც, ადამიანი მოგზაურობის დროს თავის თავს პოულობს ხოლმე.

— ვინ ხარ?

— ალბათ — ადამიანი, ჰომო საპიენსი. მთელი ცხოვრება ამას ფიქრობ და ხვდები, ვისაც ეჩვენება, რომ საკუთარ თავს კარგად იცნობს, ის სინამდვილეში არავის იცნობს. წერედიანის გენიალურ თარგმანს მოვიშველიებ: „ჩემი თავისა არა ვიცი რა...“ ჯერ საკუთარ თავს უნდა ჩაწვდე.

— ჰო, სამყარო უფრო ადვილი შესაცნობია, ვიდრე საკუთარი თავი. ეს საკუთარი თავია ზუსტად, ბოლომდე ამოუხსნელი რომ გვრჩება ხოლმე.

— გვიჭირს შეცდომის აღიარება. შეიძლება გულის სიღრმეში ვიცით, რომ შეგვეშალა, მაგრამ ბოლომდე თავს ვიმართლებთ საკუთარ თავთანაც და სხვებთანაც. ამიტომაც გვიჭირს თავის შეცნობა, შეცდომების გაცნობიერების გვეშინია, აქედან კიდევ გაუცხოვება მოდის.

— იქნებ არც ვიცით, იქნებ ჩვენი პიროვნული სიმართლე უტყუარი მცნება გვგონია?

— ჰოდა, მაგ არცოდნიდან მოდის უჩინარი შიში. თუ იცი, რისი გეშინია — დაძლევ, მაგრამ ეს ისეთი შფოთია, არსაიდან მოსული; ამიტომ გვიჭირს გამკლავება.

— ალბათ ლიტერატურაც ესაა, საკუთარი შიშების გამოვლენის გზა.

— გამოვლენა და ძებნა, კი.

— შეიძლება სულაც ასეა: საკუთარი შიშების გამოვლენის პოეტური გზაა ცხოვრება, ან სულაც, საკუთარი პოეტური შიშების გამოვლენის. მაშასადამე, გამოდის, რომ გარკვეულწილად ეს პოეტური შიშები განგვაპირობებენ, ადამიანურადაც და შემოქმედებითადაც.

— არც შეიძლება სხვანაირად იყოს და ეს მხოლოდ პოეტებს არ გვეხება.

— თუ პროზას გულისხმობ, პროზა კიდევ სხვა ცხოვრებისეული გამოცდილებაა, კიდევ სხვა შიშები და უნარები უნდა ამას. უპირველესად, ნებისყოფა,

სახლი ევრორემონტის გარეშე

რომელიც მე ხშირად არ მყოფნის ხოლმე — ავდგე და ხანგრძლივად რაღაცის კეთების უფლება მივცე თავს, არც ნებისყოფა და არც დრო, თუმცა ბოლო დროს ვეპარები მაინც.

— სხვათა შორის, ფოლკნერი, ხომ იცი, რას ამბობდა? ყველაზე კარგი ნაწარმოები ის გამოდის, რომელიც წინასწარ მოფიქრებული არ არისო. „ხმაური და მძვინვარება“ ჯერ ნოველად ჩაიფიქრა, მერე თვითონ პერსონაჟებმა მიკარნახეს სქელტანიანი რომანიო. რატომ მიყვარს ჰამსუნი ასე ძალიან?.. იმიტომ, რომ პროზის მიღმა ძალიან დიდი პოეზიაა, და სულ მიკვირს, როგორ არ წერდა ეს კაცი ლექსებს. ხანდახან უცაბედობა და სტიქიურობაც უხდება შემოქმედებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, პრობლემებიც ახლავს თან. აი, მაგალითად ასეთი: სქელტანიანი რომანის დაწერას ვფიქრობ, მოფიქრებულიც მაქვს, მაგრამ ვცვლი და ვცვლი და მივხვდი, რომ ეგრეც აღარ შეიძლება, უნდა გავჩერდე და ჩამოვყალიბდე.

— ვითომ რაღაც სქემა მოიფიქრე, ფაბულა შეიკრა და უცებ ყირაზე დგება ყველაფერი, ხომ?

— ზუსტად. ფელინის რვანახევარში რომაა, მთელი ცხოვრება რომ იღებს რაღაცას და ვერ ასრულებს, იმიტომ რომ ყოველდღე ახალი აზრი მოსდის თავში.

— ისე, ქართულ პროზაზე... მაგალითად, ჯავახიშვილზე რას იტყვი?

— ჯავახიშვილი ძალიან მაგარი მწერალია. მე პირადად გაცილებით მირჩევნია, ვიდრე დღეს ასე მოდური ფამუქი.

— ერთი მისი „კურდღელი“ მთელ ფამუქს მირჩევნია.

— ასეა. მთავარი შედევრები კი არ იცის ხალხმა, ჯაყოთი უყურებენ და აფასებენ მხოლოდ. სხვათა შორის, „ყბაჩამ დაიგვიანა“ უთარგმნიათ და ძალიან მიხარია. ეს არის ეგზისტენციალიზმის გაჩენა ქართულ ლიტერატურაში.

— უბრალოდ ჩვენი პროზის ძირითადი პრობლემა ლოკალურობაა. ჩვენ გვყავს კლასიკური გაგებით მაგარი მწერლები, ჩვენ არ გვყოლია სარდაფების ტიპები, ჩვენ არ გვყოლია ჩარჩოებიდან ამოვარდნილები, არ გვყოლია მწერლები, რომლებიც მორალურ, რელიგიურ, ეთნიკურ თემებზე ზევით დადგომას გაბედავდნენ. თემატიკას ვგულისხმობ; ალბათ იდეოლოგიაშია მაინც საქმე. როგორ გინდა მიედარო, მაგრამ, მაგალითად, თომას მანი...

— ჩარჩოები. რა, ჰესეს დონის გვყავდა? დოსტოევსკის? ჩარჩოები სტერილურობაში გადადის ხოლმე.

— დოსტოევსკი, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც აკადემიური მწერალია ჩემთვის.

— მაგრამ დოსტოევსკი გადის ამ ჩარჩოებიდან.

— ჩვენთან ჩარჩოების მონგრევა ხშირად ეპატაჟში გადადის.

— ეგ უკვე ლიტერატურშჩინაა. კარგ ხელობას რომ უყურებ, უკვე კარგია, მაგრამ ჩვენთან, სამწუხაროდ, ხელობამდეც ძალიან შორია ხოლმე, გენიალურ წიაღსვლებზე რომ არაფერი ვთქვათ... რას კითხულობ ეხლა?

— ეკოს „ფუკოს ქანქარას“. აი, რამხელა ავტორია, მისი ტექსტები პოეზიისგან სრულიად დაცლილია, ფაქტობრივად სამეცნიერო ნაშრომებია, თუმცა, ეს ხელს არ უშლის, მძიმეწონიანი ამბები დადოს ჩვენს ცხვირწინ. მათემატიკაც მასწავლა და გეომეტრიაც, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში დიდად არ გამომდიოდა.

— ინტელექტუალური და შემზადებული მკითხველი სჭირდება ეკოს. ხათუნას რა ნერვები ჰქონია — ამის თარგმნა, არ გინდა? ქალებზე ნუღარ იტყვიან — სუსტი სქესისანი არიანო.

— ხათუნას მართლა რკინის ნერვები ჰქონია, თან შესანიშნავი თარგმანია. რაც შეეხება სუსტ სქესს: რა ვიცი, ისე შევითავსე ლურსმნის დაჭედებიდან დაწყებული — ონკანის შეკეთებით დამთავრებული ყველაფერი, რომ უკვე ბუნებრივი მგონია. სისუსტე არის უდიდესი ფუფუნება, რომლის უფლებაც პირადად მე არ მაქვს.

— ან მაშინ ვიღაც ძლიერის საფარქვეშ უნდა იყო.

— ჰო, აი, კედელივით.

— იმდენი მაგალითი გვაქვს ძლიერი ქალების... მე ეგეც დრომორჭმული ამბავი მგონია. ფუფუნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფერს კარგავენ. არადა, „ნოვი გრუზინებმა“, ვინც ასეთი სახლები იყიდეს — ყველამ გადააკეთა. კედლებიც კი მოანგრიეს. სულ მიკვირს — შე დალოცვილო, ამდენი ახლადაშენებული სახლია; რად გინდა, ასეთს რომ ყიდულობ, ცარიელი კედლების შენს გემოზე მოწყობა უფრო იოლი არაა?

— რა ფერია შენთვის თბილისი?

— თბილისი ყოველთვის სიმწვანესთან იყო ჩემთვის ასოცირებული. ახლაც ესეა ქვეცნობიერში — ბაღებში ჩაფლული ქალაქი, მწვანე ბაღების ქალაქი. ასე ვხედავ, ან ძალიან მინდა, ვხედავდე. ადრე, ბავშვობაში, ყველაფერზე ვკითხულობდი, რა ფერია-მეთქი. ერთხელ ახსენეს „კაგებეს“ უფროსი, ინაური, და მეც, რა თქმა უნდა, ვიკითხე, ინაური რა ფერია-მეთქი... მაგალითად, შენ ფერადი ხარ, ყველა კარგი და ლამაზი ადამიანი ფერადია, ერთ ფერში ვერ ჩასვამ. ფერადი, ოღონდ არა ჭრელი. პოეზიის ფერი რომ ასაკთან ერთად იცვლება, არ შეგინიშნავს?

— მეც მგონია, რომ ადამიანები ფერებივით არიან. მაგალითად, ვარდისფერი ჩემთვის ზედმეტად ფუქსავატი ფერია, არადამაჯერებელი — ასეთი ადამიანები ყალბები მგონია. ლურჯი ალბათ უფრო მყარი ფერია, ვიდრე, დავუშვათ, რომელიმე ღია ტონი და ასე, დაუსრულებლად. სხვათა შორის, ჩემი წინა წიგნები ერთმანეთის მიყოლებით დაიბადნენ. ახლა გავჩერდი, მეტს ვფიქრობ. ალბათ ენერგიაც უფრო დამჯდარია. ადამიანი იცვლები და იცვლება შენი ტექსტიც.

— მეც ასე ვარ. წიგნზე ვფიქრობ, მაგრამ არ ვჩქარობ. წლებთან ერთად თამასა მაღლა იწევს. უფრო მომთხოვნი ხარ საკუთარი თავის მიმართ. რასაც შემოქმედებითად ოცი წლის წინ იხულიგნებდი, ის დღეს აღარ გეპატიება. თუმცა, აქაც წონასწორობა უნდა შეინარჩუნო, ზომიერი სითავხედე, რომ არ დაითრგუნო. ტვინი და ანალიზი მატულობს და გრძნობა უფრო უკან დგება.

— მიდიხარ აზროვნების სიღრმეებისკენ, უკვე თამაში აღარ გინდა, უკვე სერიოზულად ეძებ პასუხებს და ამ პასუხებში საკუთარ თავსაც. ზოგადადაც, ბევრი რამ იცვლება... ისიც კი ვისწავლე — აღარ ვკამათობ. ადრე თუ შუბლით გამქონდა სიმართლე, შევდიოდი პოლემიკაში, ახლა აღარ... შემიძლია ჩუმად ვუსმინო და ჩუმად არ დავეთანხმო. მივხვდი, კამათი ყველაზე უსარგებლო და არაფრისმომცემი რამაა.

— ვერაფერს შეაგნებინებ და, აწყენინებ. ასე მთავრდება ხოლმე. წყენა კი ცუდი რამაა, ისევე, როგორც მოწყენა.

— მე ხშირად ვიწყენ. განა რამე მტკივა ან მაწუხებს, უბრალოდ, მოწყენილი ვარ, სეზონებისა და ამინდების მიუხედავად. ერთი ნაბიჯია ნიჰილიზმამდე...

— რაღაც მობეზრების და მოყირჭების ერთიანობაა. ამიტომ ამას უნდა გაექცე. საუკეთესო გამოსავალი მუშაობაა. იმიტომ, რომ ის მუხტი, რაც ახალგაზრდობაში გვქონდა, აღარაა, თუმცა თავი უნდა ვაიძულოთ.

— ცხოვრებაც ჩვევაში რომ გადავიდეს? არც კი ვიცი, მინდა ეს თუ არა. ისე, ხარ ჩვევების ადამიანი? ზოგს საერთოდ არ გააჩნია ჩვევა, ცხოვრობს მარტივად და არის.

— ვარ — ცუდი ჩვევებისაც და კარგებისაც. ეგეთები არასანდო ხალხია ჩემთვის — მარტივად გატკენენ, დაგტოვებენ. მაგრამ ხომ შეიძლება ადამიანის ცხოვრებაში ისეთი რამ მოხდეს, ბევრ რამეზე დაფიქრდეს. მარტივად ცხოვრებასაც მინუსები აქვს, ცოტა ტვინი თუ გაანძრიე, მიხვდები, იმდენმა რამემ ჩაიარა ამ სიმარტივეში, ამასობაში ცხოვრებას აცდი.

— პირობითი ბედნიერება სადღაც მაინც არსებობს. სხვადასხვა პრიორიტეტები გვაქვს ადამიანებს უბრალოდ. ის, რასაც ჩვენ ბედნიერებას ვეძახით, შეიძლება მათთვის უმარტივესი, სასაცილო რამ აღმოჩნდეს.

— ჩემთვის ბედნიერება არის ის, როცა ირგვლივ, ვინც მიყვარს, ყველა კარგადაა. თითქოს ხომ ბანალური და მარტივია, მაგრამ რომ დავფიქრდეთ, რამდენი დღე გვახსოვს ასეთი? უტოპიაა, თუმცა სრული ბედნიერება ეს იქნებოდა.

— ხანდახან მგონია, რომ ზედმეტს ვიღებთ საკუთარ თავზე — ზედმეტ პასუხისმგებლობებს, ზედმეტ სხვების ცხოვრებას. ისეთ დროს ვეხმარებით, როცა შეიძლება სულაც არა ვართ საჭირო; ისეთ დროს გვიყვარს, როცა ჩვენგან გარბიან.

— ხშირად რაღაც ისეთში ვერევით, რაც არ გვეკითხება. თითქოს სხვისთვის აკეთებ და, რომ დაფიქრდე, საკუთარი ეგოს დასაკმაყოფილებადაა ეს ყველაფერი. არადა, ასე რომ არ მოიქცე, შეიძლება მერე ინანო და საკუთარ თავს ვერ აპატიო. ეგ ხომ უარესია. რეცეპტებს ხშირად ჩვენ გამოვწერთ ხოლმე და ძალიან არასწორს.

— არსებობს რეცეპტები?

— არანაირი.

— და რადგან შეგვიძლია ვიყოთ არც ცუდად, არც კარგად, მაშასადამე, შეგვიძლია ვიყოთ და არც; ან სულაც, შევადგინოთ რეცეპტები, რომლებიც არავის დასჭირდება.

— ეგ კიდევ უფრო უარესია...

— ან წარმოიდგინე, სულ რომ ვიყოთ, მარადიულ ახალგაზრდობაში რომ დავრჩეთ.

— ახლა შენ წარმოიდგინე, როგორ გადაივსება სამყარო, და თან მოგვიწევს, სულ ერთსა და იმავე ადამიანებს ვუყურეთ.

— რატომ? სხვებიც ხომ დაიბადებიან.

— მერე ნახე ჯოჯოხეთი შენ.

— ისევ ჩვენს ცხოვრებაში სჯობს — ნამდვილ ცხოვრებაში ევრორემონტის გარეშე.

ესაუბრა კატო ჯავახიშვილი



ნანა ეხვაია

* * *

მზე ჭაღივით აფრქვევს
სხივებს,
თქეშისა და დელგმის
შემდეგ,
სულს მოსწყურდა
სიმშვიდე და
მზის სხივების ჰამაკში
წევს.

* * *

თითქოს აღვირი ამოსდესო,
გარინდებულან ირგვლივ ხეები;
თაკარა მზეზე იხრუკება
მინდვრად ბალახი
და უარზეა მზერა დაღლილი.

* * *

გარინდებულა ირემი, რომელიც
მონადირის მოახლოებას გრძნობს;
გავარდება თოფი და
უნუგეშოდ მოიწყენენ
ირგვლივ ხეები.

* * *

ალღომ არ უმტყუნა —
ნაბული აიღო
მონადირე ძაღლმა...
ჩვენც ასე გვმართებს
წუთისოფელში
სულის გამოწვრთნა
და სწორი გეზის
ამორჩევა,
საიქიოში გასამგზავრებლად.

დედულეთი აფხაზეთშია

იქაური ხის ფოთლებიც მიყვარს
და ვტკბებოდი მისით,
სანამ მომისჯიდნენ
მის გარეშე ყოფნას.

* * *

ზამთრის სასახლეს
გამოცდა სული
და გაზაფხულის
ქვევრში ჩაეშვა;
სულო ჩემო,
სულო ჩემო,
ზურგის ქარი
მისურვებია.

* * *

ღამე ჩემი საიმედო
მოკავშირეა ფიქრისთვის,
როცა დღის ბოლოს
მზე განკუთვნილი
დროით ჩაესვენება,
ვიდრე ხელახლა გამოჩენამდე.

* * *

გაზაფხულდაო, კივის
აფეთქებული
ყვავილი კივის.

* * *

ლოცვა ცოცხალი ურთიერთობაა
ღ მ ე რ თ თ ა ნ
და თუკი ამას შეძლებ,
ღმერთიც გადმოდგამს
ნაბიჯს შენსკენ.

* * *

შევიმალები
ჩემს შინაგან უდაბნოში;
მოვიკრებ ძალებს,
თვალი გავუსწორო
წუთისოფლის ამაოებას
და ცხოვრების
მღვრიე მდინარიდან,
ქრისტეს მეშვეობით,
შევეცდები
განბანილმა ამოვაღწიო.

* * *

ნაყროვანად მყოფისთვის
არც მუსიკა აღიქმება
სასიამოვნო ჰანგებად
და არც პოეზია
სულის ძახილად —
ჰოდა, ადექი სუფრიდან
ზომიერად დანაყრებული.

* * *

ყველა ხილი
ერთდროულად არ მწიფდება —
ზოგი ადრე,
ზოგი გვიან მწიფს;
ასე იყო სამოთხეშიც —
ადამი და ევა ცდუნდნენ,
როცა ჭამეს ნაადრევად
ხეცნობადის ხიდან.

ამინდი

ისეთი შოლტი
მოიქნია ზამთარმა,
რომ გაზაფხული
გამოვტოვეთ
წაუკითხავი გაკვეთილივით.

* * *

სულში ცვალებადი
მოღრუბლულობაა,
ალაგ-ალაგ წვიმს,
უბერავს ძლიერი ქარი,
მელანქოლიამ შემიპყრო —
სანამ მომერევა,
ფიქრებთან უნდა
დავდო ზავი.

* * *

მდუმარების ხეივანი
უნდა გამოიარო,
სანამ რამეს იფიქრებ და
სანამ რამეს იტყოდე,
მითუმეტეს — სანამ რამეს
იზამდე.

* * *

სულში წვიმს,
გულში ქარია,
ეს ჩემი მელანქოლია
წუთისოფელის
ბრალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომას ერნესტ ჰიუიმი დაიბადა 1883 წლის 16 სექტემბერს. დაიღუპა პირველი მსოფლიო ომის დროს, ფლანდრიაში — ყუმბარა მოხვდა სამხედრო გემზე. დასაფლავებულია კოქსიდში, ბელგიაში, სამხედრო სასაფლაოზე. მისი საფლავის ქვაზე აწერია: „ერთ-ერთი ომის პოეტთაგან“.

შეძლებულ ოჯახში დაიბადა და აღიზარდა, გრეტონ ჰოლში, სტაფორდშირში. ჯერ ადგილობრივ დაწყებით სკოლაში სწავლობდა, შემდეგ ნიუკასლ ანდერ ლაიმის სკოლაში. თავიდან მეცნიერება და მათემატიკა იტაცებდა.

1902 წლიდან კემბრიჯის სენტ ჯონის სკოლაში სწავლობდა, სადაც ყველას აოცებდა აქტიურობით მსჯელობისა და კამათისას. იყო კარგი სპორტსმენი და პირველი შფოთის ამტეხთა შორის. მათემატიკას მალე მიანება თავი და ფილოსოფიითა და მხატვრობით დაინტერესდა; დააარსა ეგრეთ წოდებული „განხეთქილების კლუბი“; მალე ჩხუბისთავობისა და დებოშისათვის, ნავებით შეჯიბრების დროს, უნივერსიტეტიდან გარიცხეს.

ცოტა ხანს ლონდონში სწავლობდა, შემდეგ კანადაში გაემგზავრა და, როგორც თვითონ ამბობს, იქ გაუჩნდა ლექსის წერის სურვილი. ევროპაში დაბრუნების შემდეგ ბრიუსელში სწავლობდა ფრანგულ ენას და იქ გაეცნო ანრი ბერგსონის ფილოსოფიასაც.

1912 წელს დაუბრუნდა კემბრიჯის უნივერსიტეტს, მაგრამ კვლავ სკანდალში გაეხვა, თავი მიანება და გერმანიაში გაემგზავრა ესთეტიკის შესასწავლად.

ომის დაწყებისთანავე შეუერთდა ბრიტანეთის არმიას და რიგით ჯარისკაცად გაემგზავრა საფრანგეთისაკენ. 1915 წელს დაიჭრა და შინ დააბრუნეს, მაგრამ გამოჯანმრთელებისთანავე ბრიტანეთის ფლოტში ჩაეწერა. მისი გემი ბელგიის სანაპიროებს იცავდა და სწორედ იქ დაიღუპა ბრძოლის დროს.

ჰიუიმმა უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო ლიტერატურაზე XX საუკუნის პირველ წლებში. ეზრა პაუნდი და ტომას სტერნზ ელიოტი აღნიშნავდნენ მის განსაკუთრებულ ღვაწლს მოდერნიზმის განვითარებაში. ჰიუიმი აგულიანებდა იმიჯისტების, ფუტურისტთა და ვორტიცისტების დაჯუფებებს თავისი ლექციებით, წერილებითა და პოლემიკით.

ჩვენი დროის ბევრ გასაჭირს ავირიდებდით ამ კაცის აქ ყოფნით, მისი პიროვნებისა და სიბრძნის წყალობითო, უთქვამს რასელ კერკს.

ტომას ელიოტიც უკვე 20-იან წლებში მოისაკლისებდა ამ პოეტსა და ესთეტიკოსს და წერდა: „ჰიუიმი რომ დაიღუპა ფლანდრიაში... ადამიანები მას იცნობდნენ, როგორც ბრწყინვალე მოსაუბრეს, მეტაფიზიკის მცოდნესა და ორიოდე მშვენიერი ლექსის ავტორს. ამ წიგნში კი (სიკვდილის შემდეგ გამოცემული განაზრებანი, ჰერბერტ რიდის რედაქტორობით) გვევლინება წინამორბედად ახალი აზროვნებისა, რაც XX საუკუნის აზროვნება უნდა ყოფილიყო, თუკი XX საუკუნეს თავისი საკუთარი აზროვნება ექნება... იგი გახლდათ კლასიკოსი, რეაქციონერი, რევოლუციონერი, ანტიპოდი გასული საუკუნის ეკლექტური, ტოლერანტული, დემოკრატიული აზროვნებისა... ახალი კლასიკური ეპოქა მაშინ დადგება, როცა დოგმა... კრიტიკოსისა გარდაიქმნება შემოქმედებით წერასთან ურთიერთობის შედეგად და როცა შემოქმედებითი მწერლები ისე განიმსჭვალებიან ახალი დოგმით, რომ წონასწორობას მიაღწევენ. რადგან კლასიკური წამი ლიტერატურაში მართლაც რომ უძრაობის წამია, როცა შემოქმედებითი იმპულსი იპოვის ფორმას, რაც აკმაყოფილებს საუკუნის საუკეთესო გონს, წამია, როცა ნიმუში ჩნდება“.

იმის შესაცნობად, თუ როგორ შეიძლება ადამიანი ერთდროულად იყოს რეაქციონერიც და რევოლუციონერიც, აუცილებელია, გავთავისუფლდეთ „რეაქციონერის“ საბჭოური გაგებისაგან და ვიცოდეთ, რომ ეს სიტყვა გულისხმობს არა რაღაც ჩამორჩენილსა და ძველს მობღაუჭებულს, არამედ მძაფრ გამოხმაურებას მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ სახელოვნებო-საგანმანათლებლო მოვლენებზე.

მხოლოდ გენიოსებს შეუძლიათ აღიარონ წინამორბედები და ტომას ელიოტიც გულწრფელად სწერდა ალენ ტეიტს — ჰიუიმმა ჩემზე უდიდესი გავლენა მოახდინაო.

მთარგმნელები



ტომას ერნესტ ჰიუიმი

ლექცია მოდერნისტულ პოეზიაზე

მინდა დავიწყო განცხადებით, თუ როგორ გამეგება ლექსი. ასე იმიტომ ვიქცევი, რომ წინასწარვე განვჭვრეტ კრიტიკას. ვისაუბრებ ლექსზე გარკვეულ, საკმაოდ დაბალ დონეზე და, ვფიქრობ, კრიტიკაც ამ დონეზე უნდა ჩამოქვეითდეს. ჩემი თვალსაზრისით, ლექსი მარტივი და კერძო გამოხატვის საშუალებაა. შემოგთავაზებთ ნიმუშს ჩემგან სრულიად განსხვავებული პოზიციისა. წინა კვირის „სეტერდეი რივიუში“ მიმომხილველი საუბრობს პოეზიაზე, როგორც საშუალებაზე, რათა სულმა ილივლივოს მაღალ სივრცეებში, და საშუალებაზე იმის გამოსახატავად, რითაც უერთდები უფრო მაღალი რანგის რეალობას. აი, სწორედ ამგვარი რამ მძაგს უკიდურესად. მინდა ვისაუბრო ლექსზე უბრალოდ, როგორც ღორებზე ვილაპარაკებდი: ესაა ერთადერთი პატიოსანი გზა. წინა კვირას თავმჯდომარემ[1] გვითხრა, პოეზია რელიგიას ენათესავებაო. მსგავსიც არაფერია. პოეზია ისეთივე საშუალებაა გამოხატვისა, როგორც პროზა, და თუ მისი ცნობა არ შეგიძლიათ, ამ თვალსაზრით, არც კი ღირს, რომ გადარჩეს.

ყოველთვის ეჭვით ვუყურებ, როცა სიტყვა „სულს“ შემოიტანენ ხოლმე მსჯელობაში. იმ ხერხს მახსენებს, შუა საუკუნეთა მეცნიერნი რომ საუბრობდნენ ღმერთზე. როცა რამის მიზეზში ვერ გაერკვეოდნენ, იტყოდნენ, ღმერთმა ჰქმნაო. თუ ამ სიტყვას ვახსენებ ან უზენაეს რეალობაზე ვისაუბრებ, მიხვდებით, რომ არაფერი გამეგება ნამდვილი მიზეზისა და ვცდილობ, თვალში ნაცარი შეგაყაროთ. უამრავი ფოკუს-მოკუსი დაიძებნება პოეზიაზე მსჯელობისას. კრიტიკოსები ისე ცდილობენ, ახსნან ტექნიკის იდუმალი ლაბირინთები და დუდუნი უსაზღვროებისა და ადამიანის გულისა, მსოფლიოს რომ ესაუბრება, თითქოს დაპატენტებულ წამალს ჰყიდდნენ ბაზარზე.

ამის გასააზრებლად ორი გზა მოგვეპოვება. პირველი სიძნელეა — რომ უნდა გადალახო, და მეორე კი იარაღი — რომ უნდა გამოიყენო. პირველ შემთხვევაში პოეტებს ვუყურებთ როგორც პიანისტებს და ვახსენებთ როგორც ლექსის ოსტატებს. მეორე გზა კი პოეზიას გაიაზრებს იარაღად, რომელიც განსაზღვრული მიზნისათვის, ჩვენი თავის გამოსახატად გვჭირდება. ერთი ყოველდღიური გაზეთი „სირინოზთა კლუბს“ გვადარებს, მაგრამ ამასთან რა ხელი გვაქვს. თანამედროვე ადამიანთა ჯგუფი ვართ და ლექსი ჩვენი თავის გამოსახატად გვესაჭიროება. მე არ გამაჩნია კათოლიკური გემოვნება, პირიქით, მძაფრად პიროვნული და წინასწარწმენით სავსე გახლავართ. პატივს არ მივაგებ ტრადიციას. ლექსის საგანთან უფრო შიგნიდან მივდივარ, ვიდრე გარედან. იყო გარკვეული შთაბეჭდილებანი, რომელთა გამოხატვაც მსურდა. ლექსებს ვკითხულობდი, რომ ნიმუში მეპოვნა, მაგრამ ვერ მივაგენი ზუსტად შესაფერისს ჩემგვარ შთაბეჭდილებათა გამოსახატად, გარდა, ალბათ, ჰენლის ორიოდე ჯაგლაგი რიტმისა, მანამდე, სანამ წავიკითხავდი ფრანგულ ვერლიბრს, რაც საგანს ზუსტად მორგებული აღმოჩნდა.

ასე რომ, არა მსურს არცერთი ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც სხვა დონეზე ისაუბრებს. არა მსურს მომკლან კეტითა და მითითებებით დანტესა, მილტონსა და სხვა დანარჩენებზე.

პრინციპი, რასაც ამ წერილში ვეყრდნობი, ისაა, რომ ნებისმიერ ეპოქაში არსებობს ახლო კავშირი სალექსო ფორმასა და პოეზიის ყოფას შორის. აკადემიური კრიტიკოსები გვთავაზობენ ათასნაირ მიზეზს პოეზიის გაფურჩქვნისა ნებისმიერ ეპოქაში. მაგრამ ჭეშმარიტ მიზეზს იშვიათად გვაწვდიან. ეს გახლავთ გამოგონება ან შემოტანა ახალი სალექსო ფორმისა. მურისა[2] არ იყოს, ხელოვანისათვის ახალი ფორმის გაცნობა იგივეა, რაც ახალი კაბა გოგონასათვის; მას სურს თავი ახალ კაბაში იხილოს. ახალი სათამაშო ნებავს. იხილეთ პოეტური შემოქმედების ამოფრქვევა ელიზაბეთის დროს, ამერიკის აღმოჩენას რომ ეძღვნება. ამერიკის აღმოჩენას მაშინ ისეთივე გავლენის მოხდენა შეეძლო კარის პოეტებზე, როგორსაც ახალი ასტეროიდის აღმოჩენა მოახდენდა სუინბერნის შემოქმედებაზე. ნამდვილი მიზეზი კი, ჩემი აზრით, ის გახლდათ, რომ პირველი შესაძლებლობა გაჩნდა ლექსის თხზვაში ვარჯიშისა იტალიიდან და საფრანგეთიდან შემოსული ათასნაირი ფორმითა და საზომით.

უნდა ვაღიაროთ, რომ სალექსო ფორმები, ქცევებისა და ინდივიდებისა არ იყოს, ვითარდებიან და კვდებიან. საწყისი თავისუფლებიდან გადადიან დაქვეითებასა და, ბოლოს, ვირტუოზობაში. ისინი მანამდე ჰქრებიან, სანამ ახალი ადამიანი დაიტვირთებოდეს უფრო რთული და ძნელი აზრებით, ვიდრე ძველი სტილით შეიძლება გამოხატვა. ხანგრძლივი გამოყენების შემდგომ მათი საწყისი გავლენა იკარგება. ინსტრუმენტზე დაკრულია ყველა შესაძლო მელოდია. რაღა უნდა შეძლოს ამ საქმეში ახალმა კაცმა, რითი მიიპყროს ყურადღება? სხვა ვითარება იქნებოდა, თუკი პოეზია, სახიობასა თუ ცეკვასავით, ერთი ისეთი ხელოვნებათაგანი იქნებოდა, რომლის ჩანაწერიც არ ინახება და რომლის განმეორებაც შესაძლებელი იქნებოდა ყველა თაობაში. მსახიობი პოეტივით არ ეჯიბრება გარდაცვლილთ. მე პირადად, მერჩივნა, სრულიად განადგურებულიყო ყველა, ოც წელზე უხნესი ლექსი. მაგრამ ეს ნატვრა, ვშიშობ, ამიხდეს, ვიდრე პლატონის სურვილი აღსრულდებოდეს და მდარე პოეტი დიქტატორად მოგვევლინებოდეს. ამავდროულად აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ რაკიღა პოეზია უკვდავია, განსხვავებულიცაა იმ ხელოვნებათაგან, რომელნიც მეორდებიან. მსურს ყურადღება გავამახვილო ამ თვალსაზრისზე — ეს მხოლოდ ის ხელოვნებანია, რომელთა გამომსახველობაც მეორდება ყოველ თაობაში და უცვლელი ტექნიკა აქვს. ის ხელოვნებანი კი, პოეზიის მსგავსად, რომელთა საგანიც უკვდავია, ვალდებულნი არიან მიაგნონ, ახალ ტექნიკას თვითეულ თაობაში. თვითეულ საუკუნეს უნდა ჰქონდეს საკუთარი განსაკუთრებული ფორმა გამოსახვისა, და ნებისმიერი ეპოქა, რომელიც ნებაყოფ

ლობით აირიდებს ამას, პირმოთნე იქნება.

გვიანდელი ეტაპები ხელოვნების ფორმათა დაქვეითებისა ძალზე საგულისხმოა და ღირს შესწავლად, რადგან გამორჩევით ეხმაურება დღევანდელი პოეზიის მდგომარეობას. ეს ეტაპები ჰგვანან ბოლოდროინდელ ეტაპებს რელიგიის დაქვეითებისა, როს სული გარდასულა და დარჩენილა უაზრო გაღმერთება ფორმალობათა და რიტუალთა. ჩონჩხი მკვდარია და ბუზები დაჰხვევიან. მიმბაძველი პოეზია შემოხვევია ვით სარეველა და ქალები მოთქვამენ და კვნესიან შენსა და ჩემს გამო, ეჰ, და ვარდები ყველგან ვარდებია. პოეზია გრძნობათა გამოხატვად ქცეულა და არა ვაჟკაცურ ფიქრებად.

მწერლები, რომელთაც ძალუძთ ძველი იარაღი მოიმარჯვონ ძველ ოსტატთა დარად, უარს ამბობენ, შეუფერებლად მიაჩნიათ. მათ იციან, რომ ძველ წესებს მთლიანად ემპირიული ბუნება აქვთ და უარობენ ბორკილებს.

სწორედ ასეთ ეპოქებში იქმნება ახალი ფორმა ხელოვნებაში; ელიზაბეთური დრამატული პოეზიის დაქვეითების შემდგომ შემოვიდა გმირული კუპლეტი, მის დაქვეითებას მოჰყვა ახალი ლირიკული პოეზია, რაც დღემდე გაგრძელდა. საგულისხმოა აღვნიშნოთ, რომ ეს ცვლილებანი არ მომხდარა ბუნებრივი პროგრესის გზით, რასაც ვერ აცნობიერებს თვითონ ხელოვანი. ახალი ფორმები გააზრებულად შემოაქვთ ადამიანებს, რომელთაც აღარ მოსწონთ ძველი. თანამედროვე ლირიკული ლექსი უორდსუორთმა გაგვაცნო ისე, რომ არ დაუჟინია, ბუნებრივი პროგრესიაო; განაცხადა, ახლებურად დალაგებული ფორმა და ახალი მეთოდიაო.

უშუალო მაგალითი, რაც ყველაზე მეტად ეხმიანება იმას, რისი თქმაც მსურს, პარნასელთა სკოლაა 1885 წლისა. რაც დაიწყო როგორც რეაქცია რომანტიზმის წინააღმდეგ და თვითონაც მალე დაქვეითდა; მათი მთავარი პრინციპი, უკიდურესი სრულყოფილება რითმისა და ფორმისა, ჰარმონიულად ეხამებოდა იმჟამინდელ ნატურალისტურ სკოლას. ეს იყო ლექსის ლოგიკური ფორმა, განსხვავებული სიმბოლურისაგან. მასში განთქმული სახელები შედიოდნენ: ლილი, პრუდომი და სხვანი, მაგრამ ძალზე ნაყოფიერნი არ ყოფილან; არ შეუქმნიათ რაიმე დიდად მნიშვნელოვანი; ჩაიკეტნენ ერთი და იმავე სონეტის ხანგამოშვებით განმეორებაში, მათი მოწაფენი კი უნაყოფო უძლურებას გადაჰყვნენ.

ყურადღება მიაქციეთ, ეს არ ყოფილა რაღაც უიღბლო ფათერაკი, რაც შემთხვევით გადახდა თავს პოეტთა ერთ ჯგუფს. ეს ამბავი პარნასელი პოეტებისა გვიჩვენებს ფრანგული პოეზიის ერთი კონკრეტული ფორმის დაბადებას და ბრწყინვალე ნაყოფიერებას ახალი ფორმისა, ლექსის ამ ახალი ფორმის შემოტანას 1880 წელს თან მოჰყვა პოეტთა ჯგუფი, რომელსაც ალბათ ვერასდროს ვერავინ შეედრება ფრანგული პოეზიის ისტორიაში. ცნობილია, რომ ახალი ტექნიკა გუსტავ კანმა[3] შემოიტანა. იგი უარყოფდა მარცვალთა განსაზღვრულ რაოდენობას, როგორც

ლექსთწყობის საფუძველს. სტრიქონთა ზომა გრძელიცაა და მოკლეც და იმ ხატებზე დამოკიდებული, პოეტი რომ იყენებს; მიჰყვება ფიქრის კონტურებს და თავისუფალი უფროა, ვიდრე მოწესრიგებული; უხეში ანალოგია რომ მოვიმარჯვოთ, შეკვეთილი სამოსი უფროა, ვიდრე მზა. ძალზე თავხედური განცხადება კია, მაგრამ აქ ფრანგულზე მეტად ინგლისური პოეზია მადარდებს. ლექსი, რომელსაც ვესარჩლები, **ვერლიბრი** არაა; მაგრამ ფრანგული მეხმარება, როგორც არაჩვეულებრივი ნაყოფი პოეზიის სფეროში ლექსის გათავისუფლებისა. ანტიკურ ეპოქაში სრულყოფილად იცოდნენ, რომ სოფელი წარმავალია და ცვალებადი; არსებობდა ბერძნული თეორია, ამქვეყნად რომ ყველაფერი მიედინებოდა. მაგრამ რამდენადაც ეს იცოდნენ, იმდენად ეშინოდათ და ცდილობდნენ თავი დაეღწიათ მარადიულ საგანთა აგებით, საგნებისა, რომელნიც მყარად იდგებოდნენ იმ უნივერსალურ დინებაში, მათ რომ აკრთობდათ. სნეულნი იყვნენ და უკვდავებას ესწრაფოდნენ. ისეთ საგანთა აგება სურდათ, ცხადად რომ დაიქადიდა, ადამიანი უკვდავიაო. ეს ათასობით განსხვავებულ ფორმაში მოჩანს. მატერიალურად — პირამიდებში, სულიერად — რელიგიურ დოგმებსა და პლატონის წარმოსახვით იდეებში. დინამიკურ მსოფლიოში მცხოვრებთ სურდათ შეექმნათ უძრავი სიმყარე, სად სული განისვენებდა.

ასე წარმომიდგენია მრავალი ძველი იდეის განმარტება პოეზიის შესახებ. მათ სურდათ ხორცი შეესხათ აზროვნების სრულყოფილებისათვის რამდენიმე სტრიქონში. ათას ერთი გზიდან, რომლის მეოხებითაც აზროვნება უხეშად გადაეცემოდა მსმენელს, იყო ერთი სრულყოფილი გზა, რომელსაც შეეძლო ხორცი შეესხა და მარადისობისათვის ებოძებინა ეს აზროვნება, აქედან მომდინარეობს ლექსის ფორმის განსაზღვრულობაც და დადგენილი საზომის დახვეწილი წესებიც. უკვდავი რამ უნდა ყოფილიყო, და უსაზღვრო ტანჯვის გადატანა აზროვნების ჩასასმელად დადგენილ ხელოვნურ ფორმაში აუცილებელი და გასაგები გახლდათ. თვით ბერძნული სახელი ποίημα[4] თითქოს მიანიშნებდეს საგანს, რომელიც ერთხელ და სამუდამოდაა შექმნილი. მათ სწამდათ აბსოლუტური მოვალეობა, ისევე როგორც აბსოლუტური სიმართლე სწამდათ. ამიტომ მრავალი რამ შეიტანეს ლექსში ისეთი, როგორიცაა ისტორია და ფილოსოფია, რაც ახლა აღარ გვეჭაშნიკება. ფრანგი ფილოსოფოსის, ჟან მარი გაიას[5] თქმისა არ იყოს, უძველეს დროთა დიადი პოემები მოგვაგონებენ სამარადისოდ აგებულ პირამიდებს, სადაც ხალხს უყვარდა თავისი ისტორიის ამოკვეთა სიმბოლური ნიშნებით. მათ სწამდათ, რომ შეძლებდნენ იდეის შეთავსებას სიტყვებთან, რასაც ვერაფერი დაანგრევდა.

ამჟამად თანამედროვე სულის მთელი მიმართულება დაშორებულია ამ რწმენას. აღარ გვწამს სრულყოფილებისა აღარც ლექსსა და აღარც აზროვნებაში. აშკარად ვაღიარებთ ფარდობითს. აღარ ვესწრაფით მივაღწიოთ უაღრესად სრულყოფილ ფორმას პოეზიაში. ნაცვლად ამისა, საერთო შედეგისაკენ მივდივართ წუთიერი სრულყოფილებით ფრაზისა და სიტყვისა; ამას, რა თქმა უნდა, მოაქვს უკუგდება საზომისა და მარცვალთა რაოდენობისა, როგორც სიტყვის სრულყოფილების ელემენტისა. იმაზე კი აღარ ვზრუნავთ, სტროფები ძვირფასი თვლებივით რომ იყოს დაწახნაგებული და გაპრიალებული, არამედ — გადმოვცეთ რაღაც ბუნდოვანი განწყობილება. ყოველ ხელოვნებაში ვესწრაფით მივაღწიოთ უკიდურეს გამოხატვას კერძოსი და პიროვნულისა და არა აბსოლუტური მშვენიერებისა.

ცხადია, კრიტიკამ უნდა შეაფასოს თუ რაა ეს ახალი სული, რომელიც ვერ ახერხებს გამოხატოს თავი ძველი საზომით. ნუთუ ის საგნები, რომელთა შესახებაც პოეტს ახლა სურს საუბარი, რამით განსხვავდებიან იმ საგანთაგან, რაზეც ძველი პოეტები საუბრობდნენ? მჯერა, რომ ასეა. ძველი პოეზია არსებითად დიდ საგნებს ეხებოდა, ეპიკურ მოვლენათა გამოხატვას ბუნებრივად მივყავართ სტრუქტურულ საკითხამდე და ჩვეულებრივ ლექსამდე. მოქმედება საუკეთესოდ გადმოიცემა ჩვეულებრივ ლექსში, მაგალითად, ბალადაში.

თანამედროვე ლექსი სრულიად საპირისპიროა ამისა; ის აღარ ეხება ჰეროიკულ ქმედებას, საბოლოოდ და მკვეთრად ინტროსპექტული გახდა და, პოეტის გონებასთან შეკავშირებული, წამიერ გაელვებას გადმოსცემს. გილბერტ კით ჩესტერტონმა[6] მოხდენილად შენიშნა ამის გამო: ძველები ტროას ალყაზე წერდნენ, ახლები კი მოთევზავე ბიჭის განცდების გადმოცემას ცდილობენო. აზრი, ხშირად რომ გაიგონებთ, გამოჩნდება ახალი პოეტი, ვინც შეაერთებს მთელ თანამედროვე მოძრაობას დიად ეპოსშიო, გვიჩვენებს, რომ არა გაეგებათ რა თანამედროვე ლექსის მიდრეკილებისა. მსგავს ცვლილებას ვხედავთ მხატვრობაშიც, სადაც ძველი ცდილობდა მოეთხრო ამბავი, თანამედროვე კი ცდილობს მოიხელთოს შთაბეჭდილება. კვლავ აღვიქვამთ საგანთა იდუმალებას, მაგრამ აღვიქვამთ სრულიად განსხვავებულად — მოქმედების ფორმით კი აღარ, არამედ შთაბეჭდილებად; მაგალითისათვის ვნახოთ ვისტლერის[7] ნახატები. ჩვენი დროის სულს ვერ გავექცევით. ის, რამაც გამოხატულება ჰპოვა მხატვრობაში, როგორც იმპრესიონიზმმა, მალე გამოიხატება პოეზიაში, როგორც თავისუფალი ლექსი. ლონდონის ქუჩების ჭვრეტამ შუაღამისას, მის ნათურათა გრძელი რიგების აღქმამ წარმოშვა ლექსად გადმოცემის მცდელობანი, ომს კი

არაფერი მოუცია აღნიშვნის ღირსი, რადგან მრ. ვატსონი[8] პოლიტიკური ორატორი უფროა, ვიდრე პოეტი. ჩემზე რა გითხრათ, პირველად მაშინ ვიგრძენი ლექსის მოთხოვნილება, როცა სურვილი გამიჩნდა გადმომეცა ის უცნაური განცდა, დასავლეთ კანადის უმანკო ველებისა და ვრცელ ჰორიზონტთა ხილვამ რომ აღმიძრა.

ხედავთ, რომ ეს არსებითად განსხვავდება იმ ლირიკული ბიძგისაგან, რამაც ერთხელ და სამუდამოდ მიაღწია სასრულობას ტენისონთან, შელისა და კიტსთან. პოეტური სულის თანამედროვე კონცეფციის, საგანთა აღქმის სასინჯი და ნაწილობრივ მორცხვი ხერხის ჩასმა ჩვეულებრივ საზომში იმას ემგვანება, ბავშვი აბჯრით რომ აღჭურვო.

ვთქვათ, პოეტი აღძრა რომელიღაცა პეიზაჟმა, იგი ირჩევს იმ ცალკეული ხატთაგან, რომელნიც გვერდი-გვერდ განლაგებულან განცალკევებულ ხაზებად და სთავაზობენ და იწვევენ მასში იმას, რასაც გრძნობს. გამოკვეთილ ხატთა სხვადასხვა ხაზებად ჩაწყობა-ჩალაგებაში კაცმა შეიძლება მუსიკის უცნაური ანალოგია შენიშნოს. დიადი რევოლუცია მუსიკაში მაშინ მოხდა, როს მელოდია, ანუ ერთგანზომილებიანი მუსიკა ჩაანაცვლეს ორად გაყოფილი ჰარმონიით. ორი ხილული ხატი აყალიბებს იმას, რასაც შეიძლება ხილული აკორდი ვუწოდოთ. ისინი ერთიანდებიან, რათა შემოგვთავაზონ ხატი, რომელიც ორივესაგან განსხვავდება.

მაშ დავიწყოთ რადიკალური მოდერნიზმის იმ თვალსაზრისიდან თუ რომელია ლექსის მთავარი მახასიათებელი ჩვენს დროში? რომელი და: ლექსი იკითხება და არ იმღერება. შეგვიძლია განზე გადავდოთ ყველა თეორია შესახებ იმისა, რომ ლექსს შინაგანად ისე ვკითხულობთ, ვით სიტყვათა თამაშს. ამრიგად, ორი განსხვავებული ხელოვნება გვაქვს. ერთი გამიზნულია სამღერლად, მეორე კი წასაკითხად და დასაფიქრებლად. მსურს ეს ახსოვდეთ, როცა გამაკრიტიკებენ. მე არ ვსაუბრობ მთელ პოეზიაზე, არამედ ამ განსხვავებულ ახალ ხელოვნებაზე, რომელიც თანდათანობით გაეყრება ძველს და დამოუკიდებელი გახდება. სავსებით ვეთანხმები, რომ წარმოსათქმელად განზრახული პოეზია მოწესრიგებული საზომით უნდა დაიწეროს, მაგრამ ვამტკიცებ, რომ ხილული ხატებით გამოსახულ შთაბეჭდილებათა ჩაწერის ეს მეთოდი არ საჭიროებს ძველ მეტრულ სისტემას. ძველი ხელოვნების საწყისები რელიგიურ გალობაში სუფევდა; შექმნილი იყო რელიგიურ საგალობელთათვის: უნდა გამოეხატა წინასწარმეტყველებანი და მაქსიმები შთამბეჭდავი ფორმით და რითმა და მეტრი გამოიყენებოდა მეხსიერების დასახმარებლად. მაგრამ რატომ უნდა შევინახოთ მხოლოდ ძველისათვის შესაფერისი მექანიზმი ახალი პოეზიისათვის?

მუსიკისა არ იყოს, რიტმის ეფექტი ისაა, რომ შეჰქმნის ერთგვარ ჰიპნოზურ მდგომარეობას, რომლის დროსაც მწუხარება თუ აღტაცება იოლად და მძლავრად აღწევს შედეგს, როგორც სიმთვრალისას ყველა ხუმრობა სასაცილოდ გვეჩვენება. ეს რაც შეეხება გალობის ხელოვნებას, მაგრამ ახალი მხედველობითი ხელოვნების პროცესი სრულიად საპირისპიროა. მისი ეფექტი დამოკიდებულია არა ნახევრად მთვლემარე მდგომარეობაზე, არამედ ყურადღების დაპყრობაზე იმდენად, რომ ხილულ ხატთა თანმიმდევრობამ სულმთლად გადაქანცოს კაცი.

მოწესრიგებული საზომი იმპრესიონისტული პოეზიისათვის დამაბრკოლებელია, გამაყრუებელი, უაზრო და უადგილო. ხატებისა და ფერის დახვეწილ თარგში მას შემოაქვს მძიმე, უხეში თარგი რიტორიკული ლექსისა. ის ანგრევს ეფექტს ორღანივით, რომელიც თანამედროვე სიმფონიის დახვეწილსა და ურთიერთჩაქსოვილ ჰარმონიებში იჭრება. ესაა ფაქიზი და რთული ხელოვნება, რაც გამოაღვიძებს ხატს ან რიტმს მოარგებს იდეას და კაცს ცდუნება იპყრობს, დაუბრუნდეს ნაზსა და დამამშვიდებელ მკლავებს ძველისა, მოწესრიგებული საზომისა, განსაცდელს რაც აგვარიდებს.

კრიტიკა უთუოდ უნდა შეეხოს იმას, რომ მოწესრიგებული სილაბური ტაეპის გაუქმება მისი გადაქცევაა პროზად. ცხადია, ეს მართალია თანამედროვე ლექსის მრავალრიცხოვან ნიმუშთა მიმართ. არსებითად ერთ უდიდეს მადლთაგანი მოწესრიგებული საზომის გაუქმებისა ისაა, რომ ერთბაშად გაშიშვლდება მთელი ეს მოჩვენებითი პოეზია.

პოეზია, როგორც აბსტრაქტული საგანი, ძალზე განსხვავებული მოვლენაა და თავისი საკუთარი ცხოვრება აქვს, სრულიად განყენებული კონვენციური საზომისაგან.

იმის განსასჯელად, შეიძლება თუ არა პოეზია მოწესრიგებული საზომის გარეშე დაიწეროს, გთავაზობთ ამოვარჩიოთ ორიდან ერთი დიდი განსხვავება. არ დავიჩემებ ვიქადაგო, უშეცდომო სინჯი მაქვს-მეთქი, რაც ყველას შეაძლებინებს თქვას: ნამდვილი პოეზია ის კი არა, ესაა, — მაგრამ რასაც ვამბობ, ამ წერილის მიზნისათვის საკმარისია. საქმე ისაა, არსებობს ურთიერთობის ორი მეთოდი: პირდაპირი და კონვენციური ენა. პირდაპირი ენა პოეზიაა და პირდაპირია, რადგანაც ხატებს მიემართება. ირიბი ენა პროზაა, რადგან ის იყენებს ხატებს რომლებიც დაიხოცნენ და მეტყველების ნაწილებად იქცნენ.

განსხვავება ამ ორს შორის, უხეშად რომ ვთქვათ, ამგვარია: ვიდრე ერთს შენი გონება გამუდმებით აქვს დაპყრობილი სურათით, მეორე ნებას აძლევს, გონების კნინი შესაძლებლობებით მივიდეს დასკვნამდე.

პროზა, გონების უნარის წყალობით, ისეთი რამაა, რაც სხეულის მოქმედებას აირეკლავს. თუ ფეხსაცმელის თასმის შეკვრისას, ყოველ ჯერზე, რთული გონებრივი პროცესის გავლა მომიწევს, სულ გავფლანგავ გონებრივ ენერგიას; ამიტომ სხეულის მექანიზმი ისეა მოწესრიგებული, ამას კაცი დაუფიქრებლად აკეთებს. ამით ძალას ზოგავს. იგივე პროცესს გავდივართ პროზაში ხატების გამოყენებისას. მაგალითად, როცა ვამბობ, ბორცვი ხეებითაა შემოსილი-მეთქი, აღვნიშნავ ფაქტს, რომ ბორცვი ხეებითაა დაფარული. პირველად ეს გამოთქმა პოეტმა გამოიყენა და მას ეს ხატი უშუალი ხედვით აგონებდა ჩაცმულ ადამიანს; მაგრამ ხატი მოკვდა. უნდა ითქვას, რომ ხატები იბადებიან პოეზიაში, გამოიყენებიან პროზაში და ბოლოს ხანგრძლივი, ნელი სიკვდილით კვდებიან ჟურნალისტურ ენაში. ახლა ეს პროცესი ძალზე აჩქარებულია; ისე, რომ პოეტი გამუდმებით უნდა იგონებდეს ახალ ხატებს და მისი გულწრფელობა მისივე ხატების რაოდენობით განიზომებოდეს.

ხანდახან, ლექსის კითხვისას, კაცი ხვდება, რომ ნაპრალი გაჩნდა, შთაგონებამ უღალატა და რიტორიკული საზომიღა გამოიყენა. ხატი ჩაუვარდა და მკვდარი ხატიღა შერჩა, ეს კი პროზაა და ეფექტს საზომიღა უნარჩუნებს. ამის გამო უარვყოფ საზომს, რადგან ის შეაძლებინებს ხალხს წერონ ლექსები პოეტური შთაგონების გარეშე, როს გონებაში ახალი ხატები არ მოეძევებათ.

ამის სანიმუშოდ მოვიხმობ დღეისათვის ყველაზე გავრცელებულ ლექსს. თუმც მხოლოდ ოთხი სტროფისაგან შედგება, მაინც ექვსი ფუტის სიგრძისაა. ის გამოფენილია მუზიკჰოლის პავილიონის ფასადზე. ინსტინქტური ჟრჟოლა გვივლის ამ კლიშეთა და გაცვეთილი ციტატების ხილვისას. ახსნა ასეთია: განა იმიტომ, რომ ძველი ხატებია, არამედ სიძველის გამო დაიხოცნენ და მკვდარ ხატებს ვეღარ გააცოცხლებ. კაცი, ვინც ეს დაწერა, პოეტი არ გახლავთ, თვითონ გარკვევით ვერაფერს ხედავდა, სხვა პოეტთა ხატებს მიბაძა. ეს ახალი ლექსი ქანდაკებას უფრო გვაგონებს, ვიდრე მუსიკას; თვალს უფრო ხვდება, ვიდრე ყურს, არ გააჩნია ყალიბში ჩამოსხმული ხატები, განსაზღვრული ფორმის ერთგვარი სულიერი თიხა. ეს მასალა არისტოტელესეული Υλη[9] და ხატია და არა ბგერა. ის გამოძერწავს ხატს და მიაწვდის მკითხველს, ძველი ხელოვნება კი ცდილობდა მასზე ზემოქმედება მოეხდინა რიტმის ეფექტური ჰიპნოზის ძალით. შეგვიძლია ყველაფერი ამგვარად შევაჯამოთ: ნაჭუჭი ძალზე კარგი საფარველია კვერცხისათვის გარკვეულ ხანს, მაგრამ მოგვიანებით ძალზე შეუფერებელი ხდება. ვფიქრობ, დღეისათვის ეს შედარება ყველაზე უკეთ გამოხატავს ლექსის მდგომარეობას. მაშინ როცა ნაჭუჭი იგივე დარჩა, შიდა ხასიათი მთლიანად გამოიცვალა. კი არ გალაყდა, პესიმისტი როგორც იტყოდა, არამედ გაცოცხლდა, სიმღერის ძველი ხელოვნებიდან მოდერნისტულ იმპრესიონიზმად იქცა, მაგრამ ლექსის მექანიზმი იგივე დარჩა. ასე ვეღარ გაგრძელდება. დასკვნისათვის ვიტყვი, ქალბატონებო და ბატონებო, რომ ნაჭუჭი უნდა გატყდეს.

---

[1] პოეტთა კლუბის თავმჯდომარე, ჰენრი სიმპსონი.

[2] ტომას სტარჯ მური (1870-1944), ინგლისელი პოეტი, პროზაიკოსი, მხატვარი, უილიამ ბატლერ იეიტსის მეგობარი.

[3] გუსტავ კანი (1859-1936), ფრანგი სიმბოლისტი პოეტი და ხელოვნების კრიტიკოსი.

[4] ποίημα — პოემა.

[5] ჟან-მარი გაია (1854-1888) ფრანგი ფილოსოფოსი და პოეტი.

[6] გილბერტ კით ჩესტერტონი (1874-1936), ინგლისელი პროზაიკოსი, პოეტი, ფილოსოფოსი.

[7] ჯეიმზ ებოტ მაკნილ ვისტლერი (1834-1903), ამერიკელი მხატვარი.

[8] სერ უილიამ ვატსონი (1858-1935), ინგლისელი პოეტი.

[9] Υλη — მატერია.

→

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომას ერნესტ ჰიუმი

შემოდგომა

გამოველ გარეთ
შემოდგომის სუსხიან ღამით —
ვიხილე ღობეს მიყრდნობოდა ღაჟღაჟა მთვარე —
მწითურ ფერმერივით.
თავი დავუკარ, არ გავუჩერდი სალაპარაკოდ,
ირგვლივ მგზნებარე ვარსკვლავები დატრიალებდნენ,
ფერმკრთალნი ქალაქელ ყმაწვილებივით.

სანაპირო
ცივ, სუსხიან ღამით წაქცეული ჯენტლმენის ფანტაზია

ერთხელ ვიოლინოს უნაზეს ხმაში ვპოვე აღტაცება,
უხეშ ქვაფენილზე ოქროს ქუსლთა გაელვებისას.
ახლა ვხედავ,
პოეზიის საგანი რომ სითბოა სწორედ.
ო, ღმერთო, დაამცირე
ვარსკვლავებით ამოკენკილი საბანი ბებერი ზეცის,
გარს რომ მოვიხვიო და მარჯვედ წამოვწვე.

ნავმისადგომს ზემოთ

ნავმისადგომის სიმშვიდეში შუაღამისას,
მაღალი ანძის ბაგირებში გამოხლართული
ჰკიდია მთვარე. და ასე შორს რაც მეგულებოდა,
ბუშტი აღმოჩნდა — ბავშვს, ნათამაშევს, დავიწყებოდა.

მანა აბოდა

მშვენიერება სხვა რა არის, ადგილის ტკეპნა, უძრავი
რხევა, მოჩვენებითი აღტაცება შეკავებული
ბიძგისა, ბუნებრივ დასასრულს რომ ველარ მიაღწევს.

მანა აბოდა, რომლის რკალიც
წრეწირია ზეცის თაღისა,
თითქოს მარადი მგლოვიარე
უცნობ წუხილის გამოისობით,
და მაინც მესმა, ერთ დღეს ტიროდა:
„რარიგ დამღალეს ვარდებმა
და მგალობელმა მგოსნებმა —
იოსებია ყველა, მაგრამ სიმაღლე
არა ჰყოფნით მცდელობისათვის“.

გარდაქმნა

მივსეირნობდი უზრუნველი ქალაკს
სუმბულთა ჟამს,
ვიდრე მშვენება სურნელოვან ქსოვილივით
შემოხვეული გამგუდავდა. შემბოჭავდა,
გამაქვავებდა და სუნთქვას შემიკრავდა
სიტურფე, მისივ კუთვნილი საჭურისი.
ახლა მივდივარ საბოლოო მდინარისაკენ
ტყვექმნილი, ტომარაში ჩასმული, უხმოდ,
ვით თვალცეცერა თურქი — ბოსფორისაკენ.

მზის ჩასვლა ქალაქში

მომჯადოები, დედამიწის მაცდუნებელი, ამპარტავნებით
მეფობს მზის ჩასვლა დასავლეთის ქუჩების ბოლოს...
მოულოდნელად ფეთქდება ზეცა
და გამვლელნი უცნაურად დაიბნევიან
გრძელ ქუჩათათვის უცხო ხილვებით — აფროდიტესა
თუ ლედი ქასლმენის ხავერდოვანი კანისა...
შინდისფერი აცელქებულა
ზეცის გადაშლილ სიდიადეში,
სიცოცხლით სავსე ზეციური ქალწული
თავს იწონებს და შლეიფიან წითელ სამოსით
გადაუვლის ქალაქის მოჩუქურთმებულ სახურავთ
სწორედ იმ დროს, როს ბრბოები შინისაკენ ეშურებიან
— აყოვნებს ქალწული თვითკმაყოფილი,
უხალისოდ მიემართება...

სანგრები: სენტ ელუა
შემოკლებით მრ. ტეჰ*-ის საუბრიდან

სენტ ელუას ბრტყელ ფერდობთა თავზე
ვეება კედელია ქვიშის ტომრების.
ღამეა,
მოცლილი კაცები დუმილით
დასტრიალებენ მცირე კოცონთ, წმენდენ კარდალებს:
ხაზის აქეთ-იქით,
დაეხეტებიან თითქოს პიკადილიზე,
ბილიკნი გაჰყავთ სიბნელეში,
მიმოფანტულ მკვდარ ცხენთა შორის,
გადაუვლიან მკვდარ ბელგიელს მუცელზე,
გერმანელებს რაკეტები აქვთ.
ინგლისელებს არ გააჩნიათ.
ხაზს უკან, მილის მანძილზე,
ჩამალული ქვემეხები ისვენებენ.
ხაზს მიღმა ქაოსია:
დერეფანია ჩემი გონება.
ჩემს გარშემო დერეფნებია გონებანი.
ვერაფერს გირჩევს ვერაფერი.
ვერას იზამ, მხოლოდ მიჰყევი.

* ტომას ერნესტ ჰიუმი

კაცი ყვავის გუდეში*
მოთვალთვალე

მეუცხოება მქროლავ ქარის ხმა
ანძის წვერზე, ღამის მარტოშთენილობისას.
ეგებ ზღვაც უსტვენს მოჩვენებით უდარდელობით,
შიშს რომ მალავს
სოფლელ ბიჭივით,
კრთომა-კანკალით რომ ჩაუვლის
სასაფლაოს ტაძრის ეზოში.

* ანძის წვერზე დამაგრებული სათვალთვალო ბაქანი.

სუზან ენი და უკვდავება

თავი ჩაუკიდია,
მიწას ჩასჩერებია ბეჯითად, მფრთხალად,
ვითა კურდღელი ყარყუმს,
ვიდრე მიწა იყო ცა,
და ცა კი — მწვანე,
და ყავისფერი ღრუბლები მიცურავდნენ
მიწაზე გაშლილ წაბლის ფოთლებივით.

პოეტი

დიდ, ბრტყელ მაგიდას დაყრდნობია აღტკინებული,
სიზმრად ჩაფლული,
ტყენი მოევლო, ვიდოდა და უხმობდა ხეებს,
განრიდებული ამა სოფელს,
და იგონებდა დედამიწის ბურთს და პატიოსან
თვალთა ხატებას, ფერებს, ღრმასა და გამოკვეთილს.
სიზმრადაც მათთან თამაშობდა,
ბრტყელ მაგიდაზე.

თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004